

# მ ც ხ ე თ ა

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

## ტომი VII

დიდი მცხეთის ადრეკინის, ანტიკური და  
ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

„მეცნიერება“  
თბილისი  
1985

902.6 (c 41)

63.4 (2F)

902.6 (47.922)

8 977

მცხეთა სერიის მორიგ VII ტომში ქვეყნდება სამარხული კომ-  
პლექსები; რომლებიც მოპოვებულია დიდი მცხეთის სხვადასხვა  
უბანზე — ნარეკვაზე, მოგეთაკარზე, სამთაეროზე, მცხეთისგორასა  
და მუხათგვერდზე.

კრებულში დეტალურად არის აღწერილი და დახასიათებული  
სამარხი ნაგებობების აღნაგობა, დაკრძალვის წესები და ინვენტარი.  
ძეგლები განხილულია დიდძალი პარალელური მასალის ანალიზის  
საფუძველზე, რომლებიც მოპოვებულია საქართველოსა და მთელ  
კავკასიაში აღმოჩენილ ძეგლებზე. ზემოაღნიშნულის საფუძველზე  
შემუშავებულია დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგ-  
ლების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია.

მცხეთა VII-ში გამოქვეყნებული სამარხული კომპლექსები  
მრავალმხრივ საინტერესო მასალებს გვაწვდის ისტორიული დიდი  
მცხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოების სავაჭრო-ეკონო-  
მიკური და სოციალურ-კულტურული ვითარების აღდგენისათვის  
წინაანტიკური პერიოდიდან მოკიდებული ადრეფეოდალური ხანის  
ჩათვლით.

1

რედაქტორი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა ნ დ რ ი ა  
ა ფ ა ქ ი ძ ე .

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატი ა. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი  
ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა

0507000000

მ ————— 257—84

M607 (06)—85

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985

## წ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ბ ა

მცხეთა სერიის VII წიგნში ქვეყნდება მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი ძეგლები, რომლებიც აღმოჩენილია უკანასკნელ წლებში ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე.

სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის დღემდე უცნობი მასალები ნარეკვაის, სამთაეროს, მოგვთაკარის, მცხეთისგორისა და მუხათგვერდის სამაროვნებიდან. აღნიშნული მასალები მნიშვნელოვნად შეაესებს ჩვენს წარმოდგენას მცხეთისა და მისი შემოგარენის მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე — ადრე-რკინის ხანიდან მოკიდებული ადრეფეოდალური ხანის ჩათვლით. თანდათან შესაძლებელი ხდება აღნიშნული პერიოდის ისტორიული ტოპოგრაფიის აღდგენა.

წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ კატალოგები ქვეყნდება. მკითხველს საშუალება ეძლევა სრული ინფორმაცია მიიღოს შემოჩამოთვლილ უბნებზე აღმოჩენილი სამარხებისა და მისი შემცველი კომპლექსების შესახებ, რაც თავისთავად საფუძველს იძლევა აღნიშნული ძეგლების ზუსტი ქრონოლოგიური შკალის შედგენისათვის.

კრებულში შემავალი ნაშრომების გამოქვეყნებისას დატულია გარკვეული პრინციპი, რაც გულისხმობს ერთი და იგივე თანამიმდევრობის დაცვას როგორც სამარხთა მდებარეობის, ორიენტაციისა და აღნაგობის აღწერა-დახასიათებისას, ისე ცალკეული ნივთების აღწერისას.

კრებულში შემავალი მასალები გამოსაცემად მოამზადა თ. ბიბილურმა.

რეპაზ ლავლიანიძე

ნარეკავის სამაროვანი

კატალოგი

(1977 — 1979 წწ. განათხარი)

1977 წლის ოქტომბერში მდ. ნარეკავის მარჯვენა ნაპირზე, თბილისი-გორის გზატკეცილის 31-ე კილომეტრთან, სადრენაჟო თხრილების გაჭრისას დაზიანდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები (სურ. 1.).

სამარხები დაზიანდა სწორედ იმ მიდამოებში, სადაც 1938 — 1941 წწ-ში გზის მშენებლობისას არქეოლოგიურად უაღრესად საინტერესო ბრინჯაოს ნივთები და თიხის კურკელი აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ მცირე არქეოლოგიური გათხრებიც განხორციელდა პროფ. ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით 1960 წელს [19].

1977—1979 წლებში კვლავ მშენებლობის მიზეზით განახლდა გათხრები. გაითხარა 24 ორმოსამარხი.

შესასწავლი ადგილი დაფარული იყო 20—25 სმ სისქის კორდოვანი ფენით, რომლის ქვეშაც მიწის ზედაპირიდან სხვადასხვა სიღრმეზე, ქელორდიან ნივთებში, ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს ჩნდებოდა სამარხები: მოგრძო, ოთხკუთხა შევეულკედლება ორმოში გვერდზე დასვენებულია ხელფეხმოკეცილი მიცვალებული, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ზემოდან იგი ქვაყრილით არის დაფარული (სურ. 2). სამარხთა უმეტესობა ინდივიდუალური იყო. სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში გაითხარა სამარხების ჯგუფი, რომელიც წარჩინებულ მემორებს ეკუთვნოდა.

ადამიანის ჩონჩხთან ახლოს დადასტურებული რიყის ქვები (სამარხი 3), როგორც ჩანს, გამოიყენებოდა არა მიცვალებულის პოხის შესანარჩუნებლად, არამედ სადგარად სარეკლისა, რომელზედაც ესვენა მიცვალებული [19, გვ. 192; 15, გვ. 126; სურ. 934, 695, 45, გვ. 27].

სამარხებში გვხვდებოდა ცხენის, ღორის, თხისა და ცხვრის ძვლები.

სამარხებში აღმოჩნდა თიხის კურკელი, ბრინჯაოს, რკინისა და ძვლის ნივთები, აგრეთვე სხვადასხვაგვარი მძივები. თიხის კურკლის უმეტესი ნაწილი

მორგეზე გამოყვანილი, მცირე, ხელით ნაძერწი ჩანს; გამომწვარია შავად, ნაც-  
რისფრად ან აგურისფრად. კეცში შეინიშნება წერილმარცვლავანი ჩანართები.

თიხის ქურჭელი შემკულია სხვადასხვა გეომეტრიული სახეებით. გვხვდება  
წნევით დატანილი ნაპრიალები ზოლები, ჭდეული ირიბი და რელიეფური ხაზე-  
ბი, ამოღარული კონცენტრული და ტალღური სახეები.

სამარხებში ნაპოვნია: ჩაფები, ღოჭები, ხელაღები, დერგები, ქილები, ქოთ-  
ნები, ტოლჩები, კოჭები, ლანგრები, ჭამები და ფიალები. რკინის ნივთებიდან  
აღსანიშნავია; მასრაგახსნილი შუბისწვერები 16 (01/10—491), 94 (01/10 —  
571), 128 (01/10 — 605), 213 (01/10 — 719), 259 (01/10 — 658), რომელთაც  
სამკუთხედისებრი პირი და დამეხებული მხრები აქვთ (ზოგიერთს პირზე ქედიც  
ეტყობა), რკინის სამი მახვილი, ამათგან ორი ტარშეურჩენელია 14 (01/10—  
489), 158 (01/10—635), პირზე შუაში ვიწრო ქედი დაუყვებათ. მესამე მახ-  
ვილი 108 (01/10 — 585) ბრინჯაოსტარიანია და ჩასმულია ბრინჯაოსავე ქარ-  
ქაშში. მსგავსი მახვილები ნაპოვნია სამთავროს ძვ. წ. VIII—VII ს-ის I ნახ.  
ორმოსამარხებში № 38, 55, 72, 79, სათოვლუში [6, გვ. 235—241], პატარძე-  
ულში [4, ტაბ. 1, 3, ტ. 1, 4], წოფში [5, გვ. 370], რკინის კალოს სამაროვანზე  
[10, ტაბ. XLVI, სურ. 461], ნარეკვაში [19, გვ. 211, ტაბ. X, სურ. 2], მინგე-  
ჩაურში [39, გვ. 26, ნახ. 17], კარმირ-ბლურზე [42, გვ. 42, ნახ. 32], ვორნაკში  
[42, გვ. 42]. აღნიშნული მახვილები ძვ. წ. VIII — VII ს-ის I ნახევრით თა-  
რიღდება.

საყურადღებოა აგრეთვე სამკუთხაპირიანი სატევარი 136 (01/10—613), მას  
პირზე მკვეთრი ქედი დაუყვება, სატარე ნაწილზე რამდენიმე მანკვალი აქვს  
შემორჩენილი. აღმოჩნდა რკინის ორფრთიანი ისრის წვერებიც 119 — 127  
(01/10 — 596 — 604).

სამეურნეო იარაღებიდან ნაპოვნია რკინის 2 მოხრილი დანა 15 (01/10—  
490), 131 (01/10—608). ბრინჯაოს ნივთებიდან უმეტესობას სამკაულები წარ-  
მოადგენს. სამაროვანზე აღმოჩნდა საბრძოლო იარაღი, აგრეთვე, შინამოსაქმეო-  
ბის და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები. აღსანიშნავია ბრინჯაოს 2  
სარტყელი და ცხენის აკაზმულობის ნაწილები.

საბრძოლო იარაღიდან საყურადღებოა ბრინჯაოს ნესტრისებრი და ქუსლა-  
მოღარული ორფრთიანი ისრისწვერები 95, 96, 97 (01/10 — 572—574). აგრე-  
თვე ბრინჯაოს მთლიანმასრიანი, პირგამოყვანილი შუბისწვერი, რომელსაც პირ-  
ზე მკვეთრად გამოსახული ქედი აქვს 258 (01/10—657).

სამკაულებიდან გვხვდება: ზურგდაკეპნილი და საღაზედაპირიანი სამაჯუ-  
რები 47, 48, 49 (01/10—522—524), 109, 110, 111 (01/10—586—588), სასაფეთ-  
ქლე რგოლები 183—188 (01/10—690—695). შინამოსაქმეობის საგნებიდან—

მახათები 22 (01/10—497), 93 (01/10—570), 113 (01/10—590), ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: საკინძები 43—46 (01/10—518—521), 244 (01/10—750), კილიტები 67 (01/10—544), სამხარაილიე ყაწიშის ბალთა 300 (01/10—789).

ბრინჯაოს ორი სარტყელიდან ერთი სადაა 157 (01/10—634), ხოლო მეორეზე 115 (01/10—592) ნადირობის სცენებია გამოსახული. ეს სარტყელი მსგავსებას ამჟღავნებს მარალინ-დერესის № 5 სამარხში აღმოჩენილ სარტყელთან [38, გვ. 51, სურ. 49].

სამაროვანზე ცხენის აკაზმულობის შემდეგი ნაწილებია ნაპოვნი: ლაგამი 265 (01/10—665) და სამკერდული 293 (01/10—782). მსგავსი სამკერდულები მოპოვებულია მინგეჩაურში [37, ტაბ. X, სურ. 11, 17].

ძელის ნივთებიდან აღსანიშნავია ირმის რქისაგან დამზადებული ლახტისთავი 116 (01/10—593), რქის კვერთხისთავი 106 (01/10—583), ლულოვანი ძელისაგან დამზადებული ორნამენტის დასატანი იარაღი 235 (01/10—741), ძელის ავეაროზი 193 (01/10—700),

სამარხებში მრავლადაა მოპოვებული სარდიონის, პასტისა და ანტიმონის მძივები, აგრეთვე ნიჟარა კაურები.

ნარეკეავის სამაროვანზე მოპოვებული კერამიკული მასალა ზუსტ ანალოგიებს პოულობს ნარეკეავის [19, ტაბ. III, სურ. I, ტაბ. IV, სურ. 15, 18, 20] და კასპის [8, ტაბ. II, სურ. 4, 9] სამაროვნებზე აღმოჩენილ თიხის ჭურჭელთან, რომლებიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევიან.

აღნიშნული სამაროვნის კომპლექსებიდან ძვ. წ. VIII—VII ს. ს. I ნახ. უნდა დათარიღდეს ე. წ. წარჩინებული მეომრის სამარხები №№ 13 და 15, რომლებშიც დადასტურდა ბრინჯაოსტარიანი და უტარო რკინის მახვილები, რკინისავე სატყეარი და მასრაგახსნილი შუბისწვერი, აგრეთვე ბრინჯაოს ზურგდაკეპნილი სამაჯურები [4, ტაბ. I].

სამარხთა აღწარმოვა, დაკრძალვის წესი და ინვენტარის აღწერილობა

სამარხი 1.  
(1977. 10. X; III.  
8\*. სურ. 8)

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,04 მ. სიმაღლეზე-სამარხი დაზიანებულა მიწის სამუშაოებისას, ამიტომ მისი კონტურისა და დამხრობის დადგენა ვერ მოხერხდა. მიცვალებულის ჩონჩხი ეტყობა ექსკავატორმა ამოყარა.

\* სამარხის ნომრის (I) შემდეგ მითითებულია გახსნის დღე (1977, 10. X), შემდეგ აღმოჩენის ადგილი — ნაკვეთი და კვადრტი (III. 8).

სამარხში აღმოჩნდა:

1 (01/10—476; სურ. 4)\* დერგის ძირ-გვერდისა და მუცლის ნაწილი, კარგად განლექილი თიხისა: შავად გამომწვარი, ალაგ რუხი ლაქები აქვს. მუცელს ოდნავ ასიმეტრიული პარალელური ფართო ღარები დაუყვება. ემჩნევა ძირისაკენ დაშვებული წნევით დატანილი რამდენიმე ფართო ზოლი. ძირის ღმ — 12,3 სმ, კეცის სისქე — 0,10 სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.

2 (01/10—477; სურ. 5) დერგის ძირ-გვერდის ნაწილი კარგად განლექილი თიხისა, შავპრიალაზედაპირიანი, ძირი ბრტყელი აქვს, ქუსლი—დაბალი, გვერდი შემკულია წნევით დატანილი, ძირისაკენ თანდათან შევიწროებული რმდენიმე ფართო ზოლით. ძირს მორგვის კვალი ეტყობა. ძირის ღმ—13,5 სმ, კეცის სისქე—0,7 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.

3 (01/10—478, სურ. 6) ქოთნის პირ-გვერდისა და მუცლის ნაწილი, კარგად განლექილი თიხისა; ნაცრისფრად გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი—დაბალი, მხარზე 3, ოდნავ ასიმეტრიული ღარი შემოუყვება. კეცის სისქე — 0,6 სმ.

4 (01/10—479; სურ. 8) ჯამი თიხისა, შავად გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალები აქვს, პირგადაშლილია, მხარი — ღარისებრი, წიბოიანი; თანაბრად დაშვებულკალთებიანი, ბრტყელძირა. ჯამის შიდა ზედაპირი შემკულია ასიმეტრიული ორი ჭვარდინად მკვეთი წნევით დატანილი ღარითა და კლაკნილი ტალღისებრი ნაპრიალები სახეებით. სიმაღლე — 8, ძირის ღმ — 9,3, კეცის სისქე — 0,7 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

5 (01/10 — 480; სურ. 7) ქოთანი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი, მუცელი—წიბოიანი, ქუსლი—დაბალი, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში ოვალური ყურის თავი მხარზე, ხოლო ყურის ძირი მუცელზეა დაძვრწილი. ყელს დაბალი რელიეფური სარტყელი შემოუყვება. სიმაღლე — 15, ძირის ღმ — 8,5, კეცის სისქე — 0,5 სმ.

6 (01/10—481) თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი ნაცრისფრად გამომწვარი. გვერდი ბრტყელ ძირთან ქმნის მკვეთრ წიბოს. კეცის სისქე — 0,10 სმ.

7 (01/10—482) კოჭობი თიხისა, ყავისფრად გამომწვარი, მუცელი ხფერული აქვს, დაზიანებულია. კეცის სისქე — 0,6 სმ.

8 (01/10—483; სურ. 9) ხელადა თიხისა, მოშავომონაცრისფროდ გამომწვარი, პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი, ყელი — დაღარული, მუცელი სფერული, ძირი — ბრტყელი, ყელსა და მუცელს მორგვისეული წვრილი კონცენტრული ღარები ამჩნევია. განივკვეთში ოვალური ყურის თავი პირზე, ხო-

\* წინამდებარე აღწერილობის რიგით ნომერს მისდევს ფრჩხილებში ჩასმული უბნის შიფრი 01/10 და სააღრცხვე ნომერი—476, შემდეგ კი სურათია მითითებული.

ლო ყურის ძირი მუცელზეა დაბერწილი. სიმაღლე — 12,2, დმ მუცლისა — 12,5, ძირის 6 სმ.

8 (01/10—484; სურ. 10) მძივები: ა) სარდიონისა მოწითალო, სფერული— 1, სიგრძე. — 3 მმ; დმ — 3 მმ; ბ- პასტისა ცისფერი 17. ამათგან: 1 — შინდის-ებრი, სიგრძე — 4 მმ, დმ. — 2 მმ, 9 — სფერული, სიგრძე 3, დმ — 3 მმ; 2 — მრგვალბრტყელი, სიგრძე—3, დმ—4 მმ; 5—სამწახნაგა, ამათგან 2 მოზრდილი, ტანდალარული, სიგრძე—8, დმ—5 მმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილ-ში.

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,04 მ სიღრმეზე. სა-  
სამარხი 2. მარხი დაზიანებულია, ამიტომ მისი კონტურის დადგენა  
(1977, 13. X; III ვერ მოხერხდა. გაიწმინდა მიცვალებულის ძლიერ დაზიან-  
5; სურ. 11) ნებული თავის ქალასა და კიდურების ნაწილები. ირკვევა,  
რომ მიცვალებული, 40—45 წლის მამაკაცი ესვენა მარჯ-  
ვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით—ჩრდილო-დასავლეთით.

10 (01/10—485; სურ. 12) ჭამი თიხისა, შავად გამომწვარი, დაზიანებული.  
პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, კალთები თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყე-  
ლი. შიდაპირზე ემჩნევა წნევით დატანილი ასიმეტრიული წრე და ირიბი, ცენტ-  
რისაკენ მიმართული ნაპრიალები ზოლები. სიმაღლე — 5,5, ძირის დმ — 9,5,  
კეცის სისქე — 0,9 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან.

11 (01/10—486; სურ. 13) ტოლჩა თიხისა, აგურისფერად გამომწვარი, ზე-  
დაპირი ნაწილობრივ შებოლილია. კეცში ჩანს ობსიდიანის მსხვილმარცვლოვანა  
ჩანართები. პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცე-  
ლი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, ქუსლამოდარული. ყურის თავი —  
პირზე, ხოლო ყურის ძირი მუცელზეა მიჩრილი. სიმაღლე — 12, დმ პირი-  
სა — 9, მუცლისა — 11, ძირისა — 0,5 სმ.

12 (01/10—487; სურ. 14) თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდისა და მუცლის ნა-  
წილი მონაცრისფრო, ალაგ მოშავოდ გამომწვარი. მუცელი სფერული აქვს, ძი-  
რი—ბრტყელი.

ძირის დმ — 3,5, კეცის სისქე — 0,7 სმ.

13 (01/10 — 488; თიხის ჭურჭლის ძირის ნაწილი, ნაცრისფერად გამომწ-  
ვარი, ძირს კიდზე ირიბი ქდეები შემოუყვება. კეცის სისქე—0,5, ძირის დმ—  
5 სმ.

14 (01/10 — 489; სურ. 15) მახვილი რკინისა, ტარშეურჩენელი, პირი თხე-  
ლი აქვს, წვერი მოტეხილი. აღმოჩნდა მიცვალებულის ზურგს უკან.

სიგრძე—5,5, პირის მაქსიმალური სიგანე—5,5 სმ.

15 (01/10 — 490; სურ. 16). დანა რკინისა, ტილოს ქარქაშიანი, აქვს სწორი  
პირი, სატარე ყუნწი ჩამოტეხილია. აღმოჩნდა მახვილის მახლობლად.

სიგრძე — 10, სიგანე ვადასთან — 2,2 სმ.



16 (01/10—491; სურ. 17) შუბისწვერი რკინისა, მასრაგახსნილი, წვერი მოტეხილი აქვს, პირი სამკუთხა. მასრაზე სამანჭველ ნახვრეტით.

სიგრძე — 30, მასრის დმ — 2,2, პირის სიგანე — 2,4 სმ.

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,04 მ სიღრმეზე; ქვა-ყრილიანია, ორმო — ოთხკუთხა (1,40×1,21 მ).

სამარხი 3.

(1977. 10. X. III,

8; N—S; სურ.

18)

დაკრძალულია 40—45 წლის მამაკაცი, მარცხენა გვერდზე. ხელფეხმოკეცილი. მიცვალებულს თავის ქალასთან და ტერფებთან შემოწყობილი ჰქონდა რიყის რამდენიმე ქვა.

17 (01/10—492; სურ. 19) ლანგარი თიხისა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს. მხარი — ღარისებრი, წიბოიანი, კალთები — თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი. ძირს კიდეზე ირიბი ქდეები შემოუყვება. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალას წინ.

სიმაღლე — 10, დმ პირისა — 37, ძირისა — 11,7 სმ.

18 (01/10—493; სურ. 21) კოჭობი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პირი მოტეხილი აქვს, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — პატარა, მხარს სამი, ხოლო მუცელს ერთი ოდნავ ასიმეტრიული, კონცენტრული ღარი შემოუყვება.

სიმაღლე — 10,5 დმ ძირისა — 5,5, მუცლისა — 11 სმ.

აღმოჩნდა ლანგრის ქვეშ.

19 (01/10 — 494; სურ. 22) დერგი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, დაბალქუსლიანია. ყელს ძირთან და მხარზე სამ-სამი ასიმეტრიული ღარი შემოუყვება. აღმოჩნდა ლანგრის სამხრეთით.

სიმაღლე — 28, დმ. პირისა — 19, მუცლისა — 29, ძირისა — 8 სმ.

20 (01/10—495; სურ. 20). ქილა თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — ცილინდრული, მუცელი — კვერცხისებრი, ძირი — ბრტყელი. ყელს შირთან ორი, ხოლო მხარს სამი ღარი შემოუყვება, რომელთა შორისაც წნეებით დატანილი ტეხილი და ვერტიკალური ღარებია. განიკვეთში ოთხკუთხა, დაბრტყელებული ორი ყური მუცელზე აქვს დაძერწილი. აღმოჩნდა სამარხის O კედელთან.

სიმაღლე — 21, დმ. პირისა — 9,5 მუცლის — 18,5, ძირის — 6,5 სმ.

21 (01/10 — 496; სურ 23) მძიეები ა) სარდიონისა<sup>9</sup> (9) მოვარდისფრო-მოწაბლისფრო. ამათვან: შინდისებრი (1), სიგრძე — 9, დმ — 3 მმ, ვაშლისებრი (2), სიგრძე — 6, დმ. — 9 მმ, დანარჩენი მრგვალობრტყელი სიგრძე — 3, დმ — 8 მმ.; ბ) ანტიმონისა (14). ამათვან: ცილინდრული, თავებთან გამოყვანილი (1), სიგრძე — 14, დმ — 4 მმ. სფერული (1), სიგრძე — 6, დმ — 3 მმ; დანარჩენი მრგვალობრტყელი, სიგრძე — 3, დმ — 8 მმ. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

22 (01/10 — 497; სურ. 24) მახათი ბრინჯაოსი, თავი დაბრტყელებული და შემდეგ გადმოკეცილი აქვს. განივკვეთში ღერო მრგვალია. წვეტისკენ თანდათან შევიწროებულია. აღმოჩნდა რქვე.

სიგრძე — 9,6, დმ ღეროსი — 0,2 სმ.

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,04 მ სიღრმეზე, ძლიერაა დაზიანებული. ინვენტარის განლაგების მიხედვით სამარხი მოგრძო, ოთხკუთხედის ფორმისა უნდა ყოფილიყო (1,90×1,15 მ). დამხრობა დანამდვილებით არ დგინდება. გაიწმინდა ადამიანის თავის ქალასა და ლულოვანი ძვლების ნატეხები.

სამარხი 4.

(1077. 81. X; III, 8; სურ. 26)

სამარხში აღმოჩნდა:

23 (01/10 — 498; სურ. 26) ქოთანის თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, ნუცელი გამობერილი აქვს, ძირი — ბრტყელი. ყელს ორი ღარი შემოუყვება. განივკვეთში ოვალური ყური მუცელზეა მიძერწილი, დაზიანებულია.

სიმაღლე — 20, დმ. მუცლისა — 23,5, ძირისა — 9,5 სმ.

24 (01/10 — 499) დოქი თიხისა, შავად გამომწვარი, მუცელი გამობერილი აქვს, ძირი — ბრტყელი, დაბალქუსლიანი. მხარს სამ-სამი ასიმეტრიული კონცენტრული ღარი შემოსდევს, რომელთა შორისაც ირიბად დაშტრიხული სამკუთხედებია მოცემული. გვერდს წნევით დატანილი ნაპრიალები ხაზები ატყვია. დაზიანებულია.

ყევის სისქე — 0,6, ძირის დმ — 9,5 სმ.

25 (01/10 — 500; სურ. 27) ქვაბქოთანის თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, მუცელი — წიბოიანი, ძირისაკენ თანდათან შევიწროებულია. ბრტყელძირიანი, ყელს ძირთან ორი ღარი შემოუყვება.

სიმაღლე — 16,5 სმ, დმ პირისა — 21, მუცლის — 24, ძირის — 7,4 სმ.

26 (01/10 — 501; სურ. 29) დოქი თიხისა, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — ძაბრისებრი, ძირი ბრტყელი. მხარზე ორ ღარს შორის ტალღური სახეა გამოყვანილი, ხოლო მუცელზე ერთი ასიმეტრიული კონცენტრული ღარი შემოუყვება. ყელს ვერტიკალური ხაზები, მხარს წვერით ზემოთ მიმართული წნევით დატანილი ნაპრიალები სამკუთხედები, ხოლო გვერდს ძირთან ფართო წნევით დატანილი ზოლები და ირიბი ღარები აქვს. განივკვეთში ოვალური, ზომორფული ყურის თავი ყელზე, ხოლო ყურის ძირი მხარზე აქვს დაძერწილი.

სიმაღლე — 27,2, დმ პირისა — 12, მუცლისა — 23,5, ძირისა — 10 სმ.

27 (01/10 — 502) დოქი თიხისა (მხრის, მუცლისა და ძირის ნაწილი), ლეგანაცრისფრად გამომწვარი, ოდნავ ნაპრიალები ზედაპირი აქვს. ძირი ბრტყელი აქვს. მხარს სამი კონცენტრული ღარი შემოუყვება, რომელსაც ფუძით ეყრდნობა ირიბად დაშტრიხული და რომლებით შეგვსებული

მოზრდილი სამკუთხედები, ძირისკენაც ირიბი რელიეფური ზოლები დაუყვება. მხარზე ყურის მიძერწვის ადგილი ეტყობა. ძირის დმ — 10, კეცის სისქე — 0,7 სმ.

28 (01/10 — 503; სურ. 28) დერგი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, ალაგ-ალაგ მოწითალო ნაპრიალები ლაქები ეტყობა, პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — შეზნეჟილი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი. ყელს ძირთან სამი ღარი შემოსდევს. ასეთივე ორი ღარი მხარზე აქვს დატანილი რომელთა შორისაც ურთიერთმკვეთი ირიბი ჭდეებია მოცემული. სიმაღლე — 35, დმ. პირისა — 18, მუცლის — 34, ძირის — 9,5 სმ.

29 (01/10—504; სურ. 34) სასმისი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი: პირი მრგვალი აქვს, ტანი — ცილინდრული, ძირი — ბრტყელი. პირს ქვემოთ ღარი შემოუყვება. ტანს წნევით დატანილი ასიმეტრიული ნაპრიალები ზოლები დაუყვება. განიკვეთში ოთხკუთხა ზომორფული ყური ტანზეა დაძერწილი.

სიმაღლე — 7,7 დმ ძირისა — 8,5, პირისა — 9,5 სმ.

30 (01/10 — 505; სურ. 30) ლანგარი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, კალთები — თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი. სიმაღლე — 10,2, დმ პირისა — 40, ძირისა — 11,5 სმ.

31 (01/10 — 506; სურ. 31) ქოთანი თიხისა, აგურისფრად გამომწვარი. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — ძაბრისებრი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. ყელს ძირში ფართო რელიეფური ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 12,5, დმ. პირისა — 10, მუცლისა — 15,5, ძირისა — 8 სმ.

32 (01/10 — 507; სურ. 32) ქოთანი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, კეცში მსხვილმარცვლოვანი ჩანარები აქვს, პირი-მრგვალი, ოდნავ გადაშლილი, ყელი — გამოყვანილი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, კიდენაკდები.

სიმაღლე — 11,5, დმ. მუცლისა — 13, ძირისა — 7 სმ.

33 (01/10 — 508; სურ. 33) ქვაბქოთანი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, ნაპრიალები ზედაპირით. პირი მრგვალი აქვს ოდნავ გადაშლილი ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. მხარი მუცელთან ქმნის წიბოს. მხარსა და მუცელზე დაუყვება წნევით დატანილი ასიმეტრიული ნაპრიალები ზოლები. გვერდსა და მუცელზე შემოსდევს თითო ღარი. ძირს მორგვისეული კვალი ატყვია. განიკვეთში ოვალური მოყვანილობის ორი ყური, ჰორიზონტალურად, ერთმანეთის პირისპირაა დაძერწილი.

სიმაღლე — 18,5, დმ პირის — 12,5, მუცლის — 22, ძირის — 8,5 სმ.

34 (01/10 — 509) მძივები: ა) სარდიონისა, მოვარდისფრო (4). ამათგან: კასრისებრი (1), სიგრძე — 6, დმ — 2 მმ; სფერული (2), სიგრძე — 3, დმ — 3 მმ; ბიკონუსური (1), სიგრძე — 4 მმ, დმ — 2 მმ. ბ) პასტისა ცისფერი (17), ცილინდრული.

სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა წერილფეხა საქონლის ძვლები.

სამარხი 5. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,04 მ სიღრმეზე, და-  
(1977 19. X; III, ზიანებულია და მისი კონტურისა და დამხრობის დადგე-  
8; სურ. 85) ნა ვერ მოხერხდა. ინვენტარის განლაგების მიხედვით მი-  
სი ზომებია 0,90×0,60 მ. სამარხში 2—3 წლის ბავშვის  
თავის ქალას ნატეხები დადასტურდა.

85 (01/10 — 510) ფილა თიხისა, შავად გამომწვარი, პირი მრგვალი აქვს,  
ოდნავ გადაშლილი, კალთები თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი. სიმა-  
ღლე — 4,2 დმ პირისა — 15, ძირისა — 6 სმ. აღმოჩნდა თავის ქალას სამხრეთ-  
დასავლეთით.

36 (01/10 — 511) თიხის ქურჭელი. შემორჩენილია მუცლის ძირისა და  
ყურის ნაწილი, მოშავოდ გამომწვარი. მუცელი გამობერილი აქვს, ძირი —  
ბრტყელი. განივკვეთში ოვალური, ყურის ძირი მუცელზეა დაქრწილი. ძირის  
დმ — 7 სმ, კეცის სისქე — 0,6 სმ. აღმოჩნდა თავის ქალას სამხრეთით.

87 (01/10 — 512) თიხის ქურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი, ნაცრისფრად გა-  
მომწვარი. აქვს ხაოიანი ზედაპირი. გვერდი ბრტყელ ძირთან ქმნის წიბოს.  
კეცის სისქე — 0,5 სმ.

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,04 მ სიღრმეზე. და-  
ზიანდა მიწის სამუშაოებისას. ქვაყრილიანია (1,35×09 მ).  
აღმოჩნდა დაზიანებული თავისქალა და ჩონჩხის კვა-  
ლი. დაკრძალულია 4—5 წლის ბავშვი, მარცხენა გვერდ-  
ზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთი-  
საკენ.

სამარხი 6.  
(1977. 19. X; III,  
8; სურ. 30)

88 (01/10 — 513; სურ. 37) ქოთანი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი. პირი  
მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი—გამოყვანილი, მუცელი—სფერული, ძირი—  
ბრტყელი, ქუსლი — დაბალი. სიმაღლე — 12,2, დმ პირისა — 7,9, ძირისა —  
5,6, მუცლისა — 13,5 სმ.

39 (01/10 — 514; სურ. 39) ლანგარი თიხისა ნაცრისფრად გამომწვარი, პი-  
რი მრგვალი აქვს, გადაშლილი. მხარი — ღარისებრი — წიბოიანი, კალთები —  
თანაბრად დაშვებული, ბრტყელძირა. შიდაპირზე წნევით დატანილი რამდენიმე  
სამკუთხედიან მოცემული, დმ პირისა — 34, ძირისა — 10,5, სიმაღლე — 10,5,  
ქუსლის სიმაღლე — 0,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან:

40 (01/10 — 515; სურ. 38) დოქი თიხისა პირმომტვრეული, მონაცრისფრო-  
მოყავისფროდ გამომწვარი, ყელი ცილინდრული აქვს, მხრები — მრგვალი, მუ-  
ცელი გამობერილი, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში მრგვალი ყურის ძირი მხარ-  
ზეა დაქრწილი. ყელს ძირში სამი კონცენტრული ღარი შემოუყვება.

სიმაღლე — 21,5, დმ მუცლისა — 15, ძირისა — 13 სმ.

41 (01/10 — 516; სურ. 40) ჭურჭელი თიხისა, ყვეისფრად გამომწვარი, ნაპ-  
რიალები ზედაპირი აქვს. პირი — მრგვალი, გადაშლილი, წელი — შეზნექილი,  
ძირი—ბრტყელი, ქუსლი — ამოღარული. ყელზე სამი, ხოლო წელზე ორი კონ-  
ცენტრული ღარი შემოუყვება. განიკვეთში ოთხკუთხა ორი ყური მხარზე ერთ-  
ნანეთის საპირისპიროდაა მიძერწილი.

სიმაღლე — 20, დმ პირის — 21,5, ძირისა — 8,5, მუცლისა — 17, წიბოს-  
თან — 19,5 სმ.

42 (01/10 — 517; სურ. 41) დერგი თიხისა პირმომტერეული, მონაცრის-  
ფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ხაოიანზედაპირიანი. მუცელი სფერული აქვს,  
ძირი — ბრტყელი. მხარს ორ ღარს შორის მოთავსებული ტალღური ორნამენტი  
შემოუყვება. მუცელზე მორგვისეული კონცენტრული ხაზები ატყვია.

სიმაღლე — 20, დმ მუცლის — 26, ძირისა — 12,2 სმ.

აღმოჩნდა სამარის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ.

43 (01/10 — 518; სურ. 43) საკინძი ბრინჯაოსი, თავი ნახევარსფერული  
აქვს, ყელი — დაღარული, განიკვეთში ღერო მრგვალია. ღარებს ქვემოთ ოვა-  
ლურნახვრეტიათა. სიგრძე — 9 სმ.

44 (01/10 — 519; სურ. 43) საკინძი ბრინჯაოსი, ისეთივე, როგორიც წინა.  
სიგრძე — 9 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან.

45 (01/10 — 520; სურ. 43) საკინძი ბრინჯაოსი. ანალოგიურია 518 — 519-  
ისა. აღმოჩნდა იქვე.

46 (01/10 — 521; სურ. 43) საკინძი ბრინჯაოსი. ანალოგიურია 518 — 519-  
ისა. აღმოჩნდა იქვე.

47 (01/10 — 522; სურ. 42) სამაჯური ბრინჯაოსი, დეფორმირებული, თავე-  
ბგადადებული. განიკვეთში ღერო მრგვალია, სადაზედაპირიანი.  
რკალის დმ — 5 სმ, ღეროს სიგანე — 0,4 სმ. აღმოჩნდა იქვე.

48 (01/10 — 523; სურ. 42) სამაჯური ბრინჯაოსი, დეფორმირებული, თავ-  
ებგადადებული. განიკვეთში ღერო მრგვალია, სადაზედაპირიანი.

რკალის დმ — 5, 3, სმ, ღეროს სიგანე — 0,4 სმ. აღმოჩნდა სამარხის და-  
სავლეთ კედელთან.

49 (01/10—524; სურ. 42) სამაჯური ბრინჯაოსი, წრიული, თავებგადადე-  
ბული. განიკვეთში ღერო მრგვალია, სადაზედაპირიანი.

რკალის დმ — 0,3 სმ, ღეროს სიგანე — 3,9 სმ.

50 (01/10—525; სურ. 44) მძივები: ა) სარდიონისა მოვარდისფრო (1), სფე-  
რული, სიგრძე — 3, დმ. — 3 მმ; ბ) პასტისა თეთრი (5). ამათგან: (2) რომბისე-  
ბრი, სიგრძე—9, უდიდესი სიგანე—5 მმ; მრგვალბრტყელი (2), სიგრძე—3,  
დმ — 2 მმ, ცილინდრული (1), სიგრძე — 4, დმ — 2 მმ. აღმოჩნდა სამარხის  
ცენტრალურ ნაწილში.

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,04 მ სიღრმეზე:  
სამარხი 7. (1,55×1;20 მ). დაზიანდა მიწის სამუშაოებისას. ამიტომ  
(1977. 28. X; III მიცვალებულის პოზისა და დამხრობის დადგენა ვერ  
8, 9; სურ. 46) მოხერხდა.

სამარხში აღმოჩნდა:

61 (01/10 — 526; სურ. 48) ქოთანი თიხისა ნაცრისფრად გამომწვარი, ალაგ  
შავი ლაქებიანი ზედაპირი აქვს, პირი მრგვალი, გადაშლილი, ყელი — გამოყვან-  
ილი, მუცელი სფერული, ძირი — ბრტყელი. მხარს ხორბლისებრი კდეული  
ორნამენტი ამკობს, მთელ ტანზე მორგვისეული ღარები შემოუყვება. ძირს კი-  
დეზე ირიბი კდეები აქვს დატანილი. დმ პირის — 10,2, მუცლის — 14, ძირი-  
სა — 6,3 სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან.

62 (01/10 — 527); სურ. 46) ხელადა თიხისა, მოშავო-მონაცრისფროდ გა-  
მომწვარი. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — შეზნეპილი, მუცელი —  
სფერული. მხარზე წნევით დატანილი ნაპრიალები ზოლებით შექმნილი პარკე-  
ტული სახეებია მოცემული. მუცელს ერთი ღრმა ფართო ღარი შემოუყვება.  
განიკვეთში ოვალური ყურის თავი ყელზეა დაქერწყნილი, ხოლო ყურის ძირი  
მუცელზე, დაზიანებულია.

კეცის სისქე — 0,5, მუცლის დმ — 13 სმ.

63 (01/10 — 528; სურ. 47) დერგი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი. ალაგ  
შავი ლაქები აქვს, ზედაპირი ნაპრიალებია. მუცელი—სფერული, ძირი—ბრტყე-  
ლი, ქუსლი — დაბალი. ყელს ძირთან ერთი ტალღური, ხოლო მხარსა და მუ-  
ცელზე ექვსი ფართო ღარი შემოუყვება. დაზიანებულია. სიმაღლე — 33, დმ  
მუცლის — 34, ძირის — 10 სმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან.

64 (01/10 — 529; სურ. 49) ქოთანი თიხისა, მოწითალოდ გამომწვარი. პირი  
მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — სფერული, ძირი —  
ბრტყელი. ყელს წნევით დატანილი ვერტიკალური ხაზები დაუყვება, მხარს ორ  
ფართო ღარს შორის მოთავსებული პარკეტული სახეები შემოსდევს. მუცლიდან  
ძირისაკენ საკმაოდ ფართო ასიმეტრიული ნაპრიალები ზოლები დაუყვება. სიმა-  
ღლე — 19 სმ, დმ მუცლის — 23 სმ, ძირის — 8,5 სმ. აღმოჩნდა დერგის და-  
სავლეთით.

65 (01/10 — 530; სურ. 50) ლანგარი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი. პი-  
რი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი. მხარი — ღარისებრი, წიბოიანი, კალ-  
თები — თანაბრად დაშვებული ძირი — ბრტყელი, გარეთა ზედაპირი ნაკაწრი  
ზოლებითაა დაფარული. დაზიანებული. დმ პირის — 32,5 სმ.

68 (01/10—531; სურ. 51) ქოთანი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პი-  
რი — მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — გამოყვანილი, მუცელი — სფერუ-  
ლი, მხარს ირიბი ხორბლისებრი კდეული ორნამენტი ამკობს. მთელ ტანზე მორ-  
გვისეული ღარები შემოუყვება. დაზიანებულია.

სიმაღლე — 13, დმ პირის — 11,5, მუცლის — 15,5. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 75 სმ სიღრმეზე, და-  
სამარხი 8. ზიანდა მიწის სამუშაოებისას. დამხრობა დანამდვილებით  
(1978. 7. VIII; არ დგინდება. მასში აღმოჩნდა ჩვილი ბავშვის წვივის,  
XVII, 2; სურ. 52) წინამხრისა და თავისქალას ნაწილები, აგრეთვე მოზრდი-  
ლი ადამიანის ბარძაყის ძვალი.

სამარხში აღმოჩნდა:

57 (01/10—534; სურ. 59). ლანგარი მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. პირი მრგვალი, გადაშლილი, მხარი — ლარისებრი, კალთები თანაბრად დაშ-  
ვებული. სიმაღლე 8,5; დმ პირისა 29,8, ძირის — 8 სმ.

58 (01/10 — 535; სურ. 54) ჭურჭელი თიხისა, შავად გამომწვარი, მუცელი  
მომრგვალებული აქვს, ძირი ბრტყელი. ტანზე მორგეისეული ხაზები დაუყვება.  
განივკვეთში ოვალური ყურის ძირი მუცელზეა მიძერწილი. ნაკლული. სიმაღ-  
ლე — 9,5, დმ მუცლის 9,5, ძირისა — 5 სმ.

59 (01/10 — 536; სურ. 55) ქინკილა თიხისა, მოშავო-მონაცრისფროდ გა-  
მომწვარი, პირი — მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — გამოყვანილი, მუცე-  
ლი — ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, დაბალქუსლიანი. განივკვეთში ოვალუ-  
რი ყურის თავი პირზეა დაძერწილი, ხოლო ყურის ძირი მხარზე. ყელს ზევით  
და ძირში რამდენიმე ასიმეტრიული ღარი შემოუყვება. მუცელზეც ერთი ასიმე-  
ტრიული ღარი შემოსდევს.

სიმაღლე — 10, დმ პირის — 5, ყელის — 4,3, მუცლის — 9,5, ძირის —  
4,5 სმ.

60 (01/10—537; სურ. 53) დოქი თიხისა, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვა-  
რი. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — ცილინდრული, მხრები — მომრ-  
გვალებული, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ყელი შესქელებულია  
და ქმნის მკვეთრ წიბოს, რომელზედაც დაძერწილია განივკვეთში ოთხკუთხა  
ყურის თავი, ხოლო ყურის ძირი მხარზეა მიჩილული. ყელზე ამჩნევია წვრი-  
ლი კონცენტრული ხაზები, ხოლო ყელს ძირში რამდენიმე ასიმეტრიული ღარი  
შემოუყვება, რომლებსაც ქვემოთ ირიბი ჰედები შემოსდევს. მუცელზე ორი  
ფართო ღარია დატანილი.

სიმაღლე — 26,5, დმ პირისა — 11, ყელისა — 8, მუცლისა — 27,1, ძირი-  
სა — 10,5 სმ.

61 (01/10 — 538; სურ. 58). ქოთანი თიხისა მოყავისფროდ გამომწვარი,  
პირი მრგვალი აქვს, ყელი — დაბალი, გამოყვანილი, მხრები — მომრგვალე-  
ბული, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. მუცელზე და ყელს ძირში  
შემოსდევს ხორბლისებრი ნაკვდევები. ზოომორფული, განივკვეთში ოვალური  
ყურის თავი მხარზეა მიძერწილი, ხოლო ყურის ძირი მუცელზე.

სიმაღლე — 12,8, დმ პირისა — 9, ყელისა — 8,8, მუცლისა — 14, ძირი-  
სა — 6,8 სმ.

62 (01/10—539) თიხის კურკლის ნატეხები. დამზადებულია კარგად განლეკილი თიხისაგან. შეადაა გამომწვარი. კეცი გადანატეხში ყავისფერია. კეცის სისქე — 6 მმ.

63 (01/10 — 540) თიხის კურკლის ძირგვერდის ნატეხები. დამზადებულია ცუდად განლეკილი თიხისაგან. მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი. კეცი გადანატეხში ნაცრისფერია. კეცის სისქე — 0,7 სმ.

64 (01/10 — 541; სურ. 56) კათხა თიხისა, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი. ცუდად განლეკილი თიხისაგან, პირი მრგვალი აქვს, ტანი — კასრისებრი, ძირი — ბრტყელი. პირთან ორ რიგად შემოსდევს ფართო ღარი. ზომორფული, განივკვეთში ოთხკუთხა ყურის თავი პირს ოდნავ ქვემოთ, ხოლო ყურის ძირი მუცელზეა დაქერწყილი. ტანზე ემჩნევა ვერტიკალური ღარები. ხოლო ძირს მორგვისეული კონცენტრული ზოლები შემოუყვება. სიმაღლე — 10,5, დმ პირის — 10, მუცლისა — 11,5, ძირისა — 6,7 სმ.

65 (01/10—542; სურ. 57) დოქი თიხისა, ნაკლული, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი; მუცელი სფერული აქვს, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი, მუცელზე სამი, ხოლო ძირზე ორი ღარი შემოუყვება. ტანზე მორგვისეული ხაზები ემჩნევა. მხარზე ყურის მიდგომის ადგილი ეტყობა. სიმაღლე — 23, დმ მუცლის — 24, ძირისა — 10,5 სმ.

66 (01/10 — 543; სურ. 61) სამაჯური ბრინჯაოსი — პატინირებული, თავებგადადებული, განივკვეთში ღერო მრგვალია.

67 (01/10 — 544) კილიტები ბრინჯაოსი, ოთხი ცალი, ამათვან: ერთი რომბულია, სამი — ნახევარსფერული. რომბულის სისქე — 1,4 სმ, ნახევარსფერულის დმ — 0,7, 0,6, 0,1 სმ.

68 (01/10 — 545) რკინის ნატეხები (5 ნატეხი).

69 (01/10 — 546; სურ. 60) კოკობი თიხისა. ყავისფრად გამომწვარი. პირი გადაშლილი აქვს, მუცელი — კონუსური, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 8, დმ პირის — 4,8, ყელის — 4,5, მუცლის — 8,5, ძირის — 4 სმ.

70 (01/10 — 547; სურ. 62) მძივები პასტისა ცისფერი (3) ბიკონუსური, ტანზე დაუყვებათ ირიბი ღარები, სიგრძე — 8, დმ — 2 მმ.

სამარხი 9  
(1978. 9. VIII;  
CXLVII, 9)

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 95 სმ სიღრმეზე. დაზიანდა მიწის სამუშაოებისას. ამიტომ, მისი დამხრობა და ზომები ვერ დგინდება. სამარხში მიცვალბულის ბარძაყისა და მენჯის ძელები დადასტურდა.

71 (01/10 — 548) თიხის კურკლის ძირი, მოყავისფროდ გამომწვარი. კეცი გადანატეხში მოწითალოა, აქვს დაბალი ქუსლი. ძირის დმ — 8 სმ.

72 (01/10 — 549; სურ. 63) დოქი თიხისა, პირმოტეხილი. მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ყელი კონუსური აქვს, მუცელი — სფერული, ძირი —



ბრტყელი. განიკვეთში ოვალური ყურისთავი პირზეა დაძერწილი, ხოლო ყურისძირი მხარზე. მხარზე 3 ფართო ღარი შემოსდევს.

სიმაღლე — 34, დმ ყელის — 10, მუცლის — 29, ძირის — 10,5 სმ.

73 (01/10 — 550; სურ. 64). დერგი თიხისა, მონაცრისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, მრგვალი, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი, ყელს ძირთან და მხარზე სამ-სამი კონცენტრული ღარი შემოსდევს.

სიმაღლე — 29, ძირის დმ — 11,5 სმ.

74 (01/10 — 551; სურ. 66) კოჭობი თიხისა, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, მრგვალი, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული. დაზიანებული.

სიმაღლე — 7, დმ. პირის — 4,8, მუცლისა — 8 სმ.

75 (01/10 — 552); ლანგარი თიხისა, მოყავისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს. მხარი ღარისებრი, წიბოიანი, კალთები — თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი, დაზიანებული. კეცის სისქე — 0,9 სმ.

76 (01/10 — 553; სურ. 65) ქილა თიხისა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი სფერული, ძირი — ბრტყელი, სიმაღლე — 17 სმ., ძირის დმ — 8,5 სმ.

77 (01/10 — 554; სურ. 67) საკინძი ბრინჯაოსი, მრგვალთავიანი, წვერი მოტეხილი აქვს. თავს ქვემოთ ოთხი რელიეფური ზოლი შემოუყვება, ოვალურ-ნახევრეტიანი, წვერისკენ თანდათან ვიწროვდება.

სიგრძე 9 — სმ.

78 (01/10 — 555; სურ. 67- საკინძი ბრინჯაოსი. ანალოგიურია 554-ის, სიგრძე — 8,7 სმ.

79 (01/10 — 556; სურ. 67) საკინძი ბრინჯაოსი, ანალოგიურია 554, 555-ისა, სიგრძე — 8,8 სმ.

80 (01/10 — 557) რგოლი ბრინჯაოსი, პატინირებულია, სადაზედაპირიანი, განიკვეთში ღერო მრგვალია. რკალის დმ — 1,4 სმ.

81 (01/10 — 558; სურ. 68) მძივები: ა) სარდიონისა მოწითალო, კასრისებრი (7), უდიდესი სიგრძე — 4, დმ — 3 მმ. ბ) პასტისა ცისფერი — (80), სფერული, სიგრძე — 3, დმ — 2 მმ.

#### სამარხი 10

(1978. 11. VIII  
CXXVIII, 1. 2)

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 85 სმ სიღრმეზე. დაზიანდა მიწის სამუშაოებისას. ამიტომ მისი დამხრობა და ზომები ვერ დგინდება.

სამარხში მიცვალებულის წვივის ძვლები დადასტურდა.

სამარხში აღმოჩნდა:

82 (01/10 — 559; სურ. 89) ღერგი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი. კვერცხისებრი მოყვანილობის, ძირი ბრტყელი აქვს. მხარზე ორი კონცენტრული ღარი ეტყობა, განივკვეთში ოთხკუთხა ყურისთავი მხარზეა მიძერწილი, ხოლო ყურისძირი მუცელზე. ნაკლული.

ღმ მუცლის — 32,5 სმ. ძირის — 32,5 სმ.

83 (01/10 — 560) ლანგარი თიხისა, მოყავისფროდ გამომწვარი. პირი გადაშლილი აქვს. მხარი — ღარისებრი წიბოიანი, კალთები დაშვებული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი. ზედაპირზე მორგვის კვალი ატყვია, შიდა პირზე წნევით დატანილი რომბისებრი სახეებია მოცემული. დაზიანებული. სიმაღლე — 9,5 სმ.

84 (01/10 — 561) რკინის შუბისწვერის ნატეხი, ძლიერ დაჟანგული, სამკუთხა ფორმის. სიგრძე — 4,5 სმ.

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 45 სმ სიღრმეზე. დასმარხი 11 ზიანდა მიწის სამუშაოებისას. ქვაყრილიანია (1,80 X 1,10 მ). დაკრძალულია ერთი მიცვალებული მარჯვენა CXX XVIII, 6, 0; გვერდზე ხელფეხმოკეცილი. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. № — S, სურ. 70) ლი. ეტყობა, იგი ქვაყრილის ჩაქცევისას დაზიანდა.

85 (01/10 — 562; სურ. 71) ქოთანი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, მხარზე ხორბლისებრი ჭდეები შემოსდევს, განივკვეთში ოვალური. ზომორფული ყურისთავი მხარზეა მიძერწილი, ხოლო ყურისძირი — მუცელზე, ძირზე ირიბი ჭდეები შემოუყვება. სიმაღლე — 18, ძირის ღმ — 7,2 სმ.

აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან.

86 (01/10 — 563) თიხის ქურჭლის — პირყელის, ძირგვერდისა და მუცლის ნაწილი. მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაღარული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი. მხარზე ორი ღარი შემოუყვება, რომელშიც ხორბლისებრი, ირიბად დატანილი ორნამენტია მოცემული, განივკვეთში მრგვალი ყურისთავი პირზე ჰქონდა დაძერწილი. კეცის სისქე — 8 მმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან.

87 (01/10 — 564; სურ. 73) ქილა თიხისა, მონაცრისფრო — მოშავოდ გამომწვარი; პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — მრგვალი, ძირი ბრტყელი, ქუსლი — დაბალი, ყელზე და მხარზე სამ-სამი ღარი შემოუყვება. მხრის ღარებს შორის წიწვოვანი ორნამენტია დატანილი. განივკვეთში ოთხკუთხა ორი ზომორფული ყურისთავი მხარზე, ხოლო ყურისძირი მუცელზე ერთმანეთის საპირისპიროდაა დაძერწილი. დაზიანებულია. სიმაღლე — 24,5 ღმ ძირის — 10 სმ.

88 (01/10 — 565; სურ. 72) ლანგარი თიხისა, მოყავისფროდ გამომწვარი.

პირი გადაშლილი აქვს, მხარი — ღარისებრი, წიბოიანი, კალთები — თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი. შიდაპირზე წნევით დატანილი ხაზები ეტყობა. სიმაღლე — 9,9, დმ პირისა — 33,7, ძირის — 13,4 სმ.

89 (01/10 — 566; სურ. 74) ქოთანი თიხისა, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული. ძირი — ბრტყელი, სიმაღლე — 13, დმ პირის — 9,3, მუცლის — 14, ძირის — 5,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის ზედა კიდურების ქვეშ.

90 (01/10 — 567; სურ. 75) სამარლვე თიხისა, მოყავისფროდ გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, მუცელი — წიბოიანი, ძირი — ბრტყელი, სიმაღლე — 3,7, დმ პირის — 7, ძირის — 4 სმ.

91 (01/10 — 568; სურ. 76) ქოთანი თიხისა ყავისფრად გამომწვარი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. ყელს ძირთან ხორბლისებრი ორნამენტი შემოსდევს. მუცელზე ოთხი რელიეფური ზოლი შემოუყვება, რომელზედაც ირიბი ჭდეებია დატანილი. მუცლის ქვემოთ და ძირზეც ასეთივე ირიბი ჭდეებია მოცემული. ზოომორფული ყურისთავი მხარზე, ხოლო ყურისძირი მუცელზეა დაძერწილი. სიმაღლე — 12, დმ ძირის — 9,9, ძირისა — 5,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში.

92 (01/10 — 569; სურ. 78) სამაჭური ბრინჯაოსი, ორად გადაკეცილი, თავი გახსნილი აქვს, ზედაპირი — სადაა. განიკვეთში ღერო ოვალურია. რკალის დმ — 7,7 სმ. მიცვალებულს მარცხენა ხელის მაჯაზე ეკეთა.

93 (01/10 — 570; სურ. 80) მახათი ბრინჯაოსი, წვერგადატეხილი, თავთან დაბრტყელებული და გახვრეტილია, წვერთან შევიწროებული. ღერო განიკვეთში მრგვალია. სიგრძე — 9,3 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა კიდურის ქვეშ.

94 (01/10 — 571; სურ. 79) შუბისწვერი რკინისა, მასრაგახსნილი, მხრებდაშვებული. სიგრძე — 23 სმ (დაზიანებული 2 ნატეხი). აღმოჩნდა ლანგარზე.

95 (01/10 — 572; სურ. 77) ისრისწვერი ბრინჯაოსი, ნესტრისებრი, დამზადებულია თხელ ფირფიტაზე, სამკუთხედის ფორმის, შუაში გახვრეტილი. სიგრძე — 2,5 სმ. აღმოჩნდა მარჯვენა ქვედა კიდურთან.

96 (01/10 — 573; სურ. 77) ისრისწვერი ბრინჯაოსი, ნესტრისებრი, დამზადებულია თხელ ფირფიტაზე, სამკუთხედის ფორმის, წვერთან გახვრეტილია. სიგრძე — 2 სმ. აღმოჩნდა იქვე.

97 (01/10 — 574; სურ. 77) ისრისწვერი ბრინჯაოსი, ნესტრისებრი. დამზადებულია თხელ ფირფიტაზე, სამკუთხედის ფორმის, წვერთან გახვრეტილია. სიგრძე — 2,3 სმ. აღმოჩნდა იქვე.

98 (01/10 — 575). მძივები (6), აქედან: სარდიონისა ლუქისებრი, ვაშლისებრი (1). სიგრძე — 6, დმ — 8 მმ.; ბ) პასტისა ცისფერი (5), 4 — ბიკონუსური. სიგრძე — 2 მმ, დმ — 2 მმ. აიკრიფა მიცვალებულის თავის ქალასთან.

სამარხი 12  
(1978. 23. VIII;  
СХХХVIII, 6, 9;  
სურ. 81).

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 85 სმ სიღრმეზე. და-  
ზიანდა მიწის სამუშაოებისას, ამიტომ მისი დამხრობა და  
ზომები ვერ დადგინდა. დადასტურდა ორი მიცვალებუ-  
ლის ქვედა კიდურის ძვლები.  
სამარხში აღმოჩნდა:

99 (01/10 — 576) ყურიანი ტოლჩის ნატეხები, კარ-  
გად განლექილი თიხისა, კეცში წვრილმარცვლოვანი ჩანარებით. შავად გამომ-  
წვარი, კეცის სისქე — 0,6 სმ.

100 (01/10 — 577; სურ. 83) სასმისი თიხისა, მოწითალო-მოშავოდ გამო-  
მწვარი, პირი მრგვალი აქვს, ტანი — ცილინდრული, ძირი — ბრტყელი, პირთან  
ორივად შემოუყვება ვიწრო ღარები. დაზიანებული. სიმაღლე — 6,1, დმ  
მუცლის — 9, ძირის — 7,5 სმ.

101 (01/10 — 578; სურ. 82) ღერგი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი.  
პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — დაბალი, მხრები — მომრგვალე-  
ბული, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — ოდნავ გამოყვა-  
ნილი, ყელზე და მხარზე რამდენიმე ღარი შემოუყვება, მუცელზეც ორ ღარი  
შემოსდევს, რომელთა შორის ირიბი ჰდებებია მოცემული. დაზიანებული. სი-  
მაღლე — 30 სმ, დმ პირისა — 20, ყელისა — 19, მუცლისა — 33, ძირისა —  
9,5 სმ.

102 (01/10 — 579) თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნაწილი, მოწითალო-  
ღია წაბლისფრად გამომწვარი, დმ მუცლისა — 13, ძირისა — 5,8, კეცის სის-  
ქე — 0,5 სმ.

103 (01/10 — 580) ზომორფულყურიანი თიხის ჭურჭლის ნაწილი, კარგად  
განლექილი თიხისა, შავად გამომწვარი, კეცი გადანატეხში აგურისფერია. კე-  
ცის სისქე — 0,6 სმ.

104 (01/10 — 581) ლანგრის ძირისა და პირგვერდის ნატეხები, შავად გა-  
მომწვარი. მუქი ყავისფერი კეცით. პირი — მრგვალი აქვს, გადაშლილი; ყელი  
მხართან ქმნის მკვეთრ წიბოს. ზედაპირი დაზიანებული აქვს. კეცის სისქე —  
1 სმ.

106 (01/10 — 582, სურ. 84) თიხის ჭურჭელი, ნაცრისფრად გამომწვარი,  
პირმოყრილი, მუცელი სფერული აქვს, ძირი — ბრტყელი; პირთან ერთი ღარი  
შემოუყვება. იქვე ღართან ერთმანეთის საპირისპიროდ ჰორიზონტალურად მი-  
ძერწილი აქვს ორი გამჭოლნახვრეტეიანი ყური. მხრისა და გვერდის გადაკვეთა  
მუცელთან ქმნის წიბოს. ძირზე მიძერწილი აქვს 4 ფეხი, რომელსაც თი-  
ხის ჭურჭელი ეყრდნობა. სიმაღლე — 8,5, დმ პირისა — 4,8, მუცლისა — 9,9,  
ძირისა — 4,8 სმ.

106 (01/10 — 583) კვერთხისთავი ძვლისა. დამზადებულია ირმის რქისაგან,  
დაზიანებულია. სიგრძე — 4,4 სმ.

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,30 მ სიღრმეზე. სამარხი 18 მისი სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები მიწის საპუ-  
(1978. 9. X; X CIII, შოებისას დაზიანდა. ქვაყრილიანია (1,15×1,46 მ). და-  
11; № — S; კრძალულია ერთი მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე,  
სურ. 85). ხელფეხმოკეცილი. თავისქალას სიახლოვეს დადასტურ-  
და საქონლის ქვედა კედლები.

სამარხში აღმოჩნდა:

107 (01/10 — 584, სურ. 89) დერგი თიხისა, შავად ნაპრიალებზედაპირი-  
ანი. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცელი — გამობერი-  
ლი, ძირი — ბრტყელი, ქუსლი-გამოყვანილი, ყელს ძირში ორი ზოლი შემოუ-  
ყვება. მხარი შემკულია სამ-სამი ირიბად დაშტრიხული პირამიდებით, რომლე-  
ბიც ფუძით ეყრდნობა ორ ფართო ღარს. ამ ღარებს შუა მოცემულია წერტი-  
ლებისაგან შედგენილი ხაზები. მუცელზე დატანილია სამ-სამი კოპისაგან შე-  
მდგარი შვერილი და მათ შორის ვერტიკალურად ძირისკენ დახრილი რელიე-  
ფური ზოლები.

სიმაღლე — 27, დმ პირისა — 23, მუცლისა — 31, ძირისა — 11 სმ.  
აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში

108 (01/10 — 585. სურ. 94) ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილი. ჩასმუ-  
ლია ბრინჯაოსავე ქარქაშში. ტარი ოდნავ წელშია გამოყვანილი, ვადასთან მო-  
მრგვალებული. წელს შემოსდევს ეწრო რელიეფური სარტყელი. ტარის თავ-  
ზე, განიკვეთში მრგვალი ღეროა დამაგრებული, რომელიც შემკულია კონუ-  
სური ქუდით. ბოლო წაკვეთილია და შემოკვედილია სალტეთი, დაზიანებული.  
მთლიანი სიგრძე — 75, ქარქაშის სიგრძე 61,5, ტარის სიგრძე ვადამდე — 13,6.  
ძირის სიფართო ვადასთან — 4,5, წვეროსთან — 3 სმ. დერგზე იდო, ზემოდან.

109 (01/10 — 586; სურ. 97) სამაჯური ბრინჯაოსი, პატინირებული, თავ-  
ვებგადადებული, ზურგდაკეპნილი. განიკვეთში ღერო მრგვალია. მავთულის  
სისქე — 3 მმ, რკალის დმ — 8 სმ.

110 (01/10 — 587; სურ. 97) სამაჯური ბრინჯაოსი, პატინირებული, თავებ-  
გადადებული, ზურგდაკეპნილი. განიკვეთში ღერო მრგვალია, მავთულის სის-  
ქე — 3 მმ, რკალის დმ — 7,5 სმ.

111 (01/10 — 588; სურ. 97) სამაჯური ბრინჯაოსი, პატინირებული, თავ-  
ვებგადადებული, ზურგდაკეპნილი. განიკვეთში ღერო მრგვალია, რკალის  
დმ — 7,5 სმ.

112 (01/10 — 589) სამაჯური ბრინჯაოსი, პატინირებული, თავებგადად-  
ებული, ზურგდაკეპნილი. განიკვეთში ღერო მრგვალია. რკალის დმ — 7 სმ.

113 (01/10 — 590; სურ. 101) მახათი ბრინჯაოსი, პატინირებული, შუაზეა  
გადატეხილი. განიკვეთში ღერო მრგვალია. თავი ბიკონუსური ფორმისაა, იგი

დაბრტყელებული და გახვრეტილია. სიგრძე — 11 სმ. ოთხივე სამაჯური აღმოჩნდა მიცვალებულის ორივე ხელის სხივის ძვალზე.

114 (01/10—591; სურ. 92) ლანგარი თიხისა, ლეგანატრისფრად გამოშვარი, ოდნავ ნაპრიალებზედაპირიანი. პირი გადაშლილი აქვს, მხარი — ღარი-სებრი, წიბოიანი, კალთები თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი-გამოყვანილი; მხარს ხუთი ასიმეტრიული ვერტიკალური წნევით დატანილი ზოლები დაუყვება, ხოლო შიდაპირს ბადისებრი წნევით დატანილი ორნამენტი ამკობს.

სიმაღლე — 13,5, ძირის დმ — 14 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის ზურგს უკან.

115 (01/10 — 592; სურ. 99) სარტყელი ბრინჯაოსი, წარმოადგენს სიგრძით 96,5 და სიგანით 15,3 სმ-ის ფირფიტას. ზედაპირი გრავირებულია ორიგად ერთმანეთზე გადაბმული სპირალების უწყვეტი მწკრივებით. სპირალებს შუა მოცემულია ნადირობის სცენები. სარტყელს ბოლოებში აქვს სამსამი ნახვრეტი. აღმოჩნდა ლანგარის სიახლოვეს, მისგან აღმოსავლეთით.

116 (01/10 — 593; სურ. 98) ირმის რქის ძირი, ლხბისთავი შუაშია გახვრეტილი. სიგრძე — 13,5, ხვრელის დმ — 15 მმ.

117 (01/10 — 594, სურ. 102) ისრისწვერი ბრინჯაოსი, ორფრთიანი (ერთი ფრთა მოტეხილი აქვს), ფრთა მოგრძო და წვეტიანია, ყუნწი ვიწრო, ძირისაკენ ოდნავ გაგანივრებული. დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან. სიგრძე — 5,4 სმ.

118 (01/10 — 595 სურ. 102) ისრისწვერი ბრინჯაოსი, ორფრთიანი. ფრთები მოგრძო და წვეტიანია, ყუნწი ვიწრო, ძირისაკენ ოდნავ გაგანივრებული, დამზადებული თხელი ფირფიტისაგან. სიგრძე — 4,4 სმ.

119. — 127 (01/10 — 596 — 604; სურ. 102) ისრისწვერები რკინის, ორფრთიანი, 9 ცალი. დაზიანებული, ძლიერ დაუანგული, სამკუთხა ფორმის, სხვადასხვა ზომის.

128 (01/10 — 605; სურ. 96) შუბისწვერი რკინისა, მასრაგახსნილი, ძლიერ დაუანგული, პირი მოგრძო აქვს. სამკუთხა. სიგრძე — 27,5 სმ.

129 (01/10 — 606; სურ. 91) კოკობი თიხისა, წაბლისფრად გამომწვარი, ოდნავ ნაპრიალები. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — ცილინდრული, დაბალი, მუცელი — გამობერილი, ოდნავ ასიმეტრიული, ძირი — ბრტყელი. სიგრძე — 6,5, დმ პირისა — 5,2, მუცლისა — 8, ძირისა 4,3 სმ

130 (01/10 — 607) ბრინჯაოს გაურკვეველი ნივთის ორი ნატეხი, ძლიერ პატინირებული.

131 (01/10 — 608; სურ. 100) დანა რკინისა, წვერმომრგვალებული, პირი მოგრძო აქვს, ნალისებრი, ყუნწი სამკუთხა, ეტყობა ქსოვილის ანაბეჭდი. სიგ-

რძე — 14,5, ყუნწის სიგრძე — 3, სიგანე შუა წელში — 2,5, სიგანე წვეროს-  
თან — 1,2 სმ.

132 (01/10 — 609; სურ. 90). ქოთანი თიხისა, შავად გამომწვარი, ალაგ ყა-  
ვისფერლაქებიანი, ზედაპირი ნაპრიალები, პირი მრგვალი აქვს, ყელი — ცი-  
ლინდრული, მუცელი — მომრგვალებული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — გა-  
მოყვანილი, განიკვეთში ოვალური, ზომორფული ყური მუცელზეა დაძერ-  
წილი; ყელზე რამდენიმე ღარი შემოსდევს. ზედაპირს ეტყობა მკრთალი კონ-  
ცენტრული ხაზები.

სიმაღლე — 15, დმ პირისა — 11,5, მუცლისა — 16,5, ძირისა — 7 სმ.

133 (01/10 — 610) კილიტები ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, პატინირე-  
ბული, მომცრო ზომის (3) დმ — 8 მმ.

134 (01/10 — 611; სურ. 103) მძივები (38): ა) სარდიონისა (19), მოწითა-  
ლო (4), ხუთწახნაგა. სიგრძე — 5, დმ — 3 მმ; კასრისებრი (4), სიგრძე — 6,  
დმ. 2 მმ; სფერული (2), სიგრძე — 2, დმ — 2 მმ; დანარჩენი მრგვალ-  
ბრტყელი, სიგრძე — 3, დმ — 4 მმ; ბ) პასტისა (19), თეთრი (6) — ხუთწახნა-  
გა. (12) დაბალი, ცილინდრული, სიგრძე — 3, დმ — 2 მმ, ცისფერი (1), ბიკო-  
ნუსური, სიგრძე — 8, სიგანე — 2 მმ.

135 (01/10 — 612) თიხის კურკლის ყელგვერდის ნატეხი, მუქი ყავისფერი  
კეცითა და ზედაპირით. ყელს სამი კონცენტრული ხაზი შემოსდევს, კეცის სის-  
ქე — 7 მმ.

136 (01/10 — 613; სურ. 95) სატევარი რკინისა, მოგრძო, სამკუთხაპირი-  
ანი, მხრებგადგმული, პირზე მკვეთრი ქედით, სატარე ნაწილზე და მხრის და-  
საწყისში შემორჩენილი აქვს ტარის დასამაგრებელი 6 მანჭვალი. (დაზიანე-  
ბული). სიგრძე — 34,5, ტარის სიგრძე — ვადამდე — 24,5, პირის სიგანე —  
4 სმ.

137 (01/10 — 614) მსხვილფეხა საქონლის რქის ძირი.

სიგრძე — 13,5 სმ.

138 (01/10 — 615; სურ. 90) ხელადა თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი,  
პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, მუცელი — მრგვალი, ძირი — ბრტყელი,  
ქუსლი — გამოყვანილი, მხარზე ორი ზოლი შემოუყვება; განიკვეთში ოვა-  
ლური ყურისთავი პირზეა დაძერწილი, ხოლო ყურისძირი — მხარზე. დაზიან-  
ებული. სიმაღლე — 18,5; დმ მუცლისა — 18,5, ძირისა — 8 სმ.

139 (01/10 — 616; სურ. 103) კაურები (4).

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 45 სმ სიღრმეზე.

სამარხი 14  
(1978. 8. X;  
XCHH, 11)

იგი მე-13 და მე-15 სამარხების თავზე იყო გამართული.  
ერთმანეთში იყო არეული მიცვალებულის თავისქალას  
ნაწილები და თიხის კურკლის ნატეხები.

სამარხში აღმოჩნდა:

140 (01/10 — 617; სურ. 85) სასმისი თიხისა, აგურისფრად გამომწვარი. ბაკო დაბრტყელებული აქვს, ტანი — კონუსური, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი. მუცელზე ყურის მიძერწვის ადგილი ეტყობა. სიმაღლე — 7,4, დმ პირისა — 6,5, მუცლისა — 8,4, ძირისა — 5,3 სმ.

141 (01/10 — 618; სურ. 87) ქილა თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, ოდნე ნაპრიალებზედაპირიანი. პირი გადაშლილი აქვს, მომრგვალებული, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი. მხარი და მუცლის ნაწილი დაღარული აქვს. პირზე და მუცელზე ეტყობა ყურის მიძერწვის ადგილი. სიმაღლე, — 13,8, დმ პირისა — 8,4, ყელისა — 8, მუცლისა — 13,5, ძირისა — 6,9 სმ.

142 (01/10 — 619) ლანგრის ნატეხი თიხისა, შავად გამომწვარი, კეცი გადანატეხში ნაცრისფერია, პირი გადაშლილი აქვს, მხარი—ღარისებრი, წიბო-იანი. კეცის სისქე—1 სმ.

143 (01/10 — 620; სურ. 86) ქოთანი თიხისა, შავად გამომწვარი, აკლია პირისა და ძირის ნაწილი. მუცელი სფერული აქვს. ყელს ძირში ერთი, ხოლო მხარს ორი ღარი შემოუყვება. მუცელზე ვერტიკალური რელიეფური ზოლები დაუყვება. კეცის სისქე — 8 მმ.

144 (01/10 — 621) ქოთანი თიხისა, პირ-გვერდისა და მუცლის ნაწილი. შავად გამომწვარი. კეცი გადანატეხში ნაცრისფერია. პირი გადაშლილი აქვს. ყელი — გამოყვანილი, ყელზე და მუცელზე წნევით დატანილი ნაპრიალები ზოლები ატყვია. კეცის სისქე — 4 მმ.

145 (01/10 — 622) ქოთანი თიხისა, პირ-გვერდისა და მუცლის ნაწილი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული. ყელზე ირიბი ნაკღევი შემოსდევს. მუცელზე შემოუყვება ვიწრო ღარი, რომელსაც ჰკვეთს ირიბი ჭდეები. განივკვეთში ოვალური ყურისთავი მუცელზეა მიძერწილი.

კეცის სისქე — 5 მმ.

146 (01/10 — 623) ჭურჭლის პირ-გვერდისა და მუცლის ნაწილი. მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. ბაკო დაბრტყელებული აქვს, მუცელი — მრგვალი. კეცის სისქე — 1 სმ.

147 (01/10 — 624) თიხის ჭურჭლის პირ-გვერდისა და ძირის ნაწილი. ნაცრისფრად გამომწვარი. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — ძაბრისებრი, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი. ყელზე ვერტიკალური წნევით დატანილი ხაზები ატყვია. მხარზე ერთი ღარი შემოუყვება, რომელსაც ფუძით ეყრდნობა დაშტრისული პირამიდები. მუცელზე ვერტიკალური რელიეფური ზოლები ეტყობა. კეცის სისქე — 0,9 სმ.



სამარხი 15  
(1078. 9. X;  
XCIH, 11;  
სურ. 104).

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,30 მ სიღრმეზე. მისი სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები მიწის სამუშაოებისას დაზიანდა. ქვაყრილიანია (1,15×1,46 მ). დაკრძალულია 30 — 35 წლის მამაკაცი მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

148 (01/10 — 625; სურ. 105) ქოთანის თიხისა, მოშავო-მოყავისფროდ გამოშვარი, პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. მხარს ამკობს სამი ხორბლისებრი ნაჭდევი-საგან შედგენილი სარტყელი. მუცელზე ვერტიკალურად ეშვება ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული სამ-სამი ფართო რელიეფური ზოლი. მუცელზე ორი, განივკვეთში ოვალური ზომიერი ყური ერთმანეთის საპირისპიროდაა დაძერწილი. სიმაღლე — 26,5, დმ პირისა — 21, ყელისა — 20, მუცლისა — 33,8, ძირისა — 10,5 სმ.

50 (01/1 — 338; სურ. 261, 582) სანელსაცხებლე, მომწვანო-წყლისფერა გამჭვირვალე მინისა. თხელკედლიანია. აქვს ჩაქეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი მუცელი, სწორი ძირი. მცირედ ირიზებულია. სიმაღლე — 10, ყელის სიმაღლე — 6,3 სმ, დმ მუცლისა — 3,6, ძირისა — 2 სმ.

51 (01/1—389; სურ. 262, 582), სანელსაცხებლე მომწვანო-წყლისფერი გამჭვირვალე მინისა, თხელკედლიანია. აქვს ჩაქეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი მუცელი, შეზნეპილი ძირი. მცირედ ირიზებულია. სიმაღლე — 8,7, მუცლის დმ — 3,5, ძირის დმ — 2,3, ყელის სიმაღლე — 6,5, პირის დმ — 2 სმ.

52 (01/1 — 390; სურ. 263) სანელსაცხებლე მომწვანო-წყლისფერი გამჭვირვალე მინისა თხელკედლიანია. აქვს ჩაქეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი მუცელი, შეზნეპილი ძირი. მცირედ ირიზებულია. დმ მუცლისა — 2,5, ძირისა — 2, პირისა — 2 სმ. ყელის სიმაღლე — 4,5, სიმაღლე — 6,5 სმ.

58 (01/1 — 391; სურ. 264) სანელსაცხებლე ღია-მომწვანო გამჭვირვალე მინისა, თხელკედლიანია. აქვს ჩაქეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი მუცელი, სწორი ძირი. მინა მცირედ ირიზებულია (აღდგენილია გრაფიკულად). სიმაღლე — 10 სმ, დმ მუცლის — 3,2, პირისა — 2,5 სმ; ყელის სიმაღლე — 7,2 სმ.

54 (01/1 — 392; სურ. 265) სანელსაცხებლე ღია-მომწვანე გამჭვირვალე მინისა. თხელკედლიანია. აქვს გადაშლილი პირი, ჩაქეცილი ბაკო, მაღალი ყელი, მსხლისებრი მუცელი, მცირედ შეზნეპილი ძირი. მინა მცირედ ირიზებულია

(აღდგენილია გრაფიკულად). სიმაღლე — 8,5, დმ. პირისა — 2, ყელისა — 1, მუცლისა — 3 სმ.

56 (01/1 — 393; სურ. 266) მინის 2 სანელსაცხებლის ნატეხები (2 ც.). სანელსაცხებლე მწვანე გამჟვარივალე მინისა. სქელკედლიანია. შემორჩენილია ყურ-გვერდის ფრაგმენტი. სანელსაცხებლე ღია მწვანე—წყლისფერი მინისა. გამჟვარივალეა, თხელკედლიანი შემორჩენილია მხოლოდ მსხლისებრი მუცელი: დმ 2.8 სმ.

58 (01/1—394; სურ. 267, 583). მძივები: გიშრისა ბრტყელი, ორნახვრეტიანი, რელიეფურზედაპირიანი — 46 ც. ოთხკუთხა — 12 ც.; საკიდები ჩოგანის ფორმისა — 7 ც. 14-წახნაგა — 11 ც. მწვანე პასტისა მოგრძო გვერდებდაწახნაგებული — 3 ც.; მწვანე ფერის მანდარინისებრი — 1 ც., მთის ბროლის, გვერდებდაღარული, მრგვალობრტყელი — 2 ც., ლურჯი მინის საკიდი — 1 ც., ბიკონუსური ლურჯი მინისა — 2 ც., მწვანე მინისა, მანდარინისებრი — 1 ც., ალმანდინისა, სხვადასხვა ზომის — 23 ც., ალმანდინის მონაცრისფრო — 1 ც., სარდიონის დიდი ზომის ბიკონუსური — 1 ც., მცირე ზომის იგივე — 2 ც. მძივსაკიდი სარდიონისა, კონუსური — 1 ც., სარდიონის მანდარინისებრი — 1 ც., სარდიონის გვერდებდაწახნაგებული, კასრისებრი — 1 ც., შვინდის კურკის ფორმისა — 13 ც.

57 (01/1 — 395; სურ. 268) რკინის ლერაკები (2 ც.; შემორჩენილი აქვს ხის ნაშთი (ლურსმინის ნარჩენები?). სიგრძე — 3 სმ, დმ — 5 მმ.

58 (01/1—395<sup>1</sup>; სურ. 269) რგოლი ვერცხლისა. შიგა მხრიდან ბრტყელია, გარედან — ოვალური. მთლიანია. დმ — 1,5 სმ.

59 (01/1 — 396; სურ. 270, 271) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განივეკვეთში სამკუთხა. სარდიონის გემა-ინტალიოზე გამოსახულია ანთებული ბომონი.

60 (01/1—397; სურ. 271) საყურე ოქროსი. სამწილაღია, სამივე ნაწილი ერთმანეთთან მოძრავადაა დამაგრებული. ზედა ნაწილი შედგება ყურში გასაყრელი მავთულისაგან, რომელზედაც მირჩილულია ნახევარმთვარის ფორმის თვალბუდე ალმანდინის თავდაბრტყელებული თვლით და რგოლისაგან, რომელიც ამ ნაწილში მდებარე სახსრის შუა ნაწილს წარმოადგენს. შუა ნაწილი შედგება ერთმანეთის გვერდით მირჩილული 4 თვალბუდისაგან, რომელთაგანაც ერთი რომბისებურია, სამი კი ნახევარმთვარისებრი (იგივე ფორმის ალმანდინის თვლებით შერეული), მესამე ნაწილი კი შედგება სამი მოძრავი გრეხილი მავთულისაგან, რომლებსაც ბოლოებზე მრგვალი ფორმის თვალბუდეები აქვთ, იგივე ფორმის ალმანდინის თვლებით. სიგრძე — 4,6, სიგანე — 2 სმ; წონა — 2,530 გრ.

61 (01/1 — 398; სურ. 272) საყურე ოქროსი. ერთწილაღია. შედგება ყურში გასაყრელი მოხრილი ოქროს მავთულისაგან, რომელზედაც უძრავადაა დამაგრებული ნუშის ფორმის თვალბუდე, ალმანდინის თავბრტყელი თვლით. თვალ-

ბუდეს თავსა და ბოლოში 2 პატარა ლერაკი აქვს პაწია მარგალიტებით შემკუ-  
ლი. სიგრძე — 1,6 სიგანე — 10 სმ, წონა — 0,99 გრ.

02 (01/1 — 399; სურ. 274) საყურე ოქროსი. ზემოაღწერილის ანალო-  
გიური. სიგრძე — 1,5, სიგანე — 0,5 სმ., წონა — 0,775 გრ.

03 (01/1 — 400; სურ. 275) საყურე ოქროსი. წარმოადგენს თავგახსნილ  
რგოლს, რომლის ქვედა ნაწილზე უძრავადაა მიჩნეული ლერაკი, მასზე ზემო-  
დან ქვემოთ ასხმულია: ოქროს ვარდული (ცვარათი), ცილინდრული მძივი მწვან-  
ნე პასტისა, ოქროს ვარდული და მარგალიტის მძივი. სიგრძე — 2 სმ., წონა—  
0,855

04 (01/1 — 401; სურ. 276) საყურე ოქროსი, ზემოაღწერილის ანალოგიუ-  
რია. წონა — 0,855 გრ.

05 (01/1 — 402; სურ. 277) საყურე ოქროსი, წარმოადგენს განიკვეთში  
ოთხკუთხა გრებილ რგოლს. დმ—1 სმ. წონა — 0,310 გრ.

06 (01/1 — 403; სურ. 278) საყურე ოქროსი, ზემოაღწერილის ანალოგი-  
ური. წონა — 0,345.

ქვაყუთია, მცირე ზომის ბანურსახურავიანი.  $0,70 \times$   
**სამარხი 189**  $0,30 \times 0,25$  მ. სამარხში ესვენა მცირეწლოვანი. მისი  
(1976. 11. XI;  
I XVI, 5; NO—SW) მარხში აღმოჩნდა: რკინის ბეჭედი.

07 (01/1 — 413; სურ. 279) ბეჭედი რკინის ფრა-  
კიანია, მხრებდაკუთხული (?) დაქანგულია, ფრაგმენტირებული. დმ—2 სმ.

ქვაყუთია, მცირე ზომის, ბანურსახურავიანი.  $1.00 \times$   
**სამარხი 191**  $0,50 \times 0,60$ ; ერთი ზრდასრული მიცვალებულის ძვლები  
(1976. 28. IX;  
CXX, 6; O—W) ჩაწყობილი ჩანდა მცირე ზომის სამარხში, იქვე იღო  
თავის ქალაც (მეორედ დაკრძალვა (?)).

სამარხში აღმოჩნდა: რკინის უფორმო ნივთი, რო-  
მელი დენარი, მძივები.

08 (01/1 — 385; 281) ზოდი რკინისა, დაქანგულია, მოგრძო ფორმა აქვს.  
განიკვეთში თითქმის ოვალურია. სიგრძე — 8,5, სიგანე — 2,5 სმ.

09 (01/1 — 384; 280) მძივები, ლურჯი პასტისა, მანდარინისებრი, 40 ცა-  
ლი. დმ — 3 მმ.

70 (01/1 — 386;) ავეუსტუსის (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.) დენარი. მოჭრი-  
ლია ძვ. წ. 2, ახ. წ. 4 წწ. ან უფრო გვიან, გალიის ზარათხანაში\*.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე  
**სამარხი 201** ნარიბანდებით. სამი მიცვალებულის ძვლები არეული  
(1976. 14. X, XVI, დაკვებდა.  $2.05 \times 1.00 \times 0,91$  მ. სამარხი გაუძარცვავთ.

9, O—W) სამარხში აღმოჩნდა: ილარი, საკინძი, გემა—ინტა-  
ლიო, 2 ოქროს საყურე.

\* სამაროვანზე აღმოჩენილი მონეტების წინაწარი ატრიბუცია ეკუთვნის ისტ. მეცნ. კანდ.  
გ. ლუნდუას.

71 (01/1 — 377; სურ. 282) საყურე ოქროსი. წარმოადგენს ოქროს თავ-  
გახსნილ რგოლს, რომელსაც ოქროსავე პატარა ღერაკი აქვს მიჩილული.

სიმაღლე — 1,5, დმ — 0,6 სმ. წონა — 0,420 გრ.

72 (01/1 — 378; სურ. 283) საყურე ოქროსი. წარმოადგენს განივკვეთში  
ოთხკუთხა, გრეხილ, თავგახსნილ რგოლს. დმ — 1,2 სმ. წონა — 0,480 გრ.

73 (01/1 — 379; სურ. 284) რგოლი ბრინჯაოსი. მცირე ზომისაა. მთლიანი  
დმ — 2, სისქე — 0,3 სმ.

74 (01/1 — 380; სურ. 285) საკინძი ბრინჯაოსი, რელიეფურთავიანია. შუა  
ადგილი შინდის კურკის ფორმისაა, ხოლო მისი თავი და ბოლო ბრინჯაოსავე  
კვადრატებითაა შემკული. სიგრძე — 7,8 სმ.

75 (01/1—381; 286)) ილარი ბრინჯაოსი. წარმოადგენს განივკვეთში მრგვალ  
ღერაკს, რომელსაც ერთი თავი კოვზის ფორმაზე აქვს დაბრტყელებული. სიგრ-  
ძე — 8,2 სმ.

76 (01/1 — 382; სურ. 287) გემა — ინტალიო თაფლისფერი სარდიონისა,  
გამოსახულია წყვილცხენიან ეტლზე ამხედრებული ნიკე მშვილდით ხელში.  
ცხენები გარბიან. ერთ-ერთ ცხენს თავი უკან აქვს მობრუნებული.

სიგრძე — 1,8, სიგანე — 1,4 სმ. ნიადაგის ზოლი მოკლე ხაზით არის აღ-  
ნიშნული\*.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. სახურავის შუა ნაწი-  
ლი დაზიანებული აქვს. O და W კედლებზე ნარიბანდე-  
ბით. 0,90×0,40×0,43 მ. სამარხში 7—8 წლის ბავშვი  
I XVI, 6; SO—NW) ესვენა, გულალმა გაშოტილი, თავით SO-საკენ. მარ-  
ჯვენა ხელი ტანის გასწვრივ ედო. სამარხი გაძარცვულია.

სამარხში აღმოჩნდა; კოჭობი, ბეჭედი, წყვილი საყურე ოქროსი, მძივები

77 (01/1 — 404; სურ. 288) კოჭობი თიხისა, ცალყურაა, ჩალისფრად გა-  
მომწვარი. დმ პირის — 4,5, მუცლისა — 10, ძირისა — 4,8 სმ. სიმაღლე 10 სმ.  
ყური მუცელზე აქვს მიძერწილი.

78 (01/1 — 405; სურ. 289) მძივი ძვლისა, ოთხკუთხა ცილინდრული ფორ-  
მისა, ჩალისფერია, გაპრიალებული. სიგრძე — 2,3, დმ — 0,6 სმ.

79 (01/1 — 406; სურ. 290) ბორბლის ფორმის ნივთი, გარშემო დაღარუ-  
ლია, გახვრეტილია (დიდი თევზის ხერხემლის მალა უნდა იყოს). დმ — 2,5, სი-  
მაღლე — 0,7 სმ.

80 (01/1 — 407; სურ. 291) რიყის ქვა, მცირე ზომის, ბრტყელი და ასი-  
მეტრიული, გახვრეტილია. შავი ფერისაა. სიგრძე — 2, სიგანე 0,7 სმ.

81 (01/1 — 408; სურ. 292) მძივები გიშრისა, კასრისებური (5 ც.), ცი-  
ლინდრული — 1 ც., ლურჯი პასტისა — ინკრუსტირებული — 1 ც.; თეთრი  
იოტები — 2 ც., რძისფერი პასტისა მრგვალბრტყელი სხვადასხვა ზომის — 7 ც;

\* გემები განსაზღვრა ისტ. მეცნ. კანდ. ქ. რამიშვილმა.

ლურჯი პასტისა — 14-წახნაგა — 39 ც.; მძივსაკიდი სარდიონისა — 2 ც.; სარდიონის მრგვალბრტყელი 3 ც., ქარვისა მანდარინისებრი — 1 ც.

82 (01/1 — 409; სურ. 293) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განივკვეთში სამკუთხა აქვს. ზედა ნაწილში ფართოვდება. თვალბუდე დაკარგული აქვს. შემორჩენილია სარდიონის გემა-ინტალიო, ოვალური ფორმის. გამოსახულია პელიოსი პროფილით მარცხნივ.

83 (01/1 — 410; სურ. 294) საყურე ოქროსი. წარმოადგენს მცირე ზომის ფუყე რგოლს, რომლის ერთ ბოლოზე პაწია რგოლია მირჩილული, ხოლო მეორეზე—კავი. დმ—0,9 სმ. წონა — 0,215 გრ.

84 (01/1 — 411; სურ. 295) საყურე ოქროსი, ზემოთ აღწერილის ანალოგიური. დმ — 0,8 სმ; წონა — 2,205 გრ.

წარმოადგენს ქვაყუთს. ბანურსახურავიანია. სახურავი და კედლები დაშლილი აქვს.  $1.70 \times 0,50 \times 0,40$  მ. ესეენა ზრდასრული მიცვალებული, გულალმა გაშოტილი თავით O-საკენ. ხელები მხრებთან ჰქონდა მოხრილი. სამარხში აღმოჩნდა რკინის აბზინდა.

85 (01/1 — 354; სურ. 296) აბზინდა რკინისა, მოკლევანიანია. აქვს ოთხკუთხა სათასმე ჩარჩო. დაზიანებულია. სიგრძე — 3,5, სიგანე — 3,0 სმ.

ბანურსახურავიანი ქვაყუთი. O და W კედლებზე ნარიზანდები აქვს ამოკვეთილი. მიცვალებულის ნაეული ძვლები სამარხის W კედელთან მიეყარათ.  $2.00 \times 1.00 \times 0,74$  მ. სამარხი გაეძარცვათ.

სამარხში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სანელსაცხებლის ნატეხები.

86 (01/1 — 266; სურ. 297 — 298) თიხის ჭურჭლის ყელ-პირის ფრაგმენტი. ჩალისფრად გამომწვარია. ბაკო არა აქვს. პირთან ორი ამოღარული ხაზი შემოუყუება. თიხა წვრილმარცვლოვან მინარევეებს შეიცავს. სიმაღლე — 7,3, პირის დმ — 4,3 სმ.

87 (01/1 — 267) იგივე თიხის ჭურჭლის მეორე ფრაგმენტი.

88 (01/1 — 268) სანელსაცხებლე ღია-მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისა. სქელკედლიანია (3 მმ). შემორჩენილია 50-მდე ფრაგმენტი. ფორმის წარმოადგენა ძნელია. უფრო დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო, გრაფინისებური.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი.  $2.00 \times 0,70 \times 0,65$  მ. ზრდასრული; 45—50 წლის ქალი იწვა გულალმა გაშოტილი, თავით W—საკენ. მკერდის ნაწილი არეული დაგვხვდა. სამარხი გაეძარცვათ.

სამარხში აღმოჩნდა: 2 ოქროს საკიდი, 2 ც. მძივი.

89 (01/1 — 977; სურ. 299, 579) საკიდი ოქროსი. წარმოადგენს ოქროს მავთულს, რომელსაც ბოლოები გადახვეული აქვს ისე, რომ ორივე მხარეს

ყულფია დატოვებული, შუა ნაწილში წამოცმული აქვს 8-წახნაგა ცილინდრული ფორმის მწვანე პასტის მძივი. სიმაღლე — 15, სიგანე — 11 მმ. წონა — 0,620 გრ.

90 (01/1 — 978; სურ. 300, 580). საკიდი ოქროსი. ზემოთ აღწერილის ანალოგიური. წონა — 0,550 გრ.

91 (01/1—979; სურ. 301) მძივები ლურჯი პასტისა, მცირე ზომის, მრგვალი 1 ც., დმ — 6 მმ; ქვისა, ასიმეტრიული, მოთეთრო ფერის — 1 ც.

სამარხი 149  
(1977. 17. X.  
CXIX, 8, O—W)

ქვეყნითა ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე ნარიბანდებით. სახურავის შუა ფილა ჩატეხილი დაგვხვდა. სამარხი გაუძარცვავთ 1,92×0,82×0,83 მ. მიცვალებულთა ძვლები არეული დაგვხვდა. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა.

სამარხი 208  
(1977. 11. VIII.  
XCVI, 5; O—W)

ქვეყნითა ბანურსახურავიანი. სახურავის ფილები სამარხშია ჩაყრილი. 1.80×0,85×0,75 მ. O და W კედლებზე ნარიბანდებია ამოკვეთილი. სამარხის იატაკი ბრტყელი კრამიტებითა და თიხის ფილებით იყო მოგებული. ესვენა 4 მიცვალებული, N და S კედლების გას-

წვრივ, გულაღმა გაშოტილი, თავით W — საკენ.

სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის ბეჭედი, სამი მინის სანელსაცხებლე და 3 ცალი საყურე (ერთი წყვილი).

92 (01/1 — 957; სურ. 330) სანელსაცხებლე მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინისა, სქელკედლიანია. აქვს ჩაკეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მსხლისებური მუცელი და პატარა, ოდნავ შეზნეპილი ძირი. სიმაღლე — 6,3, დმ პირისა — 2,3, მუცლისა — 4,3 სმ.

93 (01/1 — 958) სანელსაცხებლე ღია მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისა. სქელკედლიანია. მინაში პაერის ბუშტებია. კოლბისებრი ფორმა აქვს. აქვს გადაშლილი პირი, ჩაკეცილი ბაკო, ვიწრო ყელი. დამსხვრეულია, არ აღდგა.

94 (01/1 — 959; სურ. 334) სანელსაცხებლე ღია მომწვანო, წყლისფერო მინისა. თხელკედლიანია. შემორჩენილი ნატეხების მიხედვით, აქვს ჩაკეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი მუცელი. ყელზე სამ ადგილას გამოზნეპილია ყელის მიმართულებით, ვერტიკალურად.

95 (01/1 — 969; სურ. 335) ბეჭედი ვერცხლისა. ბეჭდის რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან სიგრძეზე წიბო დაუყვება. რკალი მხრებისაკენ თანდათან ფართოვდება და პატარა პორიზონტალურ მხრებს ქმნის. თვალბუდე რკალზეა მირჩილული, რომელშიც წაკვეთილი კონუსის ფორმის ყავისფერი სარდიონის ინტალიო ზის. ზედაპირზე ჩირადანზე დაყრდნობილი ეროტია გამოსახული. ეროტს ფეხი ფეხზე აქვს გადადებული; ზურგს უკან მოზრდილი ფრთა უჩანს.

სიმაღლე — 2,4, სიგანე 2,5 სმ.

96 (01/1 — 961; სურ. 333, 585) საყურე ოქროსი. წარმოადგენს განივ-კვეთში მრგვალ თავგახსნილ რგოლს, რომელზედაც მირჩილულია ოქროსავე ღერაკი. ღერაკს ქვედა ნაწილში გადაჯვარდინებულად დამაგრებული აქვს ორი პატარა ღერაკი. ღერაკებს მძივები აკლია. მის ზემოთ კი ორი ოქროს ვარდულს შორის მოქცეულია მწვანე პასტის მძივი. სიგრძე — 3 სმ.

97 (01/1 — 962; სურ. 332, 586) საყურე ოქროსი. ზემოთ აღწერილის ანალოგიური.

98 (01/1 — 963; სურ. 331, 584) საყურე ოქროსი. წარმოადგენს განივ-კვეთში ოთხკუთხა, თავგახსნილ, გრეხილ რგოლს. დმ — 1 სმ.

**სამარხი 245**  
(1977. 28. XI.  
CXIX, CXX, 2, 8,  
O—W)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. სახურავის მხოლოდ ერთი ფილაა. O და W კედლებზე ნარიბანდებით.  $2,25 \times 1,00 \times 1,05$  მ. სამარხი გაძარცვულ დაგვხვდა. მიცვალე-ბულის ძვლები დაშლილ და დამსხვრეულ მდგომარეობაში ეყარა სამარხის O კედელთან. მათ შორის ერთი ბავშვი იყო, მეორე ზრდასრული. არც არქეოლოგიური

მასალა აღმოჩენილა.

**სამარხი 246**  
(1977. 7. X.  
CXIX, 4. O—W)

ქვაყუთი ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე ნარიბანდებით.  $1,92 \times 0,52 \times 0,60$ . მიცვალებულის ძვლები ჩაყრილი იყო სამარხის W კედელთან. სამარხი გაუძარცვათ.

სამარხში აღმოჩნდა: წყვილი საყურე, მინის ჭურჭლის ფრაგმენტი, ბრინჯაოს რგოლი, 2 ბრინჯაოს ღერაკი.

99 (01/1 — 1029; სურ. 308) სანელსაცხებლე მოთეთრო ფერის გამქვირვალე მინისა, სქელკედლიანია. შემორჩენილია პირის ფრაგმენტი.

100 (01/1 — 1030; სურ. 309) რგოლი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი და თავგახსნილი ბრინჯაოს მავთულისა. დმ. 1,1 სმ (გატეხილია).

101 (01/1 — 1031; სურ. 310) ღერაკი ბრინჯაოსი, ბრტყელია, თავები მოხრილი აქვს ურთიერთსაწინააღმდეგოდ. სიგრძე 1,3 სმ.

102 (01/1 — 1032 სურ. 311, 587) ღერაკი ბრინჯაოსი. წარმოადგენს განივკვეთში მრგვალ სწორ მავთულს (ღეროს), რომელსაც ორივე მხარეს (თავსა და ბოლოში) მირჩილული აქვს ბრტყელი, ოთხკუთხა ბრინჯაოსავე ფირფიტები. სიგრძე — 1,2 სმ.

103 (01/1 — 1033; სურ. 312, 588) საყურე ოქროსი. წარმოადგენს ქვედა ნაწილში ოთხკუთხა კონუსურად შესქელებულ თავგახსნილ რგოლს, რომელსაც წვერზე მირჩილული აქვს ოქროსავე ღერაკი, უძრავადაა დამაგრებული მწახანავა ცილინდრული ფორმის მწვანე პასტის მძივი. სიგრძე — 2,3 სმ.

104 (01/1 — 1034; სურ. 313, 589) საყურე ოქროსი, ზემოთ აღწერილის ანალოგიურია.

სამარხი 264  
(1977. 7. IX,  
CXIX, 8. O—W)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. სახურავისა მხოლოდ ნატეხებია შემორჩენილი. O და W კედლებზე ნარიბანდებით.  $2.00 \times 1,00 \times 0,60$  მ. სამარხი გაძარცული დაგვხვდა. შიგ მხოლოდ მიცვალებულის წვივის ძვლების 2 ფრაგმენტი იყო. არც ინვენტარი აღმოჩენილა.

სამარხი 267  
(1977. 20. X;  
CXIX 8, 0, O—W)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი, 3 ფილაქით გადახურული. N გრძივი კედელი დიდი და მცირე ფილისაა. O და W კედლებზე ნარიბანდები აქვს.  $1,90 \times 0,65 \times 0,60$  მ. 50 — 55 წლის მიცვალებული იწვა გულაღმა გაშობილ პოზაში. ძვლების დიდი ნაწილი დაძრული დაგვხვდა.

სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს სარკე, ვერცხლის ბეჭედი, ვერცხლის მანკვლები, მძივები, რკინის მშვილდსაქინძი.

105 (O1/1 — 1056; სურ. 314) სარკე ბრინჯაოსი, წარმოადგენს მრგვალი ფორმის, ოდნავ ამოზნექილ ბრინჯაოს ფირფიტას. მცირედ პატინირებულია. შემორჩენილი აქვს ხის ბუდის (?) ნარჩენები. დმ. — 1,2 სმ.

106 (O1/1 — 1057; სურ. 315) მანკვლები, ვერცხლისა. აქვს მრგვალი და ბრტყელი თავი და განივკვეთში მრგვალი ლერო. თავის დმ — 7, ლეროს სიგრძე — 8 მმ (2 ცალია).

107 (O1/1 — 1058; სურ. 316, 590). ბეჭედი ვერცხლისა; რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან წახნაგი დაუყვება. რკალი მხრებთან თანდათან ფართოვდება და პატარა პორიზონტალურ მხრებს ქმნის. რკალზე დაბალი, მრგვალი თვალბუდეა მიჩილული, რომელშიც თაფლისფერი სარდიონის გემანიტალეოზის ინტალიოზე გამოსახულია ფრთაგაშლილი ფრინველი, რომელსაც გრძელი ბოლო აქვს. ფეხები ბადისებრ საგანში აქვს ფაყრილი, შესაძლოა მანუა. დმ.— 2,4 სმ.

108 (O1/1 — 1059; სურ. 317) მძივები: ლურჯი პასტის მრგვალი ფორმის 15ც., შინდის კურკის ფორმისა — 2 ც.

109 (O1/1 — 1059; სურ. 318) მშვილდსაქინძი რკინის. აქვს მთლიანი ბუდე, ბრტყელი მშვილდი, გრძელი ცხვირი. მუხლსახსრიანია. ძლიერ დაჯანგული. სიგრძე — 5,5, სიმაღლე — 1.9 სმ.

სამარხი 208  
(1977. 11. XI;  
CXIX, 8, O—W)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე ნარიბანდებით  $1,89 \times 0,92 \times 0,73$  მ. სამარხის იატაკი მოგებული იყო ე. წ. „რომაული აგურებით“. მათი ზომებია:  $0,38 \times 0,38 \times 0,05$ ;  $0,37 \times 0,37 \times 0,04$ ;  $0,34 \times 0,34 \times 0,03$  მ. მიცვალებულის ძვლები არ შემორჩა. ინვენტარი-

დან აღმოჩნდა ხელადის ნატეხები, თითო რომაული და პართული მონეტა, ლურჯი პასტის მძივები.

110 (O1/1 — 1110; სურ. 319) ხელადა თიხისა. გამომწვარია. შემორჩენილი ნატეხების მიხედვით სამტუჩა უნდა ყოფილიყო, მაღალყელიანი და ყელ-



წიბოიანი. ძუცელზე და მხრებზე ტალღოვანი ამონაკწრები აქვს. შემორჩა სამი მეოთხედი ნაწილი.

111 (01/1 — 1111) ავეუსტუსის დენარი. მოჭრილია ძვ. წ. 2 — ახ. წ. 4 წწ. ან უფრო გვიან გალიის ზარაფხანაში.

112 (01/1 — 1112) არტაბან II ახ. წ. 10/11—38) დრაქმა, პართია.

113 (01/1—1113; სურ. 320) მძივები ლურჯი პასტისა, მრგვალი ფორმის, სამი ცალია. დმ — 5 მმ.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე ნარიბანდებით.  $1,90 \times 0,87 \times 0,95$  მ. 4 მიცვალებულის ძვლები სამარხში არეული და დაზიანებული დაგვხვდა გაძარცვის შედეგად. ერთ-ერთი, 45—50 წლის მამაკაცისა იყო. სამარხში აღმოჩნდა: ზღვის ნიჟარა, სანელ-საცხებლის ფრაგმენტი, ბრინჯაოს რგოლი.

114 (01/1 — 1102; სურ. 321) სანელსაცხებლე, ღია მწვანე ფერის გამკვირვალე მინისა, თხელკედლიანია. აქვს ჩაყეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, ტანი არ შემორჩენილა. მცირედ ირიზებულია. პირის დიამეტრი — 2 სმ. შემორჩენილი სიმაღლე — 3 სმ.

115 (01/1 — 1103; სურ. 322, 591) ნიჟარა ზღვის. გარე მხრიდან ტანი დაღარული აქვს. სიგრძე — 5 სმ. ღრმა და მრგვალი ფორმისაა.

116 (01/1 — 1104; სურ. 323) რგოლი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი. თავები გახსნილი აქვს. რკალი ქვედა ნაწილში მსხვილდება, ზედა ნაწილში კი წვერები მოხრილი აქვს პორიზონტალურად. დმ — 2,8 სმ.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე ნარიბანდებით.  $1,75 \times 0,56 \times 0,70$  მ. დაუქრძალავთ ერთი ზრდასრული მიცვალებული. ძვლები გაძარცვის შედეგად არეული დაგვხვდა. არქეოლოგიური მასალაც არ აღმოჩენილა.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე ნარიბანდებით.  $2,50 \times 1,00 \times 1,00$  მ. სახურავის W ფილა ნაწილობრივ დაუზიანეს 289 ქვაყუთის გამართვისას. სამარხს ჩაჭრილი ჰქონდა ადრეტიკინის ხანის კულტურული ფენა (მე-8 სახლში იყო ჩადგმული).

სამარხში აღმოჩნდა: 18—20 წლის მამაკაცის ძლიერ დაზიანებული, ნაკლული და ქვაყუთის NW კუთხეში მიხვეტილი ძვლები. სამარხი გაუძარცვავთ. არც არქეოლოგიური მასალა აღმოჩენილა.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი, C და W კედლებზე ნარიბანდებით.  $2,00 \times 0,92 \times 0,60$  მ. ესვენა 40—45 წლის ქალი, გულაღმა გაშობილი, თავით W-საკენ. ხელები მუცელზე ჰქონდა დაკრფილი. სამარხში აღმოჩნდა: ბეჭედი, მძივები.

სამარხი 293

(1978. 16. V, IXCV, 12, W—O)

117 (01/1 — 1261; სურ. 324, 325) ბეჭედი ბრინჯაოსი. მხრებდაკეთებული რკალი განივკვეთში სამკუთხა. თვალბუდე დაკარგული აქვს. შემორჩენილია ოვალური ფორმის მოყვითალო ქვაზე ამოკვეთილი გემა-ინტალიო, გამოსახულია: სტილიზებული ირემი. იგი გარბის. დმ ბეჭდისა — 2.1 გემის სიგრძე — 5 მმ.

118 (01/1 — 1262; სურ. 326) მძივები: გრანატისა მანდარინისებრი, სხვადასხვა ზომის, მუქი წითელი — 25 ც., მწვანე პასტისა მანდარინისებრი, ასიმეტრიული — 1 ც., თეთრი ქვისა — 1 ც., გრანატისა, ბიკონუსური — 1 ც. (გაუპრიალებელი).

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე ნარიბანდებით N და S გრძივი კედლები. შედგება დიდი და მცირე ქვებისაგან.  $1,70 \times 0,63 \times 0,08$  მ. ზრდასრული მიცვალელების ძვლები არეული და მიყრილი დაგვხვდა სამარხის W კედელთან. ნივთებიც აქვე აღმოჩნდა არეულ ძვლებში. წყვილი ოქროს საყურე; მძივები.

110 (01/1 — 1240; სურ. 327.) საყურე ოქროსი. წარმოადგენს განივკვეთში ოთხკუთხა თავგახსნილ რკალს, რომელიც ქვედა ნაწილში ოთხკუთხა კონუსის ფორმაზეა გამსხვილებული. ქვედა ნაწილი ფუყე აქვს. სიმაღლე — 1,4 სმ.

120 (01/1 — 1241; სურ. 328) საყურე ოქროსი. ზემოთ აღწერილის ანალოგიურია.

121 (01/1 — 1242; სურ. 329) მძივები: გრანატისა, ოვალური — 3 ც., პიროპისა 8 ც., ქარვისა, ასიმეტრიული — 1 ც.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე ნარიბანდებით.  $2,05 \times 0,85 \times 0,90$  მ. სამარხში დაგვხვდა (1978. 20. IV; XCV, გაძარცვის შედეგად არეული 5 მიცვალელების ძვლები: 2 მამაკაცისა — 20 — 25 და 30 — 35 წლის, 2 ქალისა — 30—35 და 40—45 წლისა და მოზარდი — 7—8 წლისა. მიცვალებულთა არეულ ძვლებში აღმოჩნდა 4 მინის სანელსაცხებლე, მძივები.

122 (01/1 — 1243; სურ. 302) სანელსაცხებლე ღია მომწვანო-წყლისფერი გამჭვირვალე მინისა, აქვს ჩაყეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი და ვიწრო ყელი, დაბრტყელებული მუცელი. დმ პირისა — 1,8, ყელისა — 0,8, ძირისა — 2 სმ. სიმაღლე — 12 სმ.

123 (01/1 — 1244; სურ. 303) სანელსაცხებლე ღია მომწვანო გამჭვირვალე მინისა. აქვს ჩაყეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, ვიწრო და მაღალი ყელი, ბრტყელი მუცელი, მცირედ შეზნეპილი ძირი. სიმაღლე — 11, დმ პირის — 2, ძირისა — 1,5 სმ.

124 (01/1 — 1245; სურ. 304) სანელსაცხებლე ღია მომწვანო გამჭვირვალე მინისა, აკლია ყელის ნაწილი და პირი, აქვს ბრტყელი მუცელი. მაღალყელიანი უნდა ყოფილიყო. დმ მუცლისა — 2,5, ძირისა — 1,4 სმ.

125 (01/1 — 1246; სურ. 305) სანელსაცხებლე ღია-მომწვანო გამჭვირვალე

მინისა, თხელკედლიანია. აქვს მცირედ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, ვიწრო და გრძელი მუცელი, მრგვალი ძირი (არ დაიდგმება).

სიმაღლე — 9, პირის დმ — 1,7 სმ.

126 (01/1 — 1276; სურ. 306, 307) მძივები ოქროსი, ცილინდრული. დაშვადებულია თხელი ფურცლისაგან შიგა მხრიდან მონაცრისფრო მასითა სავეს (4 ც.), გიშრის, კასრისებური — 3 ც., ლურჯი პასტისა, 8 — წახნაგა გრძელი — 1 ც., ლურჯი მინისა 14-წახნაგა — 1 ც., ლურჯი მინისა ცილინდრული — 1 ც., მარჯნისა სხვადასხვა ფორმისა — 3 ც.

სამარხი 800  
(1978. 11. V; XCV,  
12; O—W)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. მთელი იყო. უნარი-ბანდოდ, მხოლოდ ფორმით გვიანანტიკური.  $1,40 \times 0,57 \times 0,44$  მ. სამარხში სამი მცირეწლოვანის ჩონჩხი ესვენა: 2—3 წლის, 2—3 წლის და 3—4 წლის; მოზრდილი იწვა გულადმა გაშობილი, თავით O-საკენ. სხვა მიცვალებულთა პოზა ვერ გავარკვეეთ. სამარხში აღმოჩნდა სა-

ნელსაცხებლე.

127 (01/1 — 1267; სურ. 336). სანელსაცხებლე ღია-მომწვანო გამქვირვალე მინისა. აქვს მცირედ გადაშლილი პირი, ჩაყცილი ბაქო, თხელკედლიანია. აქვს ვიწრო, მაღალი და ასიმეტრიული ყელი, მრგვალბრტყელი მუცელი, სწორი ძირი. სიმაღლე — 11,7, დმ პირისა — 1,8, ძირისა — 1,5 სმ.

სამარხი 807  
(1978. 15. V; CXIX,  
4, SOO—NWW)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი.  $0,50 \times 0,20 \times 0,32$  მ, 4—5 წლის ბავშვის ჩონჩხი. არეულია. სამარხში აღმოჩნდა სამაჯური.

128 (01/1—1258; სურ. 337). სამაჯური ბრინჯაოსი. წარმოადგენს განივკვეთში მრგვალი, თავებგადაგრებილ, ქვედა ნაწილში მცირედ შესქელებულ რგოლს. დმ — 4,8 სმ.

სამარხი 810  
(1978. 25. V; CXIX,  
7—11, O—W)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი, დიდი და მასიური. O და W კედლებზე წარბანდებით.  $1,90 \times 0,90 \times 0,83$  მ. სამარხში აღმოჩნდა: სამი ინდივიდის ძლიერ არეული და დაზიანებული ჩონჩხი (მათ შორის ერთი ქალია. ერთიც ბავშვი 5 წლამდე). სამარხი ვაძარტულია. მიცვალებულთა არეულ ძვლებში აღმოჩნდა 4 ზარაკი, რგოლი, მძივები, 3 საყურე, ოქროს მძივი.

129 (01/1 — 1327; სურ. 338). ზარაკი ბრინჯაოსი უენო. აქვს ბრტყელი ყუნწი და ნახევარსფეროს ფორმა. სიმაღლე — 17, დმ. — 1,4 სმ.

130 (01/1 — 1328; სურ. 339). ზარაკი ბრინჯაოსი, ზემოთ აღწერილის ანალოგიური.

131 (01/1 — 1329; სურ. 340) ზარაკი ბრინჯაოსი, უენოა. აქვს ოდნავ ასიმეტრიული ნახევარსფერული ფორმა. პირთან და ყუნწთან ამოღარული ხაზები შემოუყვება. სიმაღლე—1,8, დმ — 1,5 სმ.

132 (01/1 — 1330; სურ. 341) ზარაკი ბრინჯაოსი. ზემოთ აღწერილის ანალოგიური. სიმაღლე — 1,8, დმ — 1,5 სმ.

133 (01/1 — 1331; სურ. 342) რგოლი ბრინჯაოსი, თხელფირფიტოვანი და ორმაგია. დმ. — 1,1 სმ.

134 (01/1 — 1332; სურ. 343) მძივსაკიდი. წარმოადგენს ნახევრადმწოლიარე დათვის ბელის გამოსახულებას. ყავისფერია და ნაპრაილები. სიგრძე — 2,2, სიგანე — 1,1 სმ.

135 (01/1—1332; სურ. 344) მძივსაკიდი. ზემოთ აღწერილის ანალოგიური.

136 (01/1 — 1333; სურ. 345) მძივები: სარდონისა, ასიმეტრიული მოწითალო ფერის — 2 ც., კასრისებრი — 2 ც.; ზუთწახნაგა მოვარდისფრო 1 ც., წაყვეთილი კონუსის ფორმისა, მოვარდისფრო — 1 ც.; შვინდის ნაყოფისებრი — 1 ც.; გრანატისა წახნაგოვანი, მცირე ზომის — 1 ც.; აქატისა, ექვსწახნაგა კასრისებრი. — 1 ც. — სიგრძე 1,6სმ.; გიშრისა: გრდემლისებრი — 1 ც., კასრისებრი — 1 ც., ცილინდრული — 1 ც.; პიროპისა: 14-წახნაგა — 1 ც.; მძივსაკიდი მინისა: მოყვითალო-მოყავისფრო, ამფორისკისებური—1 ც; მწვანე მინისებრი პასტისა — 1 ც., ლურჯი მინისა გამჭვირვალე ფართო ნახვრეტით — 55 ც.; გაუმჭვირვალე ლურჯი პასტისა, მრგვალობრტყელი — 4 ც.

137 (01/1 — 1334; სურ. 346) საყურე ოქროსი, წარმოადგენს განივკვეთში სამკუთხა რგოლს, რომელიც ქვედა ნაწილში ოთხწახნაგა პირამიდისებურად არის შესქელებული. შიგა მხრიდან ღრუა. კონუსის წვერზე მირჩილული აქვს ოქროს პატარა ღერაკი.

სიმაღლე — 1,8, სიგანე — 0,7 სმ.

138 (01/1 — 1335; სურ. 347) საყურე ოქროსი, ორწილადია. წარმოადგენს ოქროს თავგახსნილ რგოლს, რომელსაც ქვედა ნაწილზე პატარა რგოლი აქვს მირჩილული. ამ რგოლზე მოძრაობს პატარა ღერაკი, რომელზედაც ასხმულია: ცილინდრული ფორმის პასტის მძივი და ოქროს ვარდული.

სიგრძე — 2,6 სმ.

139 (01/1—1336; სურ. 348) საყურე ოქროსი, ზემოთ აღწერილის ანალოგიური.

სიგრძე — 2,7 სმ.

140 (01/1 — 1337; სურ. 349) მძივი ოქროსი, 14-წახნაგა, ვიწრო თავებში თითო ოქროს ვარდული აქვს მირჩილული. სიგრძე — 0,7 სმ.

141 (01/1 — 1338; სურ. 350) ვარდული ოქროსი. დმ — 0,3 სმ.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. აკლია სახურავის შუა ფილა. O და W კედლებზე ნარიბანდებია. 1,50 X 0,60 X 0,65 მ. სამარხი გამართული იყო ძვ. წ. I ათასწ. I ნახევრის დროინდელი № 7 სათავსის იატაკზე. სამარხში ესვენა ახალგაზრდა ინდივიდის ძალზე დაშლილი ჩონჩხი; გულადმა გამოტლი; თავით W-საკენ. სამარხში აღმოჩნდა ორი სანელსაცხებლე..

142 (01/1 — 1279 სურ. 351) სანელსაცხებლე მოთეთრო-მომწვანო ფერის მინისა. აქვს ჩაეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი მუცელი, კონუსურად შეზნეჲილი ძირი. ყელი მუცელთან შეერთების ადგილას შევიწროებულია. მცირედ ირიზებულია. სიმაღლე — 13,6, დმ პირისა — 3,1, ყელის — 6,2, მუცლისა — 8, ძირისა — 4,7 სმ.

143 (01/1 — 1280); სანელსაცხებლე თეთრი ფერის, თხელკედლიანი გამჟვირვალე მინისა. შემორჩენილია 50-მდე წვრილი ნამტკრევი. მათი მიხედვით უნდა იყოს: კოლბისებური, მრგვალმუცლიანი, მაღალყელიანი. ყელი მუცელთან შეერთების ადგილას ვიწროვდება.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი.  $1.00 \times 0,45 \times 0,50$  მ.

სამარხი 800 სამარხში დაუკრძალავთ 5-წლამდე ბავშვი, გულადმა გა-  
(1978.4. VII; შოტილი, თავით O-საკენ. ქვედა კიდურებს გარდა, მი-  
CXVIII, 4. O—W) ცვალებულის ძელები ნაკლული და არეული იყო. სა-  
მარხში აღმოჩნდა ერთი სანელსაცხებლე.

144 (01/1 — 1369; სურ. 352) სანელსაცხებლე ღია მომწვანო ფერის გამჟვირვალე მინისა. აქვს ჩაეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი მუცელი და გამოზერტილი ძირი (არ იდგმება). მცირედ ირიზებულია. მუცელზე პორიზონტალურად იგივე ფერის მინის ძაფი შემოუყვება. სიმაღლე — 8,7 დმ პირის — 2,5, — ყელის — 1,5, მუცლისა — 3,7 სმ.

ქვაყუთია, უნარიბანდო. დაზიანებული იყო.  $1,90 \times 0,90 \times 0,75$  მ. სამარხში სამი მიცვალებული ესვენა: 55—  
სამარხი 426 60 წლის მამაკაცი და 20—25 წლის ქალი, ერთმანეთის  
(1978: 11. VII; გვერდით, ხოლო 16—18 წლის ახალგაზრდა ამ ორ მი-  
CXVIII 1,5; O—W) ცვალებულზე ესვენა. ყველანი გულადმა გაშოტილი,

თავით O-საკენ.

სამარხში აღმოჩნდა: მოქიქული ამფორისკი, წყვილი საყურე და პართული დრაქმა.

145 (01/1 — 1323; სურ. 353, 592) ამფორისკი თიხისა. მოქიქულია მწვანედ. აქვს დაბალი და ვიწრო ყელი, გადაშლილი პირი, ორი ყური, მსხლისებური მუცელი და მცირედ შეზნეჲილი ქუსლი. ყურები მიძერწილია მუცლისა და ყელის შეერთების ადგილზე. ქიქური ალაგ-ალაგ არათანაბარია. სიმაღლე — 17, დმ პირისა — 3,5, მუცლისა — 7 სმ. ქუსლის სიმაღლე — 1,5 სმ. ქურბელს ქუსლზე ქიქური არა აქვს.

146 (01/1 — 1346; სურ. 354) საყურე ბრინჯაოსი. წარმოადგენს ვაშლის კურკის ფორმის თვალბუდეს რომელშიც ზის თეთრი მინის იგივე ფორმის ბრტყელზედაპირიანი მძივი. ყურში გასაყრელი წვრილი ბრინჯაოს ღერო მოტეხილი აქვს. თვალბუდის სიმაღლე — 2, სიგრძე — 13 მმ.

147 (01/1 — 1347; სურ. 355) საყურე ბრინჯაოსი ზემოთ აღწერილის ანა-

ლოგიური. ისევეა დაზიანებული, მხოლოდ თვალბუდეში ჩასმულ მინის თვალს შუა ნაწილში პატარა კობი აზის.

148. (01/1 — 1348) არტაბან II (10/11—38 წწ) დრაქმა. პართია.

სამარხი 481 ნარიბანდებით.  $1,87 \times 0,90 \times 0,85$  მ. სამარხის O მხარეს (1978. 12. V; XIX, ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის დროინდელი № 7 8 და XCV, 11; სახლის ზურგის კედელია. O—W) სამარხი გაძარცვულია. მიცვალებულთა ძვლები ერთ გროვად იყო W კედელთან. ქვაყუთში დაკრძალული იყო 6 მიცვალებული: ოთხი მამაკაცი (60—65 წ., 50—55 წ., 35—40 წ., 60—65 წ.) და ორი ბავშვი 3—5 წლამდე, 5—7 წლამდე.

არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

სამარხი 414 ნარიბანდებით.  $1,82 \times 0,79 \times 0,90$  მ. სამარხი გაძარცვ- (1979. 11. VII; ლია. მიცვალებულთა ძვლები მიმოფანტული იყო სამარ- CXVIII, 2; O—W) ხის მთელ ფართობზე. დაუკრძალავთ 3 ინდივიდი: მამა- კაცი და 2 ქალი (45—50 წლისანი).

სამარხში აღმოჩნდა სამი სანელსაცხებლე.

149 (01/1 — 1449; სურ. 356) სანელსაცხებლე მომწვანო-წყლისფერი გამ-  
ჭვირვალე მინისა. აქვს ჩაკეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მდალი ყელი, და-  
ბრტყელებული მუცელი და სწორი ძირი. მინა მდარე ხარისხისაა. დმ პირისა—  
1,1, ყელისა — 1, მუცლისა — 2,7 სმ. სიმაღლე — 12,1, ყელის სიმაღლე —  
10,2 სმ.

150 (01/1 — 1450; სურ. 357) სანელსაცხებლე მომწვანო-წყლისფერი გამ-  
ჭვირვალე მინისა. აქვს დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი, სწორი ძირი, პირი  
არ შემორჩა. სქელკედლიანია. შემორჩენილი სიმაღლე; მუცლისა—3,3, ყელი-  
სა — 1,2 სმ.

151 (01/1 — 1451; სურ. 358) სანელსაცხებლე, მომწვანო წყლისფერი მი-  
ნისა. აქვს გადაჭრილი პირი, მდალი ყელი, მრგვალი მუცელი, მცირედ შეზნე-  
ქილი ძირი. თხელკედლიანია. ყელი მუცელთან შეერთების ადგილას ვიწროვ-  
დება. სიმაღლე — 10,2, მუცლის დმ — 6,2 სმ., ყელის სიმაღლე — 4,3 სმ.

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. მცირე ზომისა.  $0,73 \times$   
სამარხი 486  $0,26 \times 0,19$  მ. სამარხში ესვენა 6—7 წლის ბავშვი, გულა-  
(სურ. 188) (1979. დმა გამოტოვილი, თავით O-სკენ; ხელები ტანის გასწვრივ  
5. V; CXVIII, 10; ეწყო.

O—W)

სამარხში აღმოჩნდა: მოჭიქული კოჭობი, მძივები.

152 (01/1 — 1412; სურ. 359, 593) კოჭობი თიხისა,  
მწვანედ მოჭიქული, სქელკედლიანია. აქვს სწორი პირი, გამობერილი მუცელი,

ორი ცრუ ყური და ქუსლი. თხა წვრილმარცვლოვანია, ღია ნაცრისფერი. ქუსლზე ქიქური არა აქვს. სიმაღლე — 6, მუცლის დმ — 4,5 სმ.

154 (01/1 — 1413; სურ. 360, 361) მძივები პასტისა, ღია ცისფრად მოჭიქული. გაერთიანებულია ორ-ორად და სამ-სამად — ყვითლად მოჭიქული, მანდარინისებრი, შავი მინისა.

**სამარხი 501**  
(1979. 9. VIII;  
CXVIII, 9  
(O—W)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი, გრძივი კედლები ორ-ორი ერთი ზომის ქვებისაგან შედგება. O—W კედლებზე ნარიბანდებით.  $1,97 \times 0,80 \times 0,80$  მ. ზრდასრული მიცვალებულის ნაკლული და დაშლილი ძვლები მიყრილი იყო სამარხის W კუთხეში.

სამარხში აღმოჩნდა: მოჭიქული ამფორისკი, მინის ქურკლის ფრაგმენტი, ოქროს წყვილი საკიდი და მძივები.

154 (01/1 — 1513; სურ. 362) საკიდები ოქროსი (2 ც.). ბრტყელი ზარაკის ფორმა აქვს, თავზე ყუნწი. ფირფიტოვანია.  $1,1 \times 1$ .

155 (01/1 — 1532; სურ. 363) სანელსაცხებლე მოთეთრო ფერის გამჭვირვალე მინისა, თხელკედლიანია. შემორჩენილია მხოლოდ კედლის ფრაგმენტი, ზედ იგივე ფერის მინის ძაფის ფრაგმენტი აქვს შემორჩენილი.

156 (01/1 — 1533; სურ. 364) მძივები გიშრის, რომბისებრი, ბრტყელი, ორი ნახვრეტი აქვს, — 3 ც.; მანდარინისებრი — 3 ც.

157 (01/1 — 1534; სურ. 365) ამფორისკი თიხისა, მწვანედ მოჭიქული. ქიქური ჩამოცვენილი აქვს. აკლია ძირის ნაწილი. დმ მუცლისა — 6, პირისა — 3,5; ყურის სიმაღლე — 3,4 სმ.

**სამარხი 513**  
(1979. 1. VIII;  
LXXII, 12 (W—O)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი.  $1,30 \times 0,45 \times 0,30$  მ. სამარხში ესვენა 45—50 წლის ქალი გულალმა გაშოტილი, თავით W — საკენ.

სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

**სამარხი 518**  
(1970. 25. V; CXX,  
12 (W—O)

ქვაყუთია ბანურსახურავიანი. სახურავის ქვები დამსხვრეულია.  $1,78 \times 0,60 \times 0,70$  მ. სამარხი გაძარცულია. ძვლები არეულია. მხოლოდ ცალკეული ძვლების საშუალებით შეიძლება ვივარაუდოთ გულალმა გაშოტილ პოზაში დაკრძალვა, თავით W-საკენ. 4 მიცვალებულის ძვლები აღმოჩნდა: ორი ქალი (ერთ-ერთი 30—35 წლის) და ორი მამაკაცი. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ბეჭედი და მძივები.

158 (01/1 — 1446; სურ. 366). ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განიკვეთში სამკუთხა. ოვალური ფორმის თვალბუდეში ზის იგივე ფორმის თეთრი მინის დაზიანებული თვალი. დმ — 2,5, სიმაღლე — 2,3 სმ.

159 (01/1 — 1447; სურ. 367, 368) მძივები: ლურჯი მინისა 14 წახნავა, მცირე ზომის — 23 ც., თეთრი მინის მრგვალი, მცირე ზომის — 1 ც.; აქატი-  
5. მცხოთა. ტ. VII

სა — 2 ც. (კასრისებრი); პიროპისა 14-წახნაგა — 1 ც.; სარდიონისა მრგვალ-ბრტყელი 3 ც.; ქარვისა — მრგვალბრტყელი — 5 ც., გიშრისა კასრისებრი—1 ც., თეთრი ქვისა მრგვალი—1 ც., მსხლისებრი—ფორმის მწვანე მინის საკიდი — 1 ც.

ქეაყუთია ბანურსახურავიანი. სახურავის მხოლოდ ერთი ფილა შემორჩა O და W კედლებზე ნარიბანდებით. 2,00×1,10×0,90 მ. სამარხი გაძარცულია. ზრდასრული მიცვალებულის ძვლების რამდენიმე ფრაგმენტი უწყესრიგოდ ეყარა სამარხის ძირზე. არქეოლოგიური მასალაც არ აღმოჩენილა.

სამარხი 520  
(1979. 20. IX;  
CXX, 12; O—W)

ქეაყუთია ბანურსახურავიანი. დიდი და მასიური. O და W კედლებზე ნარიბანდებით. 2,05×0,95×0,95 მ. სამარხი გაძარცული იყო. მის ძირზე იყო მხოლოდ ზრდასრული მიცვალებულის ბარძაყის ძვალი შემორჩენილი უცვლელ მდგომარეობაში; მის მიხედვით მიცვალე ბული იწვა გულადმა გაშოტილი, თავით O-საკენ.

სამარხი 532  
(1970. 6. IX; CXX,  
8, O — W)

სამარხში აღმოჩნდა: რომაული დენარი.

160 (O1/1 — 1530; ავეუსტუსის დენარი. მოკრილი ძვ. წ. 2 — ახ. წ. 4 წწ. ან უფრო გვიან გალიის ზარათხანაში.

ქეაყუთია ბანურსახურავიანი. O და W კედლებზე ნარიბანდებით. იატაკზე ქვიშაქვის 2 ფილა ეგო. N გრძივი კედელი დიდი და მცირე ზომის ორი ფილისა იყო. 1,90×0,95×0,90 მ. 2 მიცვალებულის არეული ძვლები სამარხის SW კუთხეში მიეყარათ (მამაკაცი, 50—55 წლისა და ქალი).

სამარხი 577  
(1980. 2. VII;  
CCXXVI, 0 (O—W)

სამარხში აღმოჩნდა: კოკობი, სანელსაცხებლის ფრაგმენტები, რკინის 2 ბეჭედი, მძივები.

161 (O1/1 — 1684; სურ. 369) კოკობი მოწითალო-ჩალისფრად გამომწვარი, თიხისა, სქელკედლიანი, აქვს მცირედ გადაშლილი პირი, წიბო დაბალ ყელზე, მრგვალი მუცელი. უყუროა. მძიმეა, თიხა კარგად განლექილია. სიმაღლე — 6, მუცლის დმ — 5,5 სმ.

162 (O1/1 — 1685; სურ. 370) სანელსაცხებლე მოთეთრო-რძისფერი, გამკვირვალე. მინის კედლები საშუალო სისქისა აქვს (1 მმ). შემორჩენილია მხოლოდ ძირი და მუცელი. აქვს მრგვალი მუცელი, კონუსურად შეზნექილი ძირი. კოლბისებური ტიპისაა. მუცლის დმ — 5 სმ.

163 (O1/1 — 1686) გაურკვეველი მასალისა (თეთრი ქვა ხელს სერის) და დანიშნულების, უსწორმასწორო ზედაპირის მქონე მომრგვალო ნივთი (1 ბურთულა). დმ — 11 მმ.

163 (O1/1 — 1686) გაურკვეველი მასალისა (თეთრი ქვა ხელს სერის) და დანიშნულების, უსწორმასწორო ზედაპირის მქონე მომრგვალო ნივთი (1 ბურთულა). დმ — 11 მმ.



164 (01/1 — 1687; სურ. 371) ღერაკები ბრინჯაოსი, 3 ფრაგმენტი. ორი ბრტყელი-ოთხკუთხა, ერთი — მრგვალგანიკვეთიანი. სიგრძე 1,5 სმ.

165 (01/1 — 1688; სურ. 372) ღერაკები რკინისა, 2 ცალია, ერთი ოდნავ მოხრილია, მეორე სწორი. მოხრილის სიგრძე — 3,4, სწორისა — 3,3 სმ. ერთი საკინძის ორი ნატეხია?!

166 (01/1 — 1689; სურ. 373) ბეჭედი რკინისა. რკალშივე ამოჭრილ თვალ-ბუდეში ზის თაფლისფერი სარდიონის გემა-ინტალიო, პირზე კურდღლის სქე-მატური გამოსახულებით. ინტალიოს ზომები  $8 \times 5$  მმ.

167 (01/1 — 1690; სურ. 374). ბეჭედი რკინისა. რკალშივე ამოჭრილ თვალბუდეში ზის თაფლისფერი სარდიონის, ოვალური ფორმის გემა-ინტალიო, რომელზედაც გამოსახულია ხელის ჩამორთმევა. შემორჩენილი რკალის ზედა ნაწილი დაჯანგული და დეფორმირებულია.  $6 \times 4$  მმ.

168 (01/1 — 1691; სურ. 375) მძივები სარდიონისა, მრგვალბრტყელი, ბიკონუსური — 1 ც., ქარვის (მოწითალო) საკიდი, მსხლისებური, ბრტყელი — 1 ც., პასტისა, ცისფერი, კასრისებრი, შემკულია კანელურებით — 1 ც., ლურჯი მინისა, მანდარინისებრი — 7 ც.; ლურჯი მინისა 14-წახნაგა, მცირე ზომის — 1 ც., მწვანე პასტისა, ცილინდრული, 14-წახნაგა — 5 ც., იგივე ფორმისა ბაცი ცისფერი — 1 ც., იისფერი მინისა, კასრისებრი, გამჭვირვალეა 1 ც., 14-წახნაგა, მუქი მწვანე მინისა?! — 3 ც., სულ 21 ცალი.

**სამარხი 95**  
(1970. 4. VIII;  
XCVI, 11, O—W)

კრამიტსამარხია. ერთ ღარისებრ კრამიტს ეფარა მეორე, ხოლო თავსა და ბოლოში ბრტყელი კრამიტის ნატეხები ეწყო.  $0,50 \times 0,30$  მ. სამარხში ახალშობილი ესვენა, გულადმა გაშოტილი, თავით O-საკენ. არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა.

**სამარხი 155**  
(1970. 28. VIII;  
CXX, 10, O—W)

კრამიტსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. O და W კედლებად თითო ბრტყელი კრამიტი აქვს (აკეცილი გვერდები გარეთ, ვიწრო თავი ზევითაა მოქცეული). N და S გრძივი კედლები ოთხ-ოთხი ბრტყელი კრამიტისაა (ეწყო აკეცილ გვერდებზე. ეს უკანასკნელი გარეთაა მოქცეული). სამარხის იატაკიც ბრტყელი კრამიტისა იყო.  $1,50 \times 0,38 \times 0,51$  მ. სამარხი გაძარცვულია, მხოლოდ თავისქალას ფრაგმენტები ეყარა იატაკზე. არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა.

**სამარხი 179**  
(1976. 4. IX;  
CXX 7; NOO —  
SWW)

კრამიტსამარხია. ბრტყელი და ღარისებრი კრამიტების წყება ქმნის ორფერდა სახურავს. თითო ფერდი შედგება სამი ბრტყელი და 2 ღარისებრი კრამიტისაგან. სიგრძე — 1,08 მ (შემორჩენილი). ორივე ფერდი დაქცეული იყო, მათ ქვეშ ესვენა მიცვალებული, გულადმა. გაშოტილი, თავი NOO-საკენ. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა.

სამარხი 166  
(1978. 10. X;  
XCVI 0; O—W)

კრამიტსამარხია. ქვის ფილებით გადახურული. შე-  
დგება მხოლოდ ბრტყელი კრამიტებისაგან. 2,10×  
0,85×0,47 მ, N და S გრძივი კედლები ოთხ-ოთხი  
ბრტყელი კრამიტისაა (დგანან აკეცილ გვერდებზე და  
ეს უკანასკნელი გარეთ აქვთ მოქცეული. განივი O და  
W კედლები — ორ-ორი ბრტყელი კრამიტისაა. დგან ფართო და ვიწრო თა-  
ვებზე. აკეცილი გვერდებით გარეთ. იატაკიც კრამიტისაა (8 კრამიტი — ორ  
რიგად. აკეცილი გვერდებით ქვემოთ). ესვენა 1 მიცვალებული, გულადმა გაშო-  
ტილი, თავით O-საკენ მარჯვენა ფეხი ოდნავ მოხრილი უდევს მარცხენის ქვეშ.  
ხელები მუცელზე აქვს დაკრეფილი.

სამარხში აღმოჩნდა: სამი თიხის. ჭურჭელი, 3 ბეჭედი, 1 გემა-ინტა-  
ლიო, საყურე, აბზინდა, პართული და რომაული თითო მონეტა, მძივები, კილი-  
ტები, ძვლის საკინძისთავი, ნიჟარა, ძვლის მორთულობა, სტილოსი, სალესი  
ქვა, ხის ნაშთი.

169 (01/1 — 359; სურ. 380) კოჭობი; ჩალისფრად გამომწვარი თიხისა;  
აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და სწორი ძირი,  
უყურა და ყელწიბორანი. სიმაღლე — 10, დმ პირის — 3,7. მუცლისა — 7,  
ძირისა — 5,3 სმ.

170 (01/1 — 360; სურ. 381) ნაშთი ხისა, რაიმე ნივთს ეკუთვნოდა თუ  
არა, გაურკვეველია.

171 (01/1 — 361; სურ. 382) ნიჟარა ლამბაქისებრი, ფერუმარილის საზე-  
ლი უნდა იყოს. ზედაპირზე ორ რიგად ამოღარული წრეები შემოუყვება.  
სიგრძე — 11 სმ.

172 (01/1 — 362; სურ. 399) საკინძისთავი ძვლისა. ბროწეულის გაუშლე-  
ლი ყვავილის ფორმა აქვს. შიგ ბრინჯაოს ბრტყელი ღერაკი აქვს გაყრილი.  
სიგრძე — 1,6, დმ — 0,8 სმ.

173 (01/1 — 363; სურ. 386) სტილოსი(?) ძვლისა განივკვეთში მრგვალი  
ფრაგმენტებია შემორჩენილი.

174 (01/1 — 364; სურ. 396, 397) ხის ყუთის(?) ან სხვა ნივთის მორთულო-  
ბა. ძვლის ფირფიტებია მრგვალი, წაგრძელებული ოთხკუთხა და სამკუთხა  
ფორმა აქვთ. ზოგი მათგანის ზედაპირზე ამოღარული წრეებია.

175 (01/1 — 365; არტაბან II (10/11—38 წწ.) — დრაქმა.

176 (01/1 — 366; სურ. 383, 384) ბეჭედი ბრინჯაოსი. რკალი წვრილია და  
მრგვალი. მასზე მირჩილულია ოვალური ფორმის თვალბუდე, რომელშიც ზის  
სარდიონის გემა-ინტალიო. გამოსახულია კრევეტი. დმ 1,2, სიმაღლე — 1,2 სმ.

177 (01/1—367; სურ. 394, 395) ბეჭედი რკინისა. რკალს ქვედა ნაწილი  
აკლია. ოვალური ფორმის სარდიონის გემა-ინტალიოთი: გამოსახულია 7-ქიმი-  
ანი ვარსკვლავი და ნახევარმთვარე. დმ 1,2 სმ.

178 (01/1 — 368; სურ. 385) ბეჭედი ვერცხლისა. წარმოდგენს თავებგადაგრეხილ განივკვეთში მრგვალ რკალს. შემორჩენილია ფრაგმენტების სახით.

179 (01/1 — 369; სურ. 398) აბზინდა ვერცხლისა. მრგვალი სათასმე ჩარჩო აქვს. მოკლენიანია. ჩარჩო განივკვეთში მრგვალი. დმ 0,5 სმ.

180 (01/1 — 370; ავგუსტუსის დენარი, მოჭრილია ძვ. წ. 2—ახ. წ. 4 წწ. ან უფრო გვიან გალის ზარაფხანაში.

181 (01/1 — 371; სურ. 387) სარდიონის გემა-ინტალიო, ოვალური ფორმისაა. გამოსახულია მხედარი ტორაწეულ ცხენზე. გამოსახულება დაზიანებულია. დმ — 1 სმ.

182 (01/1 — 372; სურ. 389) მძივები: პიროპის (?) 14-წახნავა სხვადანსხვა ზომის 15 ც.; ლურჯი მინისა მოგრძო — 1 ც., ლურჯი მინისა მანდარინისებრი — 5 ც., ლურჯი მინისა 14-წახნავა — 1 ც., მოყავისფრო კასრისებრი — 2 ც., მინის საკიდი — 1 ც., თეთრი მინისა მანდარინისებრი, მცირე ზომის — 58 ც., მომწვანო-მონატრისფრო მინისა მცირე ზომის — 30 ც.

183 (01/1 — 373; სურ. 390) ჩქიფის?! ფრაგმენტები რკინისა.

184 (01/1 — 375; სურ. 391) საყურე ოქროსი. წარმოდგენს თავგახსნილ განივკვეთში მრგვალ რგოლს, რომელსაც ქვედა ნაწილში მირჩილული აქვს ოქროს ცვარათი გაკეთებული ყურძნის მტევანი. სიგრძე — 2 სმ. წონა — 0,970 გრ.

185 (01/1 — 376; სურ. 392) კილიტები ოქროსი, ფირფიტოვანია და ნახევარსფეროს ფორმა აქვს, შიგა მხრიდან კი პატარა ყუნწი. მცირე ზომისა 16 ცალია. საერთო წონა 0,685 გრ.; მოზრდილები 12 ცალია. საერთო წონა — 1,880 გრ.

188 (01/1 — 504; სურ. 393) ხელადა თიხისა. აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, განივკვეთში ოვალური ყური, მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი. ყელზე წიბო შემოუყვება. გამომწვარია ჩალისფრად კარგად განლექილი თიხისაგან. სიმაღლე — 16,5, დმ მუცლის — 15,5. პირისა — 7, ძირისა — 13 სმ.

187 (01/1 — 505; სურ. 388) სალესი ქვა რიყისა, გრძელი და ოთხკუთხა თავსა და ბოლოში ნახვრეტებით. სიგრძე — 16,1 სმ.

188 (01/1 — 505<sup>1</sup>; სურ. 395- კოპობი თიხისა. აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი. უყუროა, ჩალისფრად გამომწვარი. სიმაღლე — 13, დმ პირისა — 5,5 ყელისა — 3, ძირისა — 8,5 სმ.

ქვის ფილებით გადახურული კრამიტსამარხია. სამარხის სახურავი ქვიშაქვის 4 ფილისა იყო. სამარხის ოკედელი ქვიშაქვის ოთხკუთხა ფილისაა 0,50×0,45 მ. W კედელი ბრტყელი კრამიტისაა, აკეცილი გვერდები გარეთ, ხოლო ვიწრო თავი ქვემოთ აქვს მიქცეული. N და S კედლები ხუთ-ხუთი ბრტყელი კრამიტისაა. მათ ვიწრო პირები ქვემოთ, აკეცილი გვერდები კი გარეთ აქვთ მიქცეული. სამარხის იატაკი შედგება ნა-

სამარხი 840

(1978. შ. VI;

CXIX, 2; O—W)

ხევაი თიხის ფილსა და 3 ბრტყელი კრამიტისაგან.  $1,86 \times 0,40 \times 0,42$  მ. სამარხში დაუკრძალავთ 35—40 წლის ქალი, გულალმა გამოტილი, თავით O-საკენ.

არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა.

კრამიტსამარხია. სახურავი არ შემოგვრჩა. შედგენილია ბრტყელი კრამიტებისაგან.  $1,52 \times 0,43 \times 0,40$  მ. (1879. 8. VI; სამარხს კრამიტები აკლია. O და W კედლები თითო CXX, 12; O—W) ბრტყელი კრამიტისაა. მათ აკეცილი გვერდები შიგნით აქვთ მოქცეული, ვიწრო პირები ქვემოთ. N და S კედლები სამ-სამი ბრტყელი კრამიტისაგან შედგებოდა. კრამიტები აკეცილ გვერდებზე ეწყო. ეს უკანასკნელი გარეთ ჰქონდათ მიქცეული. იატაკი სამი ბრტყელი კრამიტისაა, აკეცილი გვერდებით შიგნით. სამარხი გაძარცულია. მიცვალებულის ძვლების ნაწილი არეული იყო; მამაკაცი 50—55 წლის — იწვა გულალმა გამოტილი თავით O-საკენ. სამარხში აღმოჩნდა ცალყურა ხელადა, მძივები.

189 (O1/1 — 1418; სურ. 400) მძივები, მწვანე მინისა. იოტებია 3 ცალი.

190 (O1/1 — 1419; სურ. 401) ხელადა ჩალისფრად გამომწვარი და კარგად განლექილი თიხისა. აქვს გადაშლილი პირი, ერთი ყური, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი, სწორი ძირი. მუცელზე ჰორიზონტალურად, სამ რიგად კოპებო შემოუყვება. სიმაღლე — 9,5, პირის დმ — 5,2, მუცლისა — 9 სმ.

კრამიტსამარხია, ქვის სამი ფილით გადახურული.

შედგენილია მხოლოდ ბრტყელი კრამიტისაგან.  $2,20 \times 0,49 \times 0,35$  მ. W კედელი შედგება ერთი ბრტყელი კრამიტისაგან, რომელსაც აკეცილი გვერდები გარეთ აქვს მოქცეული და დგას ვიწრო პირზე. ასეთივე განლაგება აქვს O კედლის შემადგენელ ბრტყელ კრამიტსაც. N და S კედლები ექვს-ექვსი კრამიტისაგან შედგება. მათ აკეცილი გვერდები იგარეთ აქვთ მოქცეული. დაუკრძალავთ 35—40 წლის ქალი, გულალმა გამოტილი, თავით W-საკენ, ხელები — ტანის გასწვრივ.

სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა.

კრამიტსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. თავ-

კედლებად (O და W) ბრტყელი კრამიტები უდგას, აკეცილი გვერდებით გარეთ, გრძივ (N და S) კედლებად გამოყენებული იყო ოთხ-ოთხი ბრტყელი კრამიტი — აკეცილი გვერდებით გარეთ.  $1,40 \times 0,38 \times 0,20$  მ. ესვენა 2 მიცვალებული, ორივე 15—16 წლისა. ერთი გულალმა გამოტილი თავით W-საკენ, ხელები ტანის გასწვრივ. მეორე მიხვეტილი იყო მის ფეხებთან.

სამარხში აღმოჩნდა: საკიდი, მძივი, ბალთა, აბზინდა, რკინის ნივთის ფრაგმენტები.

101 (01/1 — 1506; სურ. 376) მძივი მინისა, შავი ფერისა და მრგვალი. ღმ — 1,8 სმ.

102 (01/1, 1507; სურ. 377) საყიდი ბრინჯაოსი. ვერძის თავის ქანდაკებაა. აქვს მრგვალი ყუნწი ქვედა ნაწილში, დაგრებილი რქები, გრძელი და წაწვეტებული ყურები. სიგანე — 4,5, სიმაღლე — 2,4 სმ.

103 (01/1 — 1548; სურ. 378) აბზინდა ბრინჯაოსი, ოთხკუთხა სათასზე ჩარჩო აქვს, მოკლენიანია და სამკუთხაფარაკიანი. სიგრძე — 3,5, სიგანე — 2,2 სმ.

104 (01/1 — 1549; სურ. 379) ბალთა ბრინჯაოსი. აქვს ნახევარწრიულ-კრილიანი „ჰერალდიკური ფარაკი“, რომელსაც „ვანივი ძელაკისებრი“ თავბურთულა ნაწილი ასრულებს. სიგრძე — 2,5, სიგანე — 1,9 სმ.

105 (01/1 — 1550) ფრაგმენტები რკინის გაურკვეველი ნივთისა. დაუანგულია. 10 ფრაგმენტი.

სამარხი 544  
(1979. 16. VIII;  
CXX, 4 (O—W))  
კრამიტსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. სახურავი თითქმის არ შემორჩა; კედლები ბრტყელი კრამიტისაა. W კედელი ერთი ბრტყელი კრამიტისაა, რომელიც ვიწრო პირზე დგას და აკეცილი გვერდები გარეთ აქვს მოქცეული. O კედელი 2 კრამიტისაგან შედგება, ორივე ვიწრო პირზე დგას, ერთს აკეცილი გვერდები გარეთა აქვს, მეორეს — შიგნით. გრძივი კედლები (N და S) შედგება ოთხ-ოთხი ბრტყელი კრამიტისაგან, რომლებსაც აკეცილი კედლები გარეთ აქვს მოქცეული და ვიწრო პირებზე დგანან.  $1,50 \times 0,50 \times 0,35$  მ.

სამარხში არქეოლოგიური მასალა და მიცვალებულთა ძვლები არ აღმოჩნდა.

სამარხი 575  
(1980. 27. V;  
N — S)  
კრამიტსამარხია, ორფერდასახურავიანი, კეხის მიმართულებებია N — S და შედგება 4 ლარისებრი კრამიტისაგან. სახურავის თითოეული ფერდი — 4 ბრტყელი და 3 ლარისებრი კრამიტისა იყო. სამარხის N და S კედლები ორ-ორი ბრტყელი კრამიტისა იყო. O და W კედლები სამ-სამი ბრტყელი კრამიტისა იყო, იდგნენ აკეცილი გვერდებით გარეთ, ვიწრო თავით ქვემოთ. მთლიანად სამარხზე 28 კრამიტი დაიხარჯა (10 ლარისებრი, 18 ბრტყელი). სახურავის აღმოსავლეთით კედლის SO ბრტყელ კრამიტზე დავადასტურეთ ალაპის ნაშთი (ფრინველის წვრილი ძვლების გროვა იყო).  $1,00 \times 0,8 \times 0,40$  მ. ახალშობილი (1 წლამდე) დაუკრძალავთ გულადმა გაშოტილ პოზაში, თავით N-საკენ, სამარხის შუა ნაწილში (უფრო N კედლისაკენ). ძვლები ცუდად იყო შემორჩენილი. მარცხენა ხელი მუცელზე ჰქონდა გადადებული, მარჯვენა, ოდნავ მოხრილი, ტანის გას-

წერივ ედო. სამარხის იატაკი 4 ბრტყელი კრამიტისა იყო. სამარხში აღმოჩნდა: 2 თიხის კუბკელი, 2 სანელსაცხებლე (ფრაგმენტები), ოქროს ფირფიტა.

196 (01/1 — 1632; სურ. 402) ფირფიტა ოქროსი, წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხკუთხა ფორმის თხელ ფირფიტას. კვეთში ტალღისებური ფორმა აქვს. გარსაკრავია (?) სიგრძე — 3,5, სიგანე — 1,2 სმ. წონა 0,630 გრ.

197 (01/1 — 1633; სურ. 403) ქოთანის თიხისა, ცალყურაა, ყური მოტეხილი აქვს. შეაღებია. ცალი მხარე გამომწვარი აქვს (ცეცხლის კვალი ამჩნევია), ხელით ნაძერწია, ოდნავ ასიმეტრიულიც. თიხა მსხვილმარცვლოვანია. სიმაღლე — 10, დმ მუცლისა — 11, პირის — 9,3 სმ.

198 (01/1 — 1634; სურ. 404) კოკობი თიხისა, ცალყურაა. ყური მხართან აქვს მიძერწილი. თითების დაქვრით შესრულებული კოპების ორი რიგი შემოუყვება. ჩალისფრადაა გამომწვარი. სიმაღლე — 8, დმ მუცლისა — 7,5, პირისა — 4 სმ.

199 (01/1 — 1635); სანელსაცხებლე ძალზე ბაცი მწვანე გამჭვირვალე მინისა. კედლები საშუალო სისქისა აქვს. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით კოლბისებური უნდა იყოს. მუცლისა და ყელის შეერთების ადგილას შევიწროებულია.

200 (01/1 — 1636); სანელსაცხებლე ძალზე ბაცი მწვანე გამჭვირვალე მინისა. კედლები საშუალო სისქისაა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით წელეიწრო, კოლბისებური უნდა ყოფილიყო.

კრამიტსამარხია. სახურავი ბრტყელი კრამიტისა

**სამარხი 578**      ჰქონდა, ბანური. O და W თავკედლები თითო ბრტყელი კრამიტისა იყო; N და S კედლები კი ორ-ორი ბრტყელი კრამიტით იყო ნაგები. N კედელზე ორი კრამიტის შეერთების ადგილას გარე მხრიდან ერთი ღარისებრი კრამიტი დაეაფიქსირეთ.  $0,88 \times 0,40 \times 0,45$  მ. ახალგაზრდა (12—14 წლისა) მიცვალებული იწვა გულამა, თავქვეშ პატარა რიყის ქვა ედო. მარცხენა ხელი ირიბად ედო მუცელზე, მარჯვენა — მკერდზე ისე, რომ ხელის მტევანი თითქმის თავთან ჰქონდა მიტანილი. თავი მიბრუნებული ჰქონდა მარჯვენა მხარეს. ფეხები ძალზე მოკეცილი აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამარხში ვერ ჩაეტეოდა, თავი O-საკენ ჰქონდა. იატაკი 2 ბრტყელი კრამიტისა იყო. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ფირფიტა.

201 (01/1—1637; სურ. 405) ფირფიტა ვერცხლისა, ოვალური ფორმისაა, მცირედ დაკმუქნული. სიგრძე — 25, სიგანე — 5,5 მმ. წონა — 0,250 გრ.

კრამიტსამარხია. სამარხის სახურავი სამი ბრტყელი

**სამარხი 598**      კრამიტისაა აკეცილი გვერდებით ქვემოთ (ერთი აკლია).  
(1980. 16. VIII;       $0,47 \times 0,36$  მ. სამარხის იატაკი ბრტყელი კრამიტისა  
W — O)              იყო, აკეცილი გვერდებით ზემოთ. შემორჩენილი ზომებია  $0,72 \times 0,17$  მ. მოზარდი (14—16 წლისა).

იწვა გულაღმა, თავით W — საკენ (წელის ქვედა ნაწილი არეულია. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს რგოლი, რკინის ბეჭედი.

202 (01/1 — 1650; სურ. 406) რგოლი ბრინჯაოსი (სათითეა), განივეკეთში მრგვალი, შემორჩა 2 ფრაგმენტი.

203 (01/1 — 1660; სურ. 407) მძივი პასტისა, კასრისებრი, შავი ფერის. კრამიტსამარხია. წარმოადგენს 2 ღარისებრ კრამიტსაგან შეკრულ ყუთს, რომელსაც გარშემო შემოწყობილი ქონდა ბრტყელი კრამიტების ნატეხები და საშუალო ზომის რიყის ქვები.  $0,42 \times 0,20$  მ. ახალშობილი (1 წლამდე), ესვენა გულაღმა გაშოტილი, თავით S — საკენ.

სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა.

სამარხი 2  
(1976. 28. VI;  
CXXII, 12  
(SO—NW)

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის 4 ლოდით გადახურული. განივი (N და S) კედლები სამ-სამი კვადრატული ფილისაა, განივი (O და W) თითო-თითოსი, იატაკი — თხი ნახევარი და ერთი მთელი ფილისაგან.  $2,2 \times 0,60 \times 0,30$  მ, სამარხში 2 მიცვალებული დაუქრძალავთ გვიანდელი გულაღმა გაშოტილი, თავით SO საკენ, ხე-

ლები ტანის გასწვრივ უწყევია, მეორე მიხვეტილია მის ფეხებთან და ნაწილობრივ N კედლისაკენ. ნივთები ერთ გროვად აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძელების ქვეშ: 2 ოქროს ბეჭედი, ოქროს ღილი და წყვილი ოქროს საყურე, 3 ვერცხლის ბეჭედი, სხვადასხვა ჯიშის მძივები.

204 (01/1—5; სურ. 408) ბეჭედი ოქროსი რკალი განივეკეთში მრგვალი და დაღარულია. ოვალური ფორმის თვალბუდეში ზის სარდიონის გემა ინტალიო: გამოსახულია ხელის ჩამორთმევა. თვალბუდის თავსა და ბოლოში თითო ოქროს ცვარა აქვს. დმ — 1,2 სმ, წონა — 1,235 გრ.

205 (01/1 — 6; სურ. 409) ბეჭედი ოქროსი. რკალი განივეკეთში მრგვალია და დაღარული. ოვალური ფორმის თვალბუდეში ზის აღმანდინის ამობურცული თვალი. თვალბუდის თავსა და ბოლოში თითო ოქროს ცვარა აქვს. დმ — 2 სმ. წონა 3.020 გრ.

206 (01/1—7; სურ. 410) ღილი ოქროსი. წარმოადგენს მრგვალი ფორმის თვალბუდეს, რომელშიც ზის თავდაბრტყელებული აღმანდინის თვალი. ქვემოდან ყუნწი აქვს. სიმაღლე — 0,1, დმ — 0,5 სმ. წონა — 0,215 გრ.

207 (01/1 — 8; სურ. 411) საყურე ოქროსი, წარმოადგენს ოქროს თავგახსნილ რგოლს. ქვედა ნაწილში მირჩილული აქვს ოქროს ღერაკი, რომელზედაც ასხმულია (ზემოდან ქვემოთ) პასტის მძივი, ოქროს ვარდული, მარგალიტის მძივი. დმ — 1 სმ. წონა — 0,745 გრ.

208 (01/1 — 9; სურ. 412) საყურე ოქროსი, ზემოდწერის ანალოგიური. რკალი შეკეთებულია. წონა — 0,765.

209 (01/1 — 10; სურ. 413) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განივკვეთში სამკუთხაა. თვალბუდეში ზის რომბისებრი ფორმის ალმანდინის თვალი. დმ — 1,1 სმ.

210 (01/1 — 11; სურ 414) ბეჭედი ვერცხლისა რკალი ბრტყელი აქვს. მხრებდაკუთხულია და ფარაკიანი დმ — 1,2 სმ.

211 (01/1 — 12; სურ. 415) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განივკვეთში სამკუთხა. ოვალურ თვალბუდეში ზის სარდიონის გემა ინტალიო. გამოსახულია თობობა?

212 (01/1 — 13 — 16; სურ. 416) მძივები: ალმანდინისა შინდის კურკის ფორმის — 41 ც., გიშრისა ბრტყელი და დაწახნაგებული 2 ნახევრებით, 35 ც., მთის ბროლისა გვერდებდაღარული მრგვალი — 3 ც., ლურჯი მინისა, მრგვალი სხეადასხვა ზომის (უდიდესი 0,7 სმ) — 16 ცალია.

სამარხი 12  
(1976. 28. VII;  
XCVI, 6; O—W)

თიხისფილა სამარხია ქვიშაქვის სამი ლოდით გადახურული. გრძივი კედლები (N და S) შედგებოდა 3 კვადრატული  $0,58 \times 0,53$  და ერთი ნახევარი ფილისაგან ( $0,52 \times 0,32$ ). განივი კედლები (O და W) შედგებოდა ერთი კვადრატული და ერთი ნახევარი ფილისაგან.

$2,00 \times 0,60 \times 0,50$  მ.

სამარხში აღმოჩნდა: 7 მიცვალებულის არეული ძვლები — იატაკიდან 15—17 სმ-ის ფენაზე. უძრავად იყო მხოლოდ ზრდასრული მიცვალებულის ბარძაყისა და წვივის ძვლები, S კედელთან. პოზა გულაღმა გაშლილია, თავით O-საკენ. დაკრძალულთა შორის 2 მამაკაცია, 1 ქალი და 4 ბავშვი 8-დან 13 წლამდე ასაკის. სამარხში აღმოჩნდა მძივსაკიდი და მძივები.

213 (01/1—32; სურ. 417) მძივები რძისფერი პასტისა, რვაწახნაგა, ცილინდრული: 2 ც., მომწვანო — 1 ც., გიშრისა მცირე ზომის — 1 ც., საკიდი მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისა, მოწყვეტილი ცრემლის ფორმისა — 1 ც. მცირე ზომის მარგალიტის მძივების ფრაგმენტები 5 ცალი.

სამარხი 50  
(1976. 13. VIII;  
CXX, 2 (NOO—  
SWW)

თიხისფილა სამარხია, ქვის ფილებით გადახურული. O და W თავკედლები თითო კვადრატული ფილისაა  $0,57 \times 0,53 \times 0,07$ ;  $0,55 \times 0,55 \times 0,03$  მ. N და S გრძივი კედლები კი — სამ-სამი კვადრატული და თითო ნახევარი ფილისაგან  $0,60 \times 0,22 \times 0,05$  მ. სამარხში ესვენა ერთი ზრდასრული მიცვალებული, გულაღმა გაშოტილი თავით NOO-საკენ. აკლდა მენჯის ზედა მხარე. სამარხი გაძარცვულია. მარჯვენა ხელი გადადებული ჰქონდა მუცელზე, მარცხენა ვერ დავაფიქსირეთ. მიცვალებული იწვა 5—7 სმ-ის სისქის წმინდა, მდინარის ქვიშაზე. სამარხში აღმოჩნდა სანელსაცხებლე მინისა.



214 (01/1 — 124; სურ. 418) სანელსაცხებლუ ღია მომწვანო-მოთეთრო ფერის გამჟვირვალე მინისა. სქელკედლიანია. აღდგენილია გრაფიკულად. აქვს სქელი ბაკო, გადაშლილი პირი, მალალი ყელი, მრგვალი მუცელი, სწორი ძირი. ყელი მუცელთან შეერთების ადგილას ვიწროვდება. მიახლოებითი სიმაღლე 23 სმ-ია.

**სამარხი 56**  
(1976. 20. VIII;  
CXX, 3; SWW—  
NOO)

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. O და W თავკედლებად გამოყენებული იყო თითო კვადრატული ფილა  $0,58 \times 0,58 \times 0,04$  მ. N და S გრძივი კედლები კი ნაგები იყო თითო ნახევარი ( $0,58 \times 0,26 \times 0,04$  მ) და სამ-სამი კვადრატული ფილისაგან  $1,70 \times 0,61 \times 0,46$  მ. ზრდასრული მიცვალებული იწვა

გულადმა გამოტილი თავით SWW-საკენ... სამარხის იატაკზე 5—7 სმ სისქის მღინარის ქვიშისფენა იყო. სამარხში აღმოჩნდა ირმის რქის ნატეხი, გიშრის მძივები.

215 (01/1 — 126; სურ. 419) ირმის რქის ნატეხი. სიგრძე — 12, დმ — 2,3 სმ.

216 (01/1 — 127; სურ. 420) მძივები გიშრის, მრგვალბრტყელი. 40 ცალი მთელია, 5 ნატეხი.

**სამარხი 124**  
(1970. 1. IX; CXX,  
7; NOO—SWW)

თიხისფილა სამარხია ქვიშაქვის ლოდებით გადახურული. განივ (O — W) კედლებად თითო, ხოლო გრძივ (N და S) კედლებად სამ-სამი კვადრატული ფილა აქვს ( $0,58 \times 0,58 \times 0,04$ ),  $1,90 \times 0,62 \times 0,46$  დაუკრძალავთ ერთი მიცვალებული, გულადმა გამოტილი თავით NOO-საკენ. ჩაქცეულ ლოდს თავის ქალა და გულმკერდი დაუზიანებია. სამარხში აღმოჩნდა; 2 ხელადა, სანელსაცხებლუ, ბეჭედი და მძივები.

217 (01/1 — 271; სურ. 421) ხელადა ჩალისფრად გამომწვარი და კარგად განლექილი თიხისა, თხელკედლიანია და სამტუჩა. აქვს დაბალი ყელი, განივ-კვეთში ოვალური ყური, მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი. ყურზე, პირთან შეერთების ადგილას მეჭეპი აქვს. მუცელზე სამ კრიგად კოპები შემოუყვება. აღდგენილია. სიმაღლე — 14. დმ. მუცლისა — 12,3, ძირისა — 8 სმ.

218 (01/1 — 272; სურ. 422) სანელსაცხებლუ ღია მომწვანო გამჟვირვალე მინისა, თხელკედლიანია. აქვს ჩაკეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მალალი ყელი, მრგვალი მუცელი, კონუსურად შეზნექილი ძირი. სიმაღლე 12,2, მუცლის დმ — 5,4 სმ.

219 (01/1 — 273; სურ. 423) ხელადა ჩალისფრად გამომწვარი და კარგად განლექილი თიხისა. თხელკედლიანია. აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, ერთი ყური, მრგვალი მუცელი. ქუსლგამოდარულია. ყური მუცელზე აქვს მიძერწილი. ყური გარე მხრიდან ამოღარულია. მხრებზე 7 მეჭეპი აზის, მუცელზე კანელურები. ყურზე — ზედა ნაწილში მიძერწილი აქვს ჭიხვის რქები

მსგავსი ორნამენტი. სიმაღლე — 12,5, დმ მუცლისა — 7,7, ძირისა — 6,2 სმ.  
220 (01/1 — 274; სურ. 424) მძივები: თეთრი ქვისა მრგვალბრტყელი —  
8 ც., ლურჯი მინისა ბიკონუსური — 11 ც., სარდიონისა მრგვალი — 7 ც. ქვი-  
სა. ოვალური — 1 ც.

221 (01/1—275; სურ. 425, 426) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განიკვეთში  
სამკუთხაა. ოვალური ფორმის თვალბუდეში ზის სარდიონის გემა ინტალიო.  
გამოსახულია ზეზე მდგომი ღვთაება მამაკაცი პროფილით მარჯვნივ.

სიმაღლე — 2, სიგანე — 2,4 სმ.

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახუ-  
სამარხი 120 რული. გრძივი კედლები (S და N) სამ-სამი კვადრატუ-  
(1970. 5. X; CXX, ლი და თითო ნახევარი ფილისაა (0,55×0,55×0,03)  
9; SOO—NWW) (0,28×0,55×0,03 მ) განივი კედლები (O და W) თითო.  
კვადრატული ფილისაა. 1,79×0,58×0,50 მ. მიცვალე-

ბული იწვა გულაღმა, ფეხები მარჯვნივ ჰქონდა მოხრილი. თავით SO-საკენ.  
ძელები დაძრული იყო სამარხი გაძარცულია. სამარხში აღმოჩნდა; ორი მონე-  
ტა, მძივები, რკინის რგოლი.

222 (01/1 — 339;) ავგუსტუსის დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 2 — ახ. წ. 4 წწ  
ან უფრო გვიან გალიის ზარაფხანაში.

223 (01/1 — 340;) ავგუსტუსის დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 2 — ახ. წ. 4 წწ.  
ან უფრო გვიან გალიის ზარაფხანაში.

224 (01/1 — 341; სურ. 428) საკინძი ბრინჯაოსი, თავი შემკული აქვს წყვი-  
ლი თეთრი პასტის მძივებით. სიგრძე — 5 სმ. საკინძი აშკარად გვიანდელი  
ნივთია. იგი აღმოჩნდა სამარხში ჩასული მიწის ამოღებისას, ჩონჩხზე და ინვენ-  
ტარზე ზემოთ 15 — 20 სმ მიწის ფენის შემდეგ. ვფიქრობთ, სამარხში შემთხვე-  
ვით უნდა იყოს მოხვედრილი.

225 (01/1—342; სურ. 429) მძივები: გიშრისა, მრგვალბრტყელი —  
33 ც., ლურჯი მინისა მრგვალი — 33 ცალი.

226 (01/1 — 343; 427) რგოლი რკინისა, მცირე ზომის, იგივე განიკვე-  
თის პატარა რკინის ღერაკით. სიგრძე — 2,4 სმ, დმ — 1,8 სმ.

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ლოდებით გადახუ-  
სამარხი 154 რული. გრძივი (N და S) კედლები, სამ-სამი კვადრატუ-  
(1970. 8. XI; CXX, ლი და თითო ნახევარი ფილისა იყო. O და W თავკედ-  
1 NWW—SOO) ლები კი, თითო კვადრატული ფილისა. 0,57×0,55×  
0,04 (0,28×0,54×0,04), 1,72×0,60×0,54 მ ესვენა ერ-  
თი მიცვალებული გულაღმა გაშოტილი, თავით NWW-საკენ. ხელები მუცელზე  
ჰქონდა გადაწყობილი. სამარხში ვერცხლის ბეჭედი აღმოჩნდა.

227 (01/1—387; სურ. 430) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი ბრტყელი და წი-  
ბოები დაკეპნილი აქვს. ოვალურ თავბუდეში ზის აღმანდინის თავბრტყელი-  
თვალი. დმ — 1,7 სმ.

სამარხი 104  
(1970. 20. IX;  
XCVI, 9; O—W)

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ლოდებით გადახურული, გრძივი (N და S) კედლები, სამ-სამი კვადრატული და თითო ნახევარი ფილისა ჰქონდა (0,56 X 0,54 X 0,04), (0,28 X 0,54 X 0,04 მ.) განივი (O და W) კედლები კი თითო კვადრატული ფილისა იყო.

1,95 X 0,56 X 0,56 მ. იატაკი 3 მთელი, კვადრატულისა და ერთი ნახევარი ფილისაგან შედგებოდა. სამარხში ესვენა ერთი ზრდასრული მიცვალებული, გულადმა გაშობილი, თავით O-საკენ, მოხრილი ხელები მხრებთან ეწყო. სამარხში აღმოჩნდა 3 სანელსაცხებლე, 4 ბეჭედი, 5 მონეტა, ოქროს ძეწკვის ფრაგმენტი, მძივები.

228 (01/1 — 325; სურ. 438) სანელსაცხებლე ღია მომწვანო-მოთეთრო გამჟღავნებელი მინისა, თხელკედლიანი. აქვს სწორი ბაკო, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მსხლისებრი მუცელი და ამოღარული ქუსლი. პირისა და მუცლის შეერთების ადგილას, შიგა მხრიდან ეიწრო ნახვრეტის ტიხარი აქვს. მუცელზე იმავე ფერის სქელი მინის ძაფი შემოუყვება, რომელიც დაკლავნილ გველს გამოხატავს. სიმაღლე — 10,7, დმ ძირისა 2, მუცლისა — 7,5 სმ.

229 (01/1 — 326; სურ. 437) სანელსაცხებლე მწვანე ფერის გამჟღავნებელი მინისა, ბოთლია სქელკედლიანი, აქვს სქელი და ჩაყეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, ბრტყელი და გარედან დაღარული ყური, მაღალი და ობხკუთხა ოდნავ შეზნეჭილი ტანი ძირზე ორი რელიეფური წრე აქვს. დმ პირისა — 5,7, ყელისა — 4 სმ. მუცლის სიგანე — 8, ყელის სიმაღლე — 4,8. ქურჭლის სიმაღლე — 22 სმ.

230 (01/1—327); სანელსაცხებლე მოთეთრო ფერის გამჟღავნებელი მინისა. თხელკედლიანია, მცირედ ირიზებული. შემორჩენილია მხოლოდ ნამსხვრეპები.

231 (01/1 — 328; სურ. 439 — 441) მძივები: გიშრისა, მრგვალ-ბრტყელი, სხვადასხვა ზომის — 27 ც.; გიშრისა მცირე ზომის, ოთხკუთხა, სამნახვრეტისანი — 63 ც., აქატისა — 2 ც.; ქარვის საკიდები, ჰარდაკის ფიგურების მსგავსი — 2 ც.; ქარვისა სხვადასხვა ზომის მრგვალბრტყელი — 2 ც., ლურჯი მინისა, კასრისებრი — 9 ც., ლურჯი მინისა ინკრუსტირებული — 1 ც.; მინისა, მწვანე, მანდარინისებრი — 48 ც., თეთრი ქვისა, მრგვალბრტყელი — 4 ც., ქარვის საკიდის ფრაგმენტები — 2 ც.

232 (01/1 — 329; სურ. 447) ბეჭედი რკინისა, თვალბუდეში უზის ძოწის კონუსური ფორმის თვალი. რკალი თხელი აქვს, დაზიანებულია.

233 (01/1 — 330; სურ. 446) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განიკვეთში სამკუთხა მრგვალი ფორმის თვალბუდეში ზის ლურჯი მინის თვალი (დაზიანებულია), დმ — 2,5 სმ.

234 (01/1 — 331; სურ. 444, 445) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განიკვეთში სამკუთხა. თვალბუდე არ შემორჩა. თვალური ფორმის სარდიონის გემა ინტალიოზე გამოსახულია: მწყემსი, რომელიც თხას წველის.

235 (01/1 — 332; სურ. 442, 443) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განივკვეთში. სამკუთხაა. ოვალური ფორმის თვალბუდეში ზის სარდიონის გემა ინტალიო, გამოსახულია არესი, სამარი საჭურვლით.

236 (01/1 — 333) არტაბან II (10/11 — 38 წწ) — დრაქმა. პართია.

237 (01/1—334) ავგუსტუსის დენარი. მოჭრილია ძვ. წ. 2 — ახ. წ. 4 წ. ან უფრო გვიან ვალიის ზარაფხანაში.

238 (01/1 — 335 — 337) ავგუსტუსის დენარები (3 ცალი).

239 (01/1 — 338; სურ. 436) ძეწკვის ფრაგმენტი, ოქროსი, შედგება 4 ერთმანეთზე გადაბმული წყვილი მათულისაგან. სიგრძე — 1,8 სმ, წონა 0,70 გრ.

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახუ-

სამარხი 185 რული. გრძივი (N და S) კედლები სამ-სამი კვადრატულ-

(1076. 16. IX; (0,54×0,54×0,03 მ) და ერთი ნახევარი ფილებისა იყო

XCVI 9; W—O) (0,28×0,54×0,03 მ). განივი (O და W) თითო კვადრატული და თითო ნახევარი ფილისა. 1,95×0,80×

0,58 მ. ესენა ორი მიცვალებული, ერთმანეთის გვერდით, თავით W-საკენ. S მხარეზე მწოლიარე გამოტილია, ხელები მუცელზე უწყვია; მეორეს ფეხები მოხრილი აქვს, ხელები ტანის გასწვრივ უწყვია. სამარხში აღმოჩნდა სანელსაცხებლე.

240 (01/1 — 428; სურ. 431) სანელსაცხებლე ღია — მომწვანო-მოთეთრო გამკვირვალე მინისა. თხელკედლიანია. აქვს ჩაკეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, სფერული მუცელი, სწორი ძირი. მუცელზე ლურჯი მინის წვრილი ძაფი შემოუყვება პორიზონტალურად. სიმაღლე — 8, დმ პირის — 2,7, მუცლისა — 4 სმ.

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახუ-

სამარხი 161, რული. გრძივი (N და S) კედლები, სამ-სამი კვადრატულ-

სურ. 106 (1077; 5. ლი და თითო ნახევარი ფილა იყო; განივი (O და W)

IX; CXX, 9, კედლები თითო კვადრატული ფილისა. 1,90×0,50×

O — W) 0,59 მ., 45—50 წლის მამაკაცი იწვა გულდმა გამოტი-

ლი, თავით O-საკენ. მარჯვენა ხელი ლავიწის ძვალთან. ელო, მოხრილი, მარცხენა — გულზე ჰქონდა დაკრეფილი. სამარხში აღმოჩნდა 3 სანელსაცხებლე, ბეჭედი, მძივები, ოქროს 2 ფირფიტა.

241 (01/1—1000, სურ. 445) სანელსაცხებლე მომწვანო გამკვირვალე მინისა. სქელკედლიანია. აქვს ჩაკეცილი ბაკო, დაბრტყელებული პირი, მაღალი ყელი, ცილინდრული, ძირისაკან ოდნავ გაფართოებული ტანი, მკირედ შეზნეპილი ძირი. ყელი მუცელთან შეერთების ადგილას ვიწროვდება. სიმაღლე 17,6, დმ პირის — 4,2, მუცლისა — 6 სმ.

242 (01/1 — 1001) სანელსაცხებლე, ღია მწვანე ფერის, გამკვირვალე მინისა, სქელკედლიანია, ძლიერ დამსხვრეული. დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო.

243 (01/1 — 1002) სანელსაცხებლე მინისა, თხელკედლიანი, მოთეთრო ფერის გამჭვირვალე მინისა, ძლიერ დამსხვრეულია, კოლბისებური ფორმა უნდა ჰქონდეს, მრგვალმუცლიანი და მაღალყელიანი. ყელი მუცელთან შეერთების ადგილას ვიწროვდება.

244 (01/1 — 1003; სურ. 448). ბეჭედი ვერცხლისა, რკალი განივკვეთში სამკუთხა. ვაშლის კურკის ფორმის თვალბუდეში, ზის ამობურცული ალმანდინის თვალი. დმ — 2 სმ.

245 (01/1 — 1004; სურ. 449, 450) მძივები: ალმანდინის მანდარინისებრი — 1 ც., სარდიონისა მოვარდისფრო — 1 ც., სარდიონისა მოწითალო-აგურისფერი, მანდარინისებრი — 1 ც., სარდიონისა მოყვითალო-მოვარდისფრო, უსწორმასწოროგვერდებიანი — 1 ც., სარდიონისა კასრისებრი — 1 ც., სარდიონისა მვარდისფრო მრგვალ-ბრტყელი — 1 ც., კასრისებრი 6-წახნაგა — 1 ც., ქარვისა მანდარინისებრი — 4 ც., მრგვალბრტყელი გვერდებდაწახნაგებული — 1 ც.; ქარვისა დაღარული — 1 ც., საკიდი ქარვისა მსხლისებრი; აქატისა კასრისებრი — 4 ც., გიშრისა სხვადასხვა ზომის — 57ც., ცისფერი მინისა მრგვალი — 42 ც.; ინკრუსტირებული — 2ც., თეთრი ქვისა — 4 ც.; საკიდი მინისა, მოწყვეტილი ცრემლის ფორმისა; ორი ვერცხლის მცირე რგოლი (შესაძლოა მძივების ასახსმელის შესაკრავი იყოს).

246 (01/1 — 1005; სურ. 453) მძივები: გიშრისა მცირე ზომის, ოთხკუთხა, ორი ნახვრეტით — 17 ცალი.

247 (01/1 — 1006; სურ. 451) მძივები გიშრისა, მრგვალბრტყელი, სხვადასხვა ზომის — 40 ც., დმ — 5 მმ.

248 (01/1 — 1007; სურ. 452) მძივები გიშრისა, მრგვალბრტყელი, სხვადასხვა ზომის — 48 ცალი.

249 (01/1 — 1008 — 1009; სურ. 455) ფირფიტები ოქროსი, 2 ცალია, უფორმო, სისქე — 1 მმ.

თიხისფილა სამარხია, ქვის ფილებით გადახურული. სამარხი 250 გრძივი (N და S) კედლები ნაგებია სამ-სამი კვადრატული და თითო ნახევარი ფილისაგან. O და W თავკედლები კი თითო მთელი და თითო ნახევარი ფილისა იყო.  $1,85 \times 0,55 \times 0,55$  მ. 55—60 წლის მამაკაცი იწვა გულამა გამოტილი, ხელები მუცელზე ეწყო, თავით O-საკენ. სამარხში აღმოჩნდა ხელადა, 3 სანელსაცხებლე, 4 მონეტა, ბეჭედი, მძივები, ოქროს ღილები.

250 (01/1 — 1046; სურ. 457) ხელადა ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. სამტურჩა და თხელკედლიანი. თიხა კარგად განლეჟილია. გამომწვარია თანაბრად. აქვს პატარა კოპით შემკული განივკვეთში ოვალური ყური, დაბალი ყელი. მრგვალი მუცელი, სწორი ძირი. მუცელზე ჰორიზონტალურად შემოუყვება კოპების სამი რიგი. სიმაღლე — 16 სმ.

251 (01/1 — 1047; სურ. 456) სანელსაცხებლე მომწვანო ფერის გამკვირვალე მინისა. სქელკედლიანია. აქვს გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, სფერული მუცელი, სწორი ძირი. მუცელზე 7 პარალელური, პორიზონტალური ხაზი შემოუყვება. სიმაღლე — 14,5, დმ მუცლისა — 9 სმ.

252 (01/1 — 1048; სურ. 458) სანელსაცხებლე მომწვანო ფერის გამკვირვალე მინისა, თხელკედლიანია. აქვს ჩაკეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი მუცელი და კონუსურად შეზნექილი ძირი. ყელი მუცელთან შეერთების ადგილას ვიწროედება. სიმაღლე — 17, დმ პირის — 3, მუცლისა — 5 სმ.

253 (01/1 — 1049) სანელსაცხებლე მოთეთრო ფერის გამკვირვალე მინისა, თხელკედლიანია. ნატეხების მიხედვით უნდა იყოს პირგადაშლილი, დაბალი და ვიწროყელიანი, მრგვალმუცლიანი. ტანი მრგვალი უნდა ჰქონოდა, ხორკლებით დაფარული. ზორკლები მცირედი ჩაღრმავებებითაა შექმნილი, შესაძლოა ფორმაში? ამ ნატეხებთან ერთად არის რამდენიმე ნატეხი სანელსაცხებლებისა. ფორმის აღდგენა შეუძლებელია. მინა უფერულია, კარგი ზხარისხის, სქელკედლიანი. ფაცეტები მრგვალია.

254 (01/1 — 1050; სურ. 459, 568). ბეჭედი ვერცხლისა.. რკალი განივკვეთში მრგვალი, ზედა ნაწილში გახსნილი, ცილინდრული ფორმის (მარჯნის?) მძივში გაყრილია ვერცხლის წვრილი მავთული და გადაგრეხილია ბეჭდის რკალზე. დმ—3 სმ.

255 (01/1 — 1051; სურ. 461) მძივები: გიშრისა, კასრისებრი — 53 ც. იოტები გიშრისა, ლურჯი მინისა — 4 ც., ლურჯი მინისა გვერდებდაწახნაგებული (14-წახნაგა) — 4 ცალი.

256 (01/1 — 1052) მონეტა ვერცხლისა, არტაბან II (10/11 — 38 წწ.). დრაქმა, პართია.

257 (01/1 — 1053) იმპერატორ ტრაიანეს (98 — 117 წწ.) დენარია.

258 (01/1 — 1054) მონეტა ვერცხლისა — ანტონინე პიუსისა (138 — 161) მოკრილია 156 — 157 წწ. მონეტას ნაპირები დახეთქილი აქვს.

259 (01/1 — 1055) მონეტა ვერცხლისა, ფაუსტინა II დენარია (161 — 176). მოკრილია რომის ზარაფხანაში. მონეტას ნაპირები დახეთქილი აქვს.

260 (01/1 — 1056; სურ. 460) ლილები ოქროსი 6 ცალია. 4 მოზრდილი, — დმ 5 მმ; ორიც მცირე დმ 2 მმ. წარმოადგენს ნახევარსფეროს ფორმის ოქროს ფირფიტებს. ქვედა მხარეს პატარა ყუნწით. საერთო წონა 0,560 გრ.

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. გრძივი (N და S) კედლები შედგენილი იყო სამსამი კვადრატული და თითო ნახევარი ფილისაგან; განვი (O და W) კედლები კი ნაგები იყო თითო კვადრატული და თითო ნახევარი ფილით. სამარხის იატაკზე ეყარა 3 დიდი და ერთი ნახევარი ფილა. 1,96×0,54×0,54 მ. სამარხი გაძარ-

სამარხი 270

(1977. 81. X;

CXIX, 4; W—O)

ეულია. შემორჩა მხოლოდ ზრდასრული მიცვალებულის ბარძაყის ძვალი. მიცვალებულს თავი W მხარეს უნდა ჰქონოდა.

**სამარხი 882**  
(1978. 15. VI.  
CXVIII, 5, NOO—  
SWW)

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის 4 ლოდით გადახურული. N გრძივი კედელი სამი მთელი და ერთი ნახევარი ფილისა; S კედელი — 2 მთელი და 3 ნახევარი ფილისა. O და W თავკედლებად თითო მთელი ფილა ელაგა, რომელთაც ორ ზედა კუთხეში ამოტეხილი ჰქონდათ ფოსოები (შესაძლოა კედლების ხის ძელებით გასამაგრებლად). სამარხის ძირზე მიმოფანტული იყო 2 ზრდასრული ინდივიდის ნაკლული და დაზიანებული ძელები. ორივე ქალი იყო, ერთი მათგანი 45—50 წლისა.  $1,80 \times 0,57 \times 0,56$  მ. სამარხი გაძარცვულია, არც არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა.

**სამარხი 885**  
(1978. 8. VII;  
CXVIII, 5, O—W)

თიხისფილა სამარხია ქვის ფილებით გადახურული. სამარხის W მხარე დაზიანდა ადრეულ შუასაუკუნეთა დროის N 426 ქვაყუთის გამართვისას  $1,70 \times 0,70 \times 0,60$  მ. სამარხში ესვენა 20 — 25 წლის ქალი, გულადმა გაშოტილი, თავით O-საკენ. თავისქალა და ჩონჩხი ერთმანეთს იყო დაშორებული. სამარხში აღმოჩნდა მინის ქიქა.

261 (O1/1 — 1353; სურ. 433) ქიქა, თეთრი ფერის გამჭვირვალე მინისა. თხელკედლიანია. აქვს მცირედ გადაშლილი პირი, დაბალი ქუსლი. ძირთან ვიწროვდება. აღდგენილია გრაფიკულად. სიმაღლე დაახლოებით 7,2, პირის დმ — 6.5 სმ.

**სამარხი 888**  
(1978. 18. XI;  
CXVIII, 1, O—W)

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ლოდებით გადახურული. სახურავი და კედლები დაზიანებული აქვს.  $1,96 \times 0,59 \times 0,57$  მ. სამარხი გაძარცვულია. ზრდასრული მიცვალებულის ძვლები არეულია.

სამარხში აღმოჩნდა მძივები.  
262 (O1/1 — 1398<sup>1</sup>; სურ. 432) მძივები აღმანდინისა, კოწახურის ნაყოფის ფორმისა, ასიმეტრიული. 2 ცალია. სიგრძე — 6 მმ.

**სამარხი 827**  
(1979. 5. IV; CXIX,  
1; O — W)

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ლოდებით გადახურული. დაზიანებულია. S კედელი 2 ფილისაა.  $0,48 \times 0,33 \times 0,03$ ;  $0,53 \times 0,31 \times 0,03$  მ. N კედელი ერთი მთელი და ერთი ნახევარი ფილაა.  $0,55 \times 0,27 \times 0,03$  მ; —  $28 \times 0,25 \times 0,03$  მ O და W კედლებად კი თიხის ფილების ნატეხები ელაგა:  $0,96 \times 0,31 \times 0,25$  მ. სამარხში ესვენა 8 — 10 წლის მოზარდი, გულადმა გაშოტილი, თავით O-საკენ. სამარხში აღმოჩნდა რკინის აბზინდა. 263 (O1/1 — 1406; სურ. 435) აბზინდა რკინისა, ოვალური (თითქმის მრგვალი სათასზე ჩარჩო აქვს. ენა განივკვეთში ოთხკუთხაა. სიგრძე — 3, სიგანე — 2,6 სმ.

თიხისფილა სამარხია, ქვიშაქვის ლოდებით გადახურული. N და S კედლები სამ-სამი კვადრატული ფილისა; O და W თავკედლებად თითო კვადრატული ფილა ედგა.  $0,60 \times 0,50 \times 0,03$  მ;  $1,95 \times 0,40 \times 0,34$  მ. ზრდასრული მიცვალებული იწვა გულადმა გაშოტილი, თავით O-საკენ. მხობილი ხელები მხრებთან აქვს მოტანილი. სამარხში აღმოჩნდა ნიჟარა.

204 (01/1—1547; სურ. 462) ნიჟარა, ფერუშარილის საზელი ლამბაქის ფორმისაა, ნაპირებზე ამოღარული წრეების სამი რიგი შემოყვება. დამსხვრეულია.  $12,5 \times 10,5$  სმ.

სამარხი 547  
(1080. 10. VII; XVI, 12; W—O)  
თიხის ფილასამარხია, ქვიშაქვის სამი ფილით გადახურული. სამარხს კედლები დაზიანებული ჰქონდა. სამარხის O და W თავკედლები თითო მთელი და ნახევარი ფილისა იყო, ხოლო N და S გრძივი კედლები — სამ-სამი კვადრატული ფილისა  $1,80 \times 0,85 \times 0,58$ . ორი მიცვალებული (40—45 და 60—65 წლის ქალები) იწვა გულადმა გაშოტილთავეთ W-საკენ, მხოლოდ ერთის ძელები კედლისაკენ მიეწიათ და მეორე ისე დაეკრძალათ, მას მარჯვენა ხელი მკერდზე ირიბად ჰქონდა გადადებული. სამარხის იატაკზე 5—7 სმ სისქის მდინარის წმინდა ქვიშის ფენა იყო. სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის გემშიანი ბეჭედი და ბრინჯაოს სარკე.

265 (01/1 — 1675; სურ. 467) ბეჭედი ვერცხლისა, რკალი განივკვეთში სამკუთხაა, ფარაკიანი. მასზე ოვალური ფორმის თვალბუდეა, რომელშიც ზის ღვინისფერი სარდიონის გემა-ინტალიო: გამოსახულია მამაკაცი, რომლის ტანი სამი მეოთხედით პროფილშია მარჯვნივ მიბრუნებული. ღვთაების თავისუფთა პროფილშია მოცემული. წინ გაწვდლ მარჯვენა ხელში სანათური უჭირავს, ზეაწეული მარცხენით კვერთხს ეყრდნობა. ზურგზე მოსასხამი მოუჩანს. ნიადაგი სწორი ხაზითაა გადმოცემული. სიგანე — 2,4, სიმაღლე — 2,3 სმ. შიგა ღმ —  $1,5 \times 1,75$  სმ.

266 (01/1 — 1676; სურ. 468) სარკე ბრინჯაოსი. წარმოადგენს ოდნავ ამობურცულ მრგვალ ფირფიტას. დამტვრეულია. ღმ — 9.5 სმ, სისქე — 1 მმ.

ქვის ფილებით გადახურული, თიხისფილა სამარხია, გადახურული იყო ქვიშაქვის სამი ფილით. O და W თავკედლები შედგებოდა ოთხკუთხა და ნახევარი ფილები-საგან.  $0,58 \times 0,55 \times 0,03$  მ;  $0,58 \times 0,23 \times 0,03$  N S გრძივი კედლები კი სამ-სამი ღიდი და თითო ნახევარი ფილისა იყო.  $0,57 \times 0,56 \times 0,03$ ;  $0,58 \times 0,25 \times 0,03$  მ.  $1,90 \times 0,76 \times 0,55$  მ. 2 მიცვალებულის (ქალი და მამაკაცი 35—40 წლისა) ქვედა კიდურების ძელები ეყარა O კედელთან, N კედელთან — თავის ქალები. მიცვალებულები უნდა წოლილიყვნენ გულადმა გაშოტრნი თავით W-საკენ. სამარხიდან ამოყრილ მიწაში აღმოჩნდა ოქროს საყურე—რგოლი.



267 (01/1—1677; სურ. 434) საყურე — რგოლი ოქროსი. წარმოადგენს განიკვეთში ოთხკუთხა მცირე ზომის გრებილ რგოლს. თავგახსნილია. ღმ — 1,2 სმ., რგოლის სისქე — 1 მმ.

ორმოსამარხია, ქვაქვიშის კედლებით გადახურული. სამარხეული ორმო წაგრძელებული ოვალის ფორმისაა.  $0,70 \times 0,90 \times 0,20$  მ. სამარხში ერთმანეთზე სამი მიცვალებული ესვენა, გულალმა გაშოტილი, ერთს თავი NW-საკენ, ორს — SO-საკენ. სამარხში აღმოჩნდა: სანელსაცხებლე, მძივები, საყინძი, ბეჭედი.

208 (01/1 — 22; სურ. 469) სანელსაცხებლე, ღია მომწვანო ფერის გამკვირვალე მინისა. თხელკედლიანია. აქვს უსწორმასწოროდ გადაჭრილი პირი. ფართო ყელი, სფერული მუცელი, სწორი ძირი. ყელი მუცელთან შეერთების ადგილას ვიწროვდება. მუცელი დამსხვრეული აქვს. მიახლოებითი სიმაღლე 13, ყელის სიგრძე — 6,7 სმ.

269 (01/1 — 23; სურ. 470) მძივები: აღმანდინის, სხვადასხვა ფორმისა და ზომის — 4 ც., მწვანე პასტისა მრგვალ-ბრტყელი — 8 ც., სარდიონისა. მცირე ზომის გვერდებაკუთხული, მანდარინისებრი — 6 ც., ლურჯი მინისა, ექვსწახნაგა-ცილინდრული — 1 ც., ლურჯი მინის — 14-წახნაგა — 3 ც., ლურჯი მინისა მილისებრი — 2 ც., ლურჯი მინის იოტები — 4 ც., მარგალიტის იოტი-სოღენა მძივი — 1 ც.,

270 (01/1 — 24; სურ. 471) საყინძი რკინისა, სათმეული; რკინისა ოთხკუთხა დაფანჯრული თავით თავს ზემოთ რკინისაკე ღერო გრძელდება. შემორჩენილი სიგრძე — 4 სმ.

271 (01/1—25; სურ. 472) ბეჭედი რკინისა, რკალი წვრილი აქვს, ფარაკიანია. დაზიანებულია.

ორმოსამარხია, ქვიშაქვის 4 ფილით გადახურული.  $1,40 \times 0,60$  მ. სამარხში 15-ოდე წლის მოზარდი ესვენა, გულალმა გაშოტილი, თავით W-საკენ. მარჯვენა ხელი — ტანის გასწვრივ აქვს, მარჯვენა — მოხრილია და მიტანილია მხართან. სამარხში აღმოჩნდა; ბეჭდის ფრაგმენტი.

272 (01/1 — 78; სურ. 474) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განიკვეთში სამკუთხა აქვს. თვალი დაკარგულია. ბეჭედი დაზიანებულია.

ორმოსამარხია, ქვიშაქვის 4 ლოდით გადახურული.  $2,00 \times 0,70$  მ. ესვენა 2 მიცვალებული. ერთი გულალმა გაშოტილი, თავით SWW-საკენ; მარცხენა ხელი ტანის გასწვრივ, მარჯვენა ბოქვენზე. მის ფეხებთან მიხვეტილი იყო მეორე მიცვალებულის ძვლები. სამარხში აღმოჩნდა კოჭობი და სანელსაცხებლე.

სამარხი 88  
(1978. 12. VIII;  
X CVI, 11; W—O)

სამარხი 49  
(1978. 7. VIII;  
CXX, 2, 3;  
SWW — NOO)

273 (01/1 — 122; სურ. 468) კოჭობი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. ხელითა ნაძერწი — ასიმეტრიულია. აქვს ორი ყური, ოდნავ ბიკონუსური ტანი, სწორი ძირი. პირი უსწორმასწორო აქვს. სიმაღლე — 7, პირის დმ — 4,4 სმ.

274 (01/1 — 123; სურ. 467) სანელსაცხებლე ღია მომწვანო გამჭვირვალე მინისა. თხელკედლიანია. აქვს ჩაკეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მალაი ყელი, მცირედ დაბრტყელებული სფერული მუცელი, სწორი ძირი, მუცელი გრაფიკულადაა აღდგენილი. სიმაღლე — 9,8 სმ.

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. **სამარხი 97** 1,75×0,80 მ. სამარხში სამი მიცვალებული ესვენა. ქვე-  
(1976. 12. VIII; მოთ, ზრდასრული, გულაღმა გაშოტილი, თავით O-საკენ.  
XCVI, 7, მარცხენა ხელი მკერდზე დაკრფილი, ხოლო მარჯვენა  
SO—NW) მუცელზე ჰქონდა გადადებული. 10—15 სმ მიწის ფენის ზემოთ, ესვენა 2 მცირეწლოვანი. ერთი გულაღმა გაშოტილი, თავით S-საკენ, მეორე — თავით SO-საკენ.

სამარხში აღმოჩნდა: ხელადა, 2 სანელსაცხებლე, ბეჭედი, მძივები.

275 (01/1—238; სურ. 473) ხელადა ნარინჯისფრად გამომწვარი და ნაპრი-  
ალები თიხისა. აქვს მცირედ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, კვერცხისებრა მუცელი, სწორი ძირი. ყური მოტეხილია. სიმაღლე — 12,5 დმ პირისა — 3,6 მუცლისა — 8,1, ძირისა — 2,5 სმ. ყელის სიმაღლე — 3 სმ.

276 (01/1 — 239; სურ. 476) მძივები აქატისა, მანდარინისებრი — 1 ც., მინისა — ქარვისფერი, მანდარინისებრი; ლურჯი მინისა, შვინდის კურკის ფორმისა, დაწახნაგებული — 3 ც., აღმანდინის 2 პატარა თხელი ფირფიტა.

277 (01/1 — 240; სურ. 474) სანელსაცხებლე ღია მომწვანო ფერის გამ-  
ჭვირვალე მინისა. თხელკედლიანია. აქვს ჩაკეცილი ბაკო, გადაშლილი პირი, მალაი ყელი, დაბრტყელებული მუცელი, კონუსურად შეზნეპილი ძირი. სი-  
მაღლე — 6,3, დმ მუცლისა — 3,7 სმ.

278 (01/1—241; სურ. 475) სანელსაცხებლე, ღია მომწვანო ფერის გამ-  
ჭვირვალე მინისა. სქელკედლიანია. ტანი მალაი და ძირი მრგვალი აქვს. ფრა-  
გმენტია.

279 (01/1 — 242; სურ. 477) ბეჭედი ბრინჯაოსი, რკალი თხელი და დაღა-  
რული აქვს. ფარაკიანია. გამოსახულია ერთმანეთის პირდაპირ მდგარი ორი ინ-  
დივიდი. ერთიეული სცენა (?) რკალი დაზიანებულია.

ორმოსამარხია ორი ბრტყელი კრამიტით გადახუ-  
რული. 0,92×0,62 მ. სამარხში მცირეწლოვანი დაუკრ-  
(1976. 4. VIII; ძალავთ, გულაღმა გაშოტილი, თავით NO-საკენ. არქეო-  
XCVI, 7. 11; ლოგიური მასალა არ აღმოჩნდა.  
NO — SW)

სამარხი 108  
(1976. 16. VIII;  
XCVI, 4; SOO—  
NWW)

ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია. 1,73×  
0,50 მ. ზრდასრული მიცვალებული იწვა გაშობილი, თა-  
ვით SOO-საკენ. მარცხენა ხელი გულზე ჰქონდა დაკ-  
რეფილი, მარჯვენა — ტანის გასწვრივ ედო, ხელის მტე-  
ვანი კი — მენჯის მარჯვენა ფრთაზე. სამარხში აღმო-  
ჩნდა აბზინდა.

280 (01/1 — 254; სურ. 478) აბზინდა რკინისა, ერთწილედია, ოვალურ-  
ჩარჩოიანი, დაუანგულია. ენა განივკვეთში ოთხკუთხა აქვს. სიგანე — 3, სიგრ-  
ძე — 4,4 სმ.

სამარხი 158  
(1976. 20. VIII.  
XCVI, 10; NOO—  
SWW)

ორმოსამარხია ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  
2,03×0,77 მ. ესვენა ერთი მიცვალებული, გულაღმა გა-  
შობილი, თავით O-სკენ. მარჯვენა ხელი ირიბად ჰქონ-  
და მუცელზე გადადებული, მარცხენა მოხრილი ედო  
მხართან. სამარხში აღმოჩნდა: სანელსაცხებლე, ნიჟარა.

281 (01/1 — 281; სურ. 479) სანელსაცხებლე, ღია  
მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინისა. თხელკედლიანია. აქვს ჩაქეცილი ბაკო,  
გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მრგვალი მუცელი, სწორი ძირი. სიმაღლე  
დაახლოებით 10 სმ, მუცელი აღდგა გრაფიკულად.

282 (01/1—280; სურ. 480) ნიჟარა, ფერ-უმარლის სახელი უნდა იყოს.  
ლამბაქის ფორმისაა. ნაპირებზე ორ რიგად ამოღარული წრეები შემოუყვება.  
აღდგენილია. დმ — 13 სმ.

სამარხი 168  
(1976. 4. IX; XCVI,  
10; NO — SW)

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  
1,80×0,48 მ. ესვენა ერთი მიცვალებული, გულაღმა გა-  
შობილი, თავით NO-სკენ. მარჯვენა ხელი ედო ბოქვენ-  
ზე, მარცხენა გადადებული ჰქონდა მუცელზე. სამარხში  
აღმოჩნდა: ბრინჯაოს მანქვალი და ორი აბზინდა.

283 (01/1 — 287; სურ. 481) მანქვალი (ბალთა?) ბრინჯაოსი. აქვს მრგვა-  
ლი და ბრტყელი თავი, რომელიც ქვედა მხრიდან დამაგრებულია თავდაბრტყე-  
ლებული ღერაკით. დმ — 9, სიმაღლე — 5 მმ.

284 (01/1 — 288; სურ. 482) აბზინდა ბრინჯაოსი, აქვს ოვალური სათასმე  
ჩარჩო და ბრტყელი, თავთან მოხრილი ენა. სიგრძე — 1,5, სიგანე — 0,8 სმ.

285 (01/1 — 289; სურ. 483) აბზინდა რკინისა. აქვს ოვალური სათასმე  
ჩარჩო და ბრტყელი ენა. სიგრძე — 3, სიგანე — 1 სმ.

სამარხი 165  
(1976. 7. IX; XCVI,  
9; NO — SW)

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  
1,75×0,60 მ. ესვენა 1 მიცვალებული, გულაღმა გაშო-  
ბილი, თავით NO-საკენ. მოხრილი ხელები მხრებთან  
ელაგა. სამარხში აღმოჩნდა რგოლი და 2 აბზინდა.

286 (01/1 — 290; სურ. 484) რგოლი ბრინჯაოსი.  
ზურგგამსხვილებულია, თავგახსნილი, დმ — 1 სმ.

287 (01/1 — 291; სურ. 485) აბზინდა რკინისა, აქვს ოვალური სათასმე ჩარჩო და წაგრძელებული ოთხკუთხა ფარაკი. სიგრძე — 4, სიგანე — 1,5 სმ.

288 (01/1—292; სურ. 486) აბზინდა რკინისა, აქვს ოვალური სათასმე ჩარჩო, მოკლე ენა და ოთხკუთხა ფარაკი. ძლიერ დაქანგულია. სიგრძე — 3,5, სიგანე — 2,3 სმ.

ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. 1,88 × 0,77 მ. ესვენა ერთი მიცვალებული, გულალმა გაშოტილი. თავით NOO-სკენ, ხელები მუცელზე ეწყო. სამარხში აღმოჩნდა: ბეჭედი, საყურე, მძივები.

289 (01/1—356; სურ. 491) მძივები, ლურჯი მინისა, მანდარინისებრი. 81 ც. მცირე ზომისაა.

290 (01/1 — 357; სურ. 492, 493, 570) ბეჭედი ბრინჯაოსი — რკალი განივკვეთში სამკუთხა აქვს. მრგვალ და ბრტყელ თვალბუდეში ზის აღმანდინის კონუსური ფორმის თვალი. დიამეტრი 2 სმ.

291 (01/1 — 358; სურ. 490) საყურე ბრინჯაოსი. წარმოადგენს თავგახსნილ განივკვეთში ოთხკუთხა რკალს, რომელიც ქვედა ნაწილში ოთხწახნაგა კონუსურადაა შემსხვილებული სიმაღლე 1,5; დიამეტრი 1,1 სმ.

ორმოსამარხია. სახურავი არ შემორჩა. 1.50 ×

სამარხი 242. 0,50 მ. 50—60 წლის ქალი იწვა გულალმა, თავით N-საკენ, ფეხები და თავი მარჯვნივ ჰქონდა მოხრილი მარცხენა ხელი, მოხრილი ნიკაპთან ჰქონდა მიტანილი. მარჯვენა კი — მკერდზე ირიბად გადადებული. სამარხში აღმოჩნდა: 2 ხელადა, ბეჭედი, მძივები.

292 (01/1 — 945; სურ. 499), ხელადა ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. აქვს დაბალი ყელი, ოდნავ გადაშლილი პირი, ერთი ყური, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი. მუცელზე სამ რიგად კოპები შემოუყვება. სიმაღლე 13,5, პირის დიამეტრი 7,5 სმ.

293 (01/1 — 946; სურ. 500) კოკობი ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. აქვს მცირედ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მოგრძო მუცელი, ერთი ყური. მუცელზე ორ რიგად კოპები შემოუყვება. სიმაღლე 11,3 სმ.

294 (01/1—947—948; სურ. 502; სურ. 572). მძივები: პასტისა, მომწვანო-მოცისფრო, გვერდებდაღარული 1 ც. პასტისა ჩალისფერი მანდარინისებრი 3 ც; პასტისა ინკრუსტირებული, შიგ ბრინჯაოს თავებგადაგრეხილი მავთულია. გაყრილი. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა მკაჯზე. ქალცედონის მრგვალი მძივი. აღმოჩნდა მარჯვენა ხელის ქვეშ.

295 (01/1—949; სურ. 501) ბეჭედი რკინის, ფარაკიანი უნდა ყოფილიყო. ძლიერ დაქანგულია. შიგ ზის ოვალური ფორმის მოცისფრო მინის თვალი. ბეჭედი დაზიანებულია.

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  
სამარხი 411 1,85×0,70×0,29. სამარხში ესვენა 25—30 წლის მამა-  
(1978. 10. V, XCV; კაცი გულადმა გამოტილი; თავით NW-საკენ. ხელები  
12; (NW — SO) ტანის გასწვრივ ელაგა. ორი ისრით იყო განგმირული.  
სამარხში აღმოჩნდა: სანელსაცხებლე ორი ისრისპირი,

მძივები.

206 (01/1 — 1281; სურ. 493), სანელსაცხებლე მომწვანო წყლისფერი გამ-  
ქვირვალე მინისა. ყელ-პირის ნაწილი აკლია. აქვს მაღალი ყელი, ცილინდრუ-  
ლი, ქვედა ნაწილში გაფართოებული მუცელი, სწორი ძირი. ყელი მუცელთან  
შეერთების ადგილას ვიწროვდება. შემორჩენილი სიმაღლე 12,5, ძირის დი-  
ამეტრი 5,2 სმ.

297 (01/1 — 1282; სურ. 494, 495) მძივები პასტისა, შინდის კურკის ფორ-  
მისა 12 ცალი; თეთრი ქვისა (მარჯანი?) 7-წახნაგა, დიდი ზომის (1,2 სმ.).

298 (01/1—1283; სურ. 496) ისრისპირი რკინისა. აქვს ყუნწი და სამა-  
ფრთა. სიგრძე 4,5 სმ. აღმოჩნდა გულმკერდის მე-2 მალაში.

299 (01/1 — 1284. სურ. 497) ისრისპირი რკინისა, ყუნწი დაკარგული  
აქვს სამფრთიანია. სიგრძე 2,9 სმ. აღმოჩნდა მკერდის მარცხენა მხარეს მე-7  
და მე-8 ნეკნებს შუა.

სამარხი 490  
(1978. 10. IV;  
CXVIII, 7.  
O — W)

ორმოსამარხია, ქვის ფილითა და ორი ბრტყელი კრა-  
მითით გადახურული. I მთელი. 0,46×0,44×0,03 II გა-  
ტეხილია: 0,40×0,36×0,03 მ. 100×0,45 მ. დაუკრძა-  
ლავთ 8—10 წლის მოზარდი გულადმა გამოტილი თა-  
ვით O-სკენ. მარჯვენა ხელი ტანის გასწვრივ ედო, მარ-  
ცხენა მუცელზე ჰქონდა ირიბად გადადებული. სამარხ-

ში აღმოჩნდა მძივები.

300 01/1 — 1408). მძივები მარჯნისა, 2 მოგრძო, ერთიც კასრისებრი. მცი-  
რე ზომისა.

სამარხი 508.  
(1978. II. VII.  
CXVIII, 3. 7.  
O — W)

ორმოსამარხია (1,82×0,50×0,21 მ). სამარხის ორმო  
ჩაქრილია ძვ. წ. II—I ს-ბის ნამოსახლარ ფენაში. დაუ-  
კრძალავთ 35—40 წლის მამაკაცი, გულადმა გამოტილი,  
თავით O-სკენ. მარჯვენა ხელი ბოჭვენზე ედო, მარცხენა  
ხელი მუცელზე ჰქონდა გადადებული. სამარხში აღმო-  
ჩნდა სალესი ქვა და ორი აბზინდა.

301 (01/1 — 1436 სურ. 487) სალესი ქვა, რუხი ფერისაა, წაგრძელებული  
ოთხკუთხა ფორმა აქვს, და ერთი ნახვრეტი. სიგრძე სიგანე 2,1 სიმაღლე 1 სმ.

302 (01/I — 1437. სურ. 488) აბზინდა ბრინჯაოსი, ორწილადია. საქამრე  
რგოლი მრგვალია განიკვეთში მრავალკუთხა, მოგრძო ოთხკუთხა ფარაყი ორად  
გაკეცილი ფირფიტისაგანაა დამზადებული და 2 მანქვლითაა დამაგრებული.

კუთხოვანი ენა, ოდნავ სცილდება რგოლს. ენის მოღუნული წვერი ცხოველის თავის სქემატურ გამოსახულებას წარმოადგენს. სიგრძე 4,2, სიგანე 2,1 ფარაკის სიგრძე 2,5 სიგანე 1,5 სმ.

808 (01/1—1438; სურ. 489) აბზინდა ბრინჯაოსი. ორწილაღია. საქამრე რგოლი მრგვალი აქვს. მოგრძო ოთხკუთხა ფარაკი ორად გაკეცილი ფირფიტისაა, მცირედ მოღუნული ენა ოდნავ სცილდება რგოლს. ფარაკზე ერთი მანკვალი აქვს. სიგრძე—3, სიგანე—1. ფარაკის სიგრძე 2. სიფართე 0,9 სმ.

სამარხი 522  
(1979. 80. V;  
CCCLXX, 5.  
O—W)

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  $1,70 \times 0,80 \times 0,32$  50—55 წლის მამაკაცი დაუტრძალავთ გულაღმა გაშოტილი, თავით O-სკენ. ხელები მკერდზე აქვს გადაჯვარედინებული. არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

სამარხი 523  
(1979. 81. V;  
CCCLXX, 5

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  $1,95 \times 0,80 \times 0,30$  მ. სამარხში ესვენა 18—20 წლის ქალი, გულაღმა გაშოტილი, თავით O-სკენ. მარჯვენა ხელი ბოქვენზე ედო. მარცხენა მოხრილი, მხართან ჰქონდა მიტანილი. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

სამარხი 524  
(1979. 8. VII;  
CCCLXX, 5, 9;  
W—O

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  $1,92 \times 0,70$  მ. ესვენა 40—45 წლის მამაკაცი. გულაღმა გაშოტილი თავით W-სკენ. ხელები გულზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. სამარხში აღმოჩნდა ბეჭედი, მძივები.

304 (01/1 — 1421; სურ. 503 — 505). მძივები მინისებრი პასტისა, ინკრუსტირებული, წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისაა.  $12 \times 8$  მმ) 17 ცალი: გიშრისა კასრისებრი, გვერდებდაღარული (23 ც) მცირე ზომის მრგვალბრტყელი (62 ც).

305 (01/1 — 1422; სურ. 506) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განიგვეთში სამკუთხაა, წვრილი. ჟვალური ფორმის ვერცხლის ცვარათი შემკული. თვალბუდეში ზის აღმანდინის ამობურცული თვალი.

ღიაშეტრი 1,8 სმ.

სამარხი 528  
(1979. 80. V;  
LXXII, 6. 12;  
W—O)

ორმოსამარხია, თიხის სამი კვადრატული  $0,58 \times 0,60 \times 0,05$  მ) (და 4 ნახევარი ფილით  $0,58 \times 0,30 \times 0,05$  გადახურული  $2,15 \times 0,70 \times 0,30$  მ. ესვენა 55 — 60 წლის მამაკაცი: გულაღმა გაშოტილი, თავით W-სკენ. ხელები ბოქვენზე აქვს გადაჯვარედინებული სა-

მარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  
სამარხი 588 სახურავის კვები ერთ რიგად აწყვია. 1,55X0,65 მ. სა-  
(1979. 8. IX; CXX, მარხში ესვენა 30 — 35 წლის მამაკაცი, გულაღმა გაშო-  
8; O—W) ტილი, თავით O-სკენ. მარცხენა ხელი მენჯზე ედო, მარ-  
ჯენა მუცელზე. სამარხში აღმოჩნდა 9 ბეჭედი, ფიბუ-  
ლის ნატეხი, სანელსაცხებლის ფრაგმენტი, მძივები.

306 (01/1 — 1518; სურ. 527) ბეჭედი ბრინჯაოსი, მცირე ზომის რკალი განივევეთში სამკუთხაა. ბრტყელი ფარაკზე გამოსახულია წერტილოვანი რკალი და ორი ნიშანი (დაქარაგმებული წარწერა?! დიამეტრი 1,8 სმ.)

307 (01/1 — 1519; სურ. 526) ბეჭედი ბრინჯაოსი. რკალი განივევეთში სამკუთხა. ბრტყელ ფარაკზე ამოკაწრულია წერტილოვანი რკალი და ორი ნიშანი დაქარაგმებული წარწერა?! დიამეტრი 1,8 სმ.

308 (01/1 — 1520; სურ. 524) ბეჭედი ბრინჯაოსი, რკალი განივევეთში სამკუთხა, ოვალური და ბრტყელი ფარაკი. დიამეტრი 1,7 სმ.

309 (01/1 — 1521. სურ. 528) ბეჭედი ბრინჯაოსი, რკალი განივევეთში სამკუთხა. მრგვალი ფორმის ბრტყელ ფარაკზე. წერტილოვანი რკალი და ორი ნიშანია ამოკაწრული. (დაქარაგმებული წარწერა?! დიამეტრი 1,6 სმ.)

310 (01/1 — 1522; სურ. 525). ბეჭედი ბრინჯაოსი. რკალი განივევეთში სამკუთხაა. ბრტყელ და ოვალურ ფარაკზე ნიშნებია გამოსახული (დაქარაგმებული წარწერა?! დიამეტრი 1,8 სმ.)

311 (01/1—1523; სურ. 523). ბეჭედი ბრინჯაოსი. ბრტყელი რკალი ზედა ნაწილში ოვალურ თვალბუდეში გადადის, მწვანე მინის კონუსური თვალი ზის. დიამეტრი 1,8 სმ.

312. (01/1 — 1524; სურ. 522) ბეჭედი ბრინჯაოსი. ბრტყელი რკალი ოვალურ თვალბუდეში გადადის, რომელშიც ცისფერი მინის გემა-ინტალიო ზის. გამოსახულია ღუზა და ორი თევზი (ძალზე მკროალად) ამ ბეჭედზევე მიყანგული რკინის წვრილძვლიანი ბეჭდის ფრაგმენტები.

313 (01/1 — 1525; სურ. 521) ბეჭედი შავი ფერის მინისა. ბრტყელი რკალი შიგა მხრიდან სადაა, გარედან აუურული. მრგვალი ფორმის თვალბუდეში იგივე მინის კონუსური თვალი ზის. დიამეტრი 2,5 სმ.

314 (01/1 — 1526; სურ. 529). მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, ერთწილადია ბუდეაბმული, მუხლზამზარაინი, გარეთა უღლით. შემორჩენილია მხოლოდ ენა და ზამზარა. სიგრძე 6,2 სმ.

315 (01/1 — 1527; სურ. 530) სანელსაცხებლე ღია მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინისა თხელკედლიანია. აქვს სქელი ბაკო და გადაშლილი პირი. სხვანაწილები არ შემორჩა. დიამეტრი 3,5 სმ.

316 (01/1 — 1528. სურ. 531) ქალცედრონ-ოპალის დაუმუშავებელი მსხლისებური ფორმის, მღვრიე წყლისფერი მინერალი. სიგრძე 2,5, სიგანე — 1,9 სმ.

317 (01/1 — 1529; სურ. 532) მძივები. პასტისა, ბრტყელი და 8 წახნაგა 2 ცალი, 14 წახნაგა (3 ცალი) ლურჯი მინისა, 8 წახნაგა — ცილინდრული. 22 ცალი ლურჯი მინისა 14 წახნაგა 6 ცალი, მწვანე მინისა 3 ცალი. წითელი პასტის იოტები 25 ცალი. ლურჯი მინის იოტები 20 ცალი. თეთრი ქვისა — 3 ცალი. გიშრისა მრგვალობრტყელი 1 ც. ქარვისა ასიმეტრული 3 ც. მწვანე პასტისა, ბიკონუსური 2 ც. პასტისა თეთრად ინკრუსტირებული ბიკონუსური 1 ც. სარდონისა მანდარინისებრი 2 ც. პიროპისა 14 წახნაგა 14 ცალი, სულ 127 ცალი.

ორმოსამარხია ქვიშაქვის ფილებით გადახურული.

**სამარხი 538** 1,80×0,65 მ. 25 — 30 წლის მამაკაცი ესვენა გულაღმა  
**1979: 8. IX; CXX,** გამოტილი, თავით NO-საკენ. მარჯვენა ხელი ბოჭვენზე  
**8; NO—SW)** ედო. მარცხენა — მოხრილი მხართან ქონდა მიტანილი.  
 სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

ორმოსამარხია, შუაში ქვის ფილებით გადახურული  
**სამარხი 539** 1,65×0,40 მ. სამარხში დაუკრძალავთ 2 მიცვალებული  
**(1979. 13. IX; CXX,** 10—11 და 6-7 წლისა. ორივე გულაღმა გამოტილ პოზი-  
**4; O—W)** ში. უფროსი თავით აღმოსავლეთით (მისი ძვლები დაძრულია) უმცროსი თავით W-სკენ, ხელები მუცელზე უწყევია. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. 1,95×  
**სამარხი 541** 0,60 მ) მის სახურავზე გადამართული იყო კრამიტსამარ-  
**(1979. 12. IX; CXX,** ხი №540, რომელშიც IV ს-ის I ნახევრის ინვენტა-  
**4; O—W)** რი აღმოჩნდა. ესვენა 30 — 35 წლის ქალი, გულაღმა გამოტილი. თავით O-სკენ. მარჯვენა ხელი ბოჭვენზე ედო. მარცხენა — მუცელზე. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

ორმოსამარხია ქვიშაქვის ფილებით გადახურული.

**სამარხი 542** 1,50×0,50 ესვენა 11—14 წლის მოზარდი. გულაღმა  
**(1979 12. IX; CXX,** გამოტილი, თავით O-სკენ. ხელები ტანის გასწვრივ ელა-  
**4; O—W)** გა. სამარხში აღმოჩნდა ხელადა, რკინის დანა, წყვილი საყურე.

318 (01/1 — 1544; სურ. 507) ხელადა ჩალისფრად გამომწვარი თიხისა სქელკედლიანია. თიხა წმინდაა და თანაბრად გამომწვარი. პირი მოტეხილი აქვს. მალალი ყელი კვერცხისებურ მუცელში გადადის და ბრტყელი ძირით ბოლოვდება. ყური ოვალურგანევიკეთიანია. ზედა ნაწილში გვერდებზე ორი პატარა მეჭეპი აქვს გაკეთებული. სიმაღლე 15; მუცლის დიამეტრი 9,0 სმ.

319 (01/1 — 1545. სურ. 508, 509) საყურე წყვილი, ბრინჯაოსი. წარმოადგენს ქვედა ნაწილში შესქელებულ, თავგახსნილ რგოლს, მასიური და მძიმეა. დიამეტრი 1,6 სმ.



320 (01/1 — 1546; სურ. 510) დანა რკინისა მხოლოდ პირია შემორჩენილი, ძლიერ დაჟანგულია. პირი სწორია და ერთ მხარეს თანდათან ეიწროვდება. სიგრძე 18,5 სიგანე 1,6 0,9 სმ.

**სამარხი 550.**  
1979. 15. VIII;  
CCCLXX, 9;  
O — W

ორმოსამარხია, ქვიშაქვითა და თიხის ფილებით გადახურული. გადახურული იყო ერთი ქვიშაქვის მოზრდილი ფილით, აგრეთვე 2 კვადრატული  $0,60 \times 0,60 \times 0,03$  და 2 ნახევარი ფილებით  $0,30 \times 0,60 \times 0,03$  მ.  $2,20 \times 0,60 \times 0,20$  მ. ესვენა ერთი მიცვალებული. გულაღმა გაშობილი თავით D-სკენ. მარჯვენა ხელი მუცელზე

ჰქონდა გადადებული, მარცხენა ირიბად ეგდო მკერდზე. არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

**სამარხი 504**  
(1979. I, VII; LXX,  
12, XCVI, — 4,  
O — W)

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული  $0,60 \times 0,43$  მ. ესვენა 60 — 65 წლის ქალი თავით O-სკენ. ძვლების დაზიანების გამო. დაკრძალულის პოზა ვერ დავადგინეთ, უფრო მარჯვენა გვერდზე უნდა წოლილიყო. სამარხში აღმოჩნდა ორი თიხის ჭურჭელი, წყვილი საყურე, მძივები.

321 (01/1 — 1439; სურ. 516) ხელადა აგურისფრად გამომწვარი თიხისა. თხელკედლიანია. აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მუცელზე მიძერწილი ყური. სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი. მუცელზე კოპების სამი რიგი შემოუყვება. ყურს ზემოთ 4 ნიშანია ამოკაწრული (წარწერა?! სიმაღლე 11, მუცლის დიამეტრი 10 სმ.

322 (01/1 — 1440; სურ. 517) ჯამი შავად გამომწვარი თიხისა. კეციც შავია. აქვს სწორი პირი და ღრუ ქუსლი. სიმაღლე 6,5 დიამეტრი მუცლისა 15. ქუსლისა 5,6 სმ.

323 (01/1 — 1441; სურ. 518) საყურე ბრინჯაოსი, წარმოადგენს ქვედა ნაწილში კონუსურად გამსხვილებულ თავგახსნილ რგოლს. სიმაღლე 1,7 სიგანე 1,0 სმ.

324 (01/1 — 1442; სურ. 519) საყურე ბრინჯაოსი, ზემოთ აღწერილის ანალოგიური.

325 (01/1 — 1443; სურ. 520) მძივები ლურჯი მინისა, მრგვალი 13 ც. გომრისა, მრგვალბრტყელი 1 ც. მინისა და მინისებრი პასტისა სხვადასხვა ზომის 24 ც.

**სამარხი 508**  
(1979. ვ. VIII;  
XCVI 4; SO—NW)

ორმოსამარხია უსახურავო.  $80 \times 0,70$  მ. 30—35 წლის მამაკაცი ესვენა გულაღმა გაშობილი, თავით SO-სკენ. მოხრილი ხელები ნიკაბთან ეწყო. სამარხში აღმოჩნდა ორი აბზინდა.

326 (01/1 — 1504; სურ. 514) აბზინდა ბრინჯაოსი. ორწილადაა. საქამრე რგოლი მრგვალია და განივკვეთში კუთხოვანი, მოგრძო

ოთხკუთხა ფარაკი ორად გაკეცილი ფირფიტისაა და რკინის მანქვლითაა შეკრული. ბრტყელი ენა რგოლს ოდნავ სცილდება. ენა სწორია. სიგრძე 4,3 სიგანე 1,9.

327 (01/1 — 1505; სურ. 515) აბზინდა ბრინჯაოსი. ორწილაღია საქამრე რგოლი მრგვალია და განიკვეთში კუთხოვანი მოგრძო ოთხკუთხა ფარაკი ორად გაკეცილი ფირფიტისაა და ბრინჯაოს მანქვლითაა შეკრული. ბრტყელი ოდნავ გაღუნული ენა მცირედ სცილდება რგოლს. სიგრძე 4,1 სიგანე 1,1 სმ. დაზიანებულია.

ორმოსამარხია ქვიშაქვის ფილებით გადახურული  
სამარხი 586. 20 — 30 წლის მამაკაცი იწვა გულაღმა გაშოტილი.  
1980. 10 V (1980). სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს ორი ზარაკი, მძივები.  
15. VI; CCCLXX, სანელსაცხებლის ფრაგმენტი.

8, 10 SO—NW) 328 (01/1 — 1652; სურ. 533) ზარაკი ბრინჯაოსი. ცილინდრული ფორმისაა, ზედა ნაწილში განიკვეთილი ოთხკუთხა მრგვალ ყუნწში გადადის, ქვედა ნაწილში გაფართოებულია, აქვს დაზიანებული რკინის ენა. სიმაღლე 7. სიგანე ქვედა ნაწილში 5,1 ზედაში 3,3 სმ.

329 (01/1 — 1653; სურ. 537) მძივები. პასტისა ინკრუსტირებული ბიკონუსური, ვარდისფერია — 1 ც., მინისა გამჭვირვალე მწვანე ფერის მსხლისებრი ფორმისა.

330 (01/1 — 1654; სურ. 535) ბრინჯაოს ზარაკის რკინის ენა, ფრაგმენტირებულია

331 (01/1 — 1655; სურ. 534) სანელსაცხებლზე ღია მწვანე წყლისფერი გამჭვირვალე მინისა, თხელკედლიანია, შემორჩენილია მხოლოდ მაღალი და ვიწრო ყელი. კოლბისებურთა ტიპს მიეკუთვნება. ყელის დიამეტრი 1 სმ-ია მინა ირიზებულია.

332 (01/1 — 1656; სურ. 536) ზარაკი ბრინჯაოსი. ნახევარსფეროს ფორმა აქვს. ენა და ყუნწი არ შემორჩა. ზედა ნაწილში ნახვრეტი აქვს.

სამარხი 588  
(1980. 18. VI  
CCCXII, 1.  
SO—NW)

ორმოსამარხია თიხის ფილებით გადახურული (სა-  
ჭურავიდან მხოლოდ ერთი ფილა შემორჩა. 1,80×0,60 მ.  
30 — 40 წ. მამაკაცი იწვა გულაღმა გაშოტილი, თავით  
SO-საკენ მარჯვენა ხელი ბოქვენზე ედო — მარცხენა—  
მუცელზე ირიზად. სამარხში არქეოლოგიური მასალა  
არ აღმოჩენილა.

სამარხი 589  
(1980. 10. X  
CCCXII, 5;  
O—W)

ორმოსამარხია ქვიშაქვის ფილებით გადახურული  
1,70×0,45 მ. 25 — 30 წ. მამაკაცი დაუკრძალით გუ-  
ლაღმა, გაშოტილ პოზაში თავით O-საკენ. ხელები ბოქ-  
ვენზე ელაგა. სამარხში აღმოჩნდა: მშვილდსაყინძი. ბე-  
ჭედი, აბზინდა.

333 (01/1 — 1677; სურ. 546) აბზინდა ბრინჯაოსი. აქვს ოთხკუთხა სათას-  
მე ჩარჩო, სამკუთხა ფარაკი, შუა ნაწილში ნახვრეტით, რომელშიც ბრინჯაო-  
სავე მანჭვალაა გაყრილი. სიგრძე 2,2, სისქე 0,15 სმ. ჩარჩოს ზომებია 1,7X  
1,1 სმ.

334 (01/1 — 1678; სურ. 545). ბეჭედი რკინისა. ფარაკიანია. რკალი ბრტყე-  
ლია, გატეხილი. დიამეტრი 2, შუა დიამეტრი 1,5 სმ.

335 (01/1 — 1679; სურ. 544). მშვილდსაკიანი რკინისა, კვინტიანია. ბუდე  
მთლიანი აქვს, ენაც რკინისა, მშვილდი მაღალი და ჩახრილი. მშვილდი მუხლი-  
საკენ ფართოვდება. მუხლსახსრიანია. სიგრძე 7, სიმაღლე 2,5, მშვილდის სიგა-  
ნე მეორედან 1,2 სმ.

სამარხი 500  
(1980. 10. IX;  
CCCL XXII, 5,  
O — W)

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  
0.90X0,30 მოზარდი გულალმა გამოტილი დაეკრძალათ,  
თავით O-საკენ. მოხრილი მარჯვენა ხელი მხართან  
ქონდა ატანილი. მარცხენაც მოხრილი, მარჯვენა მხარ-  
თან ედო. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამი რგოლი.

336 (01/1 — 1672; სურ. 511). რგოლი ბრინჯაო-  
სი. განივკვეთში მრგვალია და თავგახსნილი. დიამეტრი 1,6 სმ. რგოლის სისქე  
2 მმ.

337 (01/1 — 1673; სურ. 513). საყურე ბრინჯაოსი თავგახსნილია, მრგვალ-  
განივკვეთიანია და წერილი. ორივე ბოლო რკალზე აქვს გადაგრეხილი. დიამე-  
ტრი 1,6 სმ-ია.

338 (01/1 — 1674; სურ. 512). საყურე ბრინჯაოსი, ზემოაღწერილს ანა-  
ლოგიური მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი.

სამარხი 501  
(1980. 8. VIII;  
CCCLX XII, 1.  
NO — WS)

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.  
1,80X0,60 მ. 35 — 40 წ. ქალი იწვა გულალმა გამოტი-  
ლი, თავით O-საკენ. ხელები ტანის გასწვრივ ეწყო. სა-  
მარხში აღმოჩნდა საკისრე რგოლი, სამაჯური ბეჭედი,  
წყვილი საყურე, მძივები.

339 (01/1 — 1646; სურ. 538). საკისრე რგოლი,  
ბრინჯაოსი, წარმოადგენს განივკვეთში ოთხკუთხა გრებილ რგოლს. თავგახს-  
ნილია. ერთ ბოლოზე კაუჭი აქვს, მეორეზე რგოლი. დიამეტრი 14. სისქე 3 სმ.

340 (01/1 — 1647; სურ. 539). სამაჯური ბრინჯაოსი, წარმოადგენს განივ-  
კვეთში მრგვალ მასიურ თავგახსნილ რგოლს. მთელ სიგრძეზე თანაბარი სის-  
ქისაა. ერთი ბოლო უფრო მსხვილი აქვს. დიამეტრი 5,9 სმ. რკალის სისქე 4 მმ.

341 (01/1 — 1648; სურ. 540). ბეჭედი რკინისა, აქვს მაღალი და ოვალუ-  
რი ფორმის ფარაკი, დაკუთხული მხრები, განივკვეთში ოვალური რკალი, რკა-  
ლის ქვედა ნაწილი არ შემორჩა.

342 (01/1 — 1649; სურ. 541). საყურე ბრინჯაოსი, წარმოადგენს შუა ნაწილში გამსხვილებულ თავგახსნილ რგოლს, ბოლოები გაწვრილებული აქვს. დიამეტრი 1,7 სმ.

343 (01/1 — 1650; სურ. 542). საყურე რგოლი ბრინჯაოსი, ზემოთ აღწერილის ანალოგიური.

344 (01/1 — 1651; სურ. 543). მძივებია: გამჟვირვალე მინისა, ბრტყელი 30 ცალია; პასტისა შინდის კურკის ფორმისა 1 ც., მინისა ყვითელი ფერის 12 ც; ცისფერი 4 ცალი; მუქი ლურჯი, 5 ცალი. ვარდისფერი 15 ცალი.

კომბინირებული ტიპისა. O და W კედლები ქვიშაქვის ფილისა; N და S — თიხის ფილებისა:  $0,55 \times 0,29 \times 0,03$  მ. ქვიშაქვის ფილებით არის გადახურული ( $0,74 \times 0,28 \times 0,28$  მ) სამარხში მცირეწლოვანი ესვენა. გულაღმა გაშოტილი, თავით W-საკენ, ხელები — ტანის გასწვრივ. სამარხი უინვენტარია.

სამარხი 80  
(1976. 24. VIII;  
CXX, 9, 10,  
W — O)

სამარხი 134  
(1976. 23. VIII;  
XCVI, 9, O — W)

კომბინირებული ტიპის სამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. O და W კედლები ბრტყელი კრამიტისა აქვს. გრძივი N და S ქვიშაქვის ფილებისა.  $1,00 \times 0,38 \times 0,46$  მ. სამარხში ესვენა 7—8 წლის მიცვალებული გულაღმა გაშოტილი თავით O-საკენ. მარჯვენა ხელი ედო ბოქვენზე, მარცხენა — ტანის გასწვრივ. ძვლები ცუდად იყო დაცული, სამარხში აღმოჩნდა: სამი თიხის ჭურჭელი, სამი ბეჭედი, წყვილი საყურე.

345 (01/1 — 315; სურ. 555). ბეჭედი ოქროსი, რკალი მავთულოვანი და დაღარულია. ოვალური, გარშემო ოქროს ცვარათი შემკული, თვალბუდეში, აღმანდინის ამობურცული თვალი ზის. დიამეტრი 1,7 სმ. წონა 1,535 გრამი.

346 (01/1 — 316; სურ. 550). საყურე ოქროსი, ორწილადაა. ზედა ნაწილი წარმოადგენს ყურში გასაყრელ მოხრილ მავთულს, რომელზედაც უძრავადაა მიჩნილული ოვალური ფორმის თვალბუდე ამობურცული აღმანდინის თვალით. ქვედა ნაწილი წარმოადგენს იგივე ფორმის თვალბუდეს, რომლის ქვედა ნაწილი ოქროს რამდენიმე წვრილი მავთულითა და ოქროს ცვარათი გაკეთებული ყურძნის მტევნით მთავრდება. ერთი წვრილი მავთული რამდენიმეზეა გადახვეული. ორივე ნაწილი ერთმანეთთან სახსრითაა დააკეშირებული. სიგრძე 6 სმ-ია. წონა 2,620 გრამი.

347 (01/1 — 317; სურ. 552). საყურე ოქროსი, ზემოაღწერილის ანალოგიური, მხოლოდ ყურძნის მტევნის მაგივრად ქვედა ნაწილში მარგალიტის მძივი აქვს. სიგრძე 6,3 სმ. წონა 3,150 გრ.

348 (01/1 — 318; სურ. 549). ბეჭედი ვერცხლისა, რკალი განივკვეთში სამკუთხა. ოვალური ფორმის თვალბუდეში ზის სარდიონის გემა ინტალიო: გამოსახულია კურდღელი, შიგა დიამეტრი 1,8 სმ.

349 (01/1 — 319; სურ. 551). ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განივკვეთში სამ-

კუთხაა. ოვალური ფორმის თვალბუდეში ზის ალმანდინის ამობურცული თვალი. შუა დიამეტრი 1,8 სმ.

350 (01/1 — 320; სურ. 552). ხელადა, ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. სამტუხაა. აქვს ორი მუცელი, ზედა მუცელზე ერთი, ქვედაზე ორი ყური, ბრტყელი ძირი, ქვედა მუცელზე კოპების ორი რიგი შემოუყვება. სიმაღლე 14,2, ზედა დიამეტრი 4,5, ქვედა — 7,5 სმ.

351 (01/1—321; სურ. 547). ხელადა ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. აქვს გადაშლილი პირი დაბალი ყელი, ყელზე და მუცელზე მიძერწილი ყური. სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი. ყელზე წიბო შემოუყვება. სიმაღლე 13,2 მუცლის დიამეტრი 12,5 სმ.

352 (01/1 — 322; სურ. 553). კოკობი ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. თხელკედლიანია და ხელით ნაძერწი. აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, ერთი ყური, მრგვალი ძირი. სიმაღლე 5,8, მუცლის დიამეტრი 4,6 სმ.

353 (01/1 — 323; სურ. 548). მძივები: ლალ-პიროპისა 14-წახნაგა, სხვადასხვა ზომის 7 ცალი; 8-წახნაგა 2 ცალი; სარდიონისა მანდარინისებრი 3 ც; აქატისა ბიკონუსური 1 ც; თეთრი ქვისა (მარჯანი?! 22 ცალი; მწვანე მინისა გამჭვირვალე 1 ც. ლურჯი მინისა ცილინდრული 1 ც; ლურჯი მინისა მანდარინისებრი 114 ც; ლურჯი მინის იოტები 16 ც; ლურჯი მინისა მანდარინისებრი 2 ც; ლურჯი მინისა გვერდებდაარული 27 ცალი. ქარვისა — 20 ცალი.

კომბინირებული ტიპის სამარხია. O და W კედლები ბრტყელი კრამიტისა აქვს. ზომები:  $0,35 \times 0,30 \times 0,06$  მ. ხოლო N და S კედლები — ქვიშაქვის ფილებისა.  $1,30 \times 0,25 \times 0,20$ . 1—2 წლის მიცვალებული 1—2 წლის მიცვალებული დაეკრძალა მარჯვენა გვერდზე. ხელები მკერდზე ეწყო. ფეხები ოდნავ მოხრილი ჰქონდა. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

კომბინირებული ტიპის სამარხია. სახურავი ქვიშაქვის ფილებისა ჰქონდა. O და W კედლები ქვიშაქვისა, ხოლო O და W კედლები შედგებოდა თითო ბრტყელი კრამიტისა და ორ-ორი ქვიშაქვის ფილისაგან. კრამიტის ზომები:  $0,45 \times 0,25 \times 0,08$ ;  $0,40 \times 0,18 \times 0,02$  მ.  $1,82 \times 0,68 \times 0,30$  მ. 11—13 წლის მოზარდი ესვენა გულაღმა გაშოტილი, თავით O-საკენ. ხელები პირისახესთან ეწყო მარჯვენა მხარეს. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

კომბინირებულია. W და S კედლები თიხის ფილებისა აქვს  $0,55 \times 0,26 \times 0,05$ ;  $0,55 \times 0,25 \times 0,05$  მ. O და W კედლები კი ქვიშაქვის მცირე და დაშლილი ფილებიანია. შექორჩენილა სამარხის მხოლოდ ნაწილი. სამარხში ახალგაზრდა ინდივიდი დაეკრძალათ, გულაღმა გაშოტი-

**სამარხი 531**  
(1979. 10. IX.  
IX. 8. 12: W—O)

ლი, თავით W-საკენ, რომლისაგან მხოლოდ წვივის ძვლები შემორჩა. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

**სამარხი 418**  
**(1978. 6. VIII.**  
**XVIII, 2; O—W.**  
**სურ. 192)**

ოთხკუთხა ქვათილებით ნაგები სამარხია. ქვიშა-  
ქვით ლოდებით გადახურული. W ნაწილი დაზიანდა გვი-  
ანი ხანის № 417 ქვაყუთის გამართვისას. ქვათილები  
თიხის ხსნარზეა ნაწყობი, სამ რიგად. ჩანს მეორადი  
გამოყენება. ქვათილებზე მოგრძო ოთხკუთხა და ე. წ.  
„მერცხლის კუდისებური“ ბუდეები მიუთითებს მათ გა-  
მოყენებას მშრალი წყობისათვის. სამარხი გამართულია ძვ. წ. II—I ს-ების ნა-  
მოსახლარის ფენაზე.  $0,85 \times 0,92 \times 0,50$  მ. ქვათილები პრაქტიკულად ერთი  
ზომისაა.  $0,44 \times 0,18 \times 0,19$ ;  $0,47 \times 0,17 \times 0,22$ ; სამარხში ესვენა სამი მიცვალე-  
ბული, ერთმანეთის გვერდით, გულადმა გაშოტილი, თავით აღმოსავლეთით.  
40 — 50 წლის მამაკაცი; 30 — 40 წლის ქალი და 10 — 13 წლის მოზარდი. მა-  
მაკაცს მარჯვენა ხელი მუცელზე ჰქონდა გადადებული, მარცხენა ედო ბოჭვენ-  
ზე. სამარხში აღმოჩნდა: მინის თასი, მოკიქული თიხის ჭურჭელი, ბეჭედი.

354 (01/1 — 1390; სურ. 556, 566) თასი ღია მწვანე ფერის გამკვირვალე  
მინისა, თხელკედლიანია. აქვს გადაშლილი პირი, სფერული მუცელი, მცირედ  
შეზნექილი ძირი. ძირზე 6, ხოლო მუცელზე 7 კობი აქვს. სიმაღლე 8,8, პირის  
ღიამეტრი 12 სმ.

355 (01/1 — 1391; სურ. 557). თიხის ორყურა ჭურჭელი. ნაცრისფრად  
გამომწვარი და მწვანე კიქურითაა დაფარული. ამფორისკის ფორმა აქვს. სქელ-  
კედლიანია, ბაკოც სქელი აქვს. ყელი შუა მხრიდან ვიწრო, მსხლისებრ ტანია-  
ნია, და ოდნავ შეზნექილ ქუსლიანი. თიხა კარგად განლეჟილია. ჩარხზეა დამზა-  
დებული. სიმაღლე 14, პირის ღიამეტრი 3,5, ძირ-ქუსლისა 4. მუცლისა 5 სმ.

356 (01/1 — 1391<sup>1</sup>; სურ. 558). ბეჭედი ვერცხლისა, რკალი ბრტყელი აქვს.  
გარედან და წიბოებზე დაღარულია: ვაშლის კურკის ფორმის თვალბუდეში ზის  
დაწახნაგებული ალმანდინის თვალი. ღიამეტრი 1,7 სმ-ია.

ქვიშაქვის ოთხკუთხა ფილებით ნაგები სამარხია,  
**სამარხი 430** ქვიშაქვის ლოდებით გადახურული. O და W კედლები  
**(1978. 28. VI;** თითო-თითო ქვათილისაა:  $0,43 \times 0,22 \times 0,16$ ;  $0,47 \times$   
**სურ. 195; CXVII,**  $0,16 \times 0,16$  მ. N და S კედლები კი ორ-ორი ქვით იყო  
**8, O — W)** ნაგები:  $0,50 \times 0,20 \times 0,15$  მ:  $0,45 \times 0,45 \times 0,12$  მ, და  
 $0,48 \times 0,25 \times 0,16$  მ;  $0,45 \times 0,16 \times 0,16$ . ქვათილებზე

ამოკვეთილია ბუდეები როგორც ვერტიკალური, ისე შვეული უწყვეტების ჩასა-  
მაგრებლად. სამარხში 5 — 7 წლის მიცვალებული ესვენა, გულადმა გაშოტი-  
ლი, თავით O-საკენ. ხელები ტანის გასწვრივ ეწყო. სამარხში არქეოლოგიურა  
მასალა არ აღმოჩენილა.

სამარხი 485  
(1980. 11. XII,  
CXVIII, 2. სურ. 197  
(O — W)

ოთხკუთხა ქვათლილებით ნაგები სამარხია. სახურავი ქვიშაქვის სამი ფილისა ჰქონდა. კედლები ქვათლილების ორი რიგით იყო ნაგები კირხსნარზე. ამავე ხსნარით იყო შეღესილი ქვათაშორისები შიგა მხრიდან. ქვათლილებზე ოთხკუთხა და „მერცხლისკუდისებური“ ბუდეებია ამოკვეთილი, მათი შევეული და თარაზული გადამისათვის.  $0,40 \times 0,19 \times 0,16$  მ;  $0,42 \times 0,20 \times 0,18$ ;  $2,20 \times 1,15 \times 0,64$  მ. ზრდასრული მიცვალებული იწვა სამარხის N კედელთან გულადმა გაშოტილი თავით O-საკენ. მოხრილი მარჯვენა ხელი მარჯვენა მხართან ჰქონდა მიტანილი. მარცხენა — მუცელზე ედო. სამარხში აღმოჩნდა: სარკე, ბრინჯაოს, ღერაკები და ლილები.

357 (01/1 — 1680; სურ. 559). სარკე ბრინჯაოსი. წარმოადგენს ოდნავ ამოზნექილ მრგვალ ფირფიტას. ამოზნექილი მხარე გაპრიალელებულია. გვერდი ჩამოტეხილი ჰქვს; დიამეტრი 9. სისქე 0,1 სმ.

358 (01/1 — 1681; სურ. 560). ღერაკი ბრინჯაოსი. განივკვეთში ოთხკუთხა მოხრილია რუსული T-ს ფორმაზე და ბოლოებიც მოკაუჭებული აქვს სიგრძე 2,7 სმ. სიგანე 2 სმ.

359 (01/1 — 1682; სურ. 561). ღერაკი ბრინჯაოსი. ზემოთ აღწერილის ანალოგიური.

360 (01/1 — 1683; სურ. 562). ლილები?! ბრინჯაოსი (3 ცალია) ნახევარხაფეროს ფორმა აქვთ. შიგა მხარეს ყუნწი არ გააჩნიათ. დიამეტრი 12 მმ. 9 მმ.

სამარხი 391  
1970. 29. VI;  
CXVIII, 6; O — W)

თიხის სარკოფაგია, ქვიშაქვის ლოდებითა და საკუთარი სახურავის ფრაგმენტებით გადახურული გარედან სარკოფაგს ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს. ქვედა სარტყელი ნაპღევებიანია. სამფენადაც გამოშვარი, შუა შრე შავია. სარკოფაგი დაზიანებულია და გაძარცვული. ზრდასრული ქალის ძვლები NO ნაწილში იყო მიყრილი. სამარხში აღმოჩნდა: სანელსაცხებლე, ბრინჯაოს კოვზი?!  $1,68 \times 0,77 \times 0,50$  მ.

361 (01/1 — 1459; სურ. 563). კოვზი? ბრინჯაოსი, ღრუტანიანია, წინა დაბრტყელებული ნაწილი ოვალური აქვს. ნაკლულია. სიგრძე 11 სმ. პირის ზომებია  $2,3 \times 1$  სმ.

362 (01/1 — 1460; სურ. 564). სანელსაცხებლე ღია მწვანე ფერის გამკვირვალე მინისა. სქელკედლიანია. უმნიშვნელოდ ირიზებული აქვს სქელი ბაკო, გადაშლილი პირი. დაბალი ყელი, სფერული მუცელი, შეზნექილი ძირი. ორიდან ერთი ყური შემორჩა. სიმაღლე 6,8 დიამეტრი მუცლისა — 5,8, პირისა 2,8 სმ.

## გაბიჩოლ სამართა რაოდენობა

| გაბიჩოლ<br>წელი | სამართა<br>რაოდენობა |                   | ინტენ-<br>ტიური |                 | კეპულო | კრამიტ-<br>სამართა | თბისტილა<br>სამართა | ორმოსა-<br>მართა | ობეკუბა კე-<br>ოლოკუბო<br>ნებეი ს-<br>მართა | კომბინ-<br>რეკულო<br>ტბისა | თბის<br>სარკოფეგი |
|-----------------|----------------------|-------------------|-----------------|-----------------|--------|--------------------|---------------------|------------------|---|----------------------------|-------------------|
|                 | გვიან-<br>აბეკუბო    | გვიან-<br>აბეკუბო | ინტენ-<br>ტიური | ინტენ-<br>ტიური |        |                    |                     |                  |   |                            |                   |
| 1976            | 203                  | 36                |                 |                 | 24     | 4                  | 9                   | 10               |   | 2                          |                   |
|                 | 49                   | 13                |                 |                 |        |                    |                     |                  |   |                            |                   |
| 1977            | 61                   | 10                |                 |                 | 10     |                    | 3                   | 1                |   |                            |                   |
|                 | 14                   | 4                 |                 |                 |        |                    |                     |                  |   |                            |                   |
| 1978            | 99                   | 13                |                 |                 | 12     | 1                  | 3                   | 1                | 2   |                            |                   |
|                 | 19                   | 6                 |                 |                 |        |                    |                     |                  |   |                            |                   |
| 1979            | 84                   | 17                |                 |                 | 7      | 4                  | 2                   | 14               |   | 3                          | 1                 |
|                 | 31                   | 14                |                 |                 |        |                    |                     |                  |   |                            |                   |
| 1980            | 38                   | 11                |                 |                 | 1      | 4                  | 2                   | 5                | 1   |                            |                   |
|                 | 13                   | 2                 |                 |                 |        |                    |                     |                  |   |                            |                   |



კრამეტსაშვებების ინვენტარი

| საშვების № | თიხის კუბურული | შინის კუბურული | ოქრო            | ვერცხლი                    | ბრინჯი               | რკინა                | ქალი საღარი                               | პიციბი, შიშულკო-დები, | სტედასკეა                                  | თარიღი       | სურათი  |
|------------|----------------|----------------|-----------------|----------------------------|----------------------|----------------------|---|-----------------------|--|--------------|---------|
| 86         | 3              |                | საუბრე ლაღუმები | ბეჭელი მინეტა (2). აბზინდი | ბეჭელი               | ბეჭელი ფრაგმენტები   | ნარბა. საკანონი-ოაქი სტი-ლიისი ფი-რფიტები | +                     | სსს ნაშო. საბლიონი გემბანტა-ლო. სალუსი კეა | III—IV სს    | 376—395 |
| 517        | 1              |                |                 |                            |                      |                      |   | +                     |  | III ს.       | 396—397 |
| 540        |                |                |                 |                            | საყდი აბ-ზინდა. ბაღა | საყდი აბ-ფრაგმენტები |   | +                     |  | IV—ს. I ნახ. | 398—401 |
| 575        | 2              | 2              | ფორფიტა         |                            |                      |                      |   |                       |  | III—IV ს-ე   | 402—404 |
| 576        |                |                |                 | ფორფიტა                    |                      |                      |   |                       |  | III—IV ს-ე   | 405     |
| 583        |                |                |                 |                            | რგოლი                |                      |   | +                     |  | III—IV ს-ე   | 406.407 |

კომპონენტული, კვალირული ნაგებ სამატიებსა და თხის საკოფვის ინტეტი

| სამატიის<br>№ | თხის<br>კუტილ | მინის<br>კუტილ | ოქრო                               | ვერტლი     | ბინჯო                            | რკინა | ქული<br>სადევი | მინი,<br>მინჯო,<br>დევი | სხვიდასე | თარლი      | სურათი  |
|---------------|---------------|----------------|------------------------------------|------------|----------------------------------|-------|----------------|-------------------------|----------|------------|---------|
| 34            | 3             |                | მეტილი (1) მეტილი (2)<br>სეუვი (2) | მეტილი (2) |                                  |       |                | +                       |          | III—IV სს. | 547—555 |
| 416           | 1             | 1              |                                    | მეტილი     |                                  |       |                |                         |          | III—IV სს. | 556—559 |
| 465           |               |                |                                    |            | სარკე ნი-<br>ბაი (2)<br>ლილი (2) |       |                |                         |          | III—IV სს. | 559—562 |
| 391           |               | 1              |                                    |            | კოფი                             |       |                |                         |          | III—IV სს. | 563—564 |







პეტიციები

| სამართლის № | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | საქმის<br>აქტი | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | საქმის<br>აქტი | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა |
|-------------|----------------------------------|----------------------------------|----------------|----------------------------------|----------------------------------|----------------|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
| 414         |                                  |                                  |                |                                  |                                  |                |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |
| 496         | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | 3                                |                |                                  |                                  |                |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |
| 501         | შეხვედრის<br>საბჭოს<br>პროცედურა | 1                                | 2 საკმის       |                                  |                                  |                |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |
| 518         |                                  |                                  |                |                                  |                                  |                |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |
| 532         |                                  |                                  |                |                                  |                                  |                |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |
| 577         |                                  |                                  |                |                                  |                                  |                |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |                                  |



ორქმისამარხების ინვენტარი

| სამარხის № | თარხის ქუჩა | ქუჩის მონაკვეთი | საქონლის სახეობა         | ფაქტობრივი სახეობა | საქონლის მდგომარეობა | ინვენტარის ნომერი | სამარხის მდებარეობა | სამარხის დასახელება |
|------------|-------------|-----------------|--------------------------|--------------------|----------------------|-------------------|---------------------|---------------------|
| 5          |             | 1               | საქონლის ბეჭეტი          |                    | +                    |                   | IV ს-1 ნახ.         | 470-473             |
| 36         |             | 1               |                          |                    |                      |                   | III-IV სს.          | 474                 |
| 49         |             | 1               | ბეჭეტი                   |                    |                      |                   | IV ს-1 ნახ.         | 475-476             |
| 97         |             | 2               |                          |                    | +                    |                   | IV ს-1 ნახ.         | 477-481             |
| 108        |             |                 | აბჯინდა                  |                    |                      |                   | IV ს-1 ნახ.         | 482                 |
| 158        |             | 1               | მანქანის (ბელის) აბჯინდა | სივრცე             |                      |                   | IV ს-1 ნახ.         | 483-484             |
| 163        |             |                 |                          |                    |                      |                   | IV ს-1 ნახ.         | 485-487             |
| 165        |             |                 | რგული                    | 2 აბჯინდა          |                      |                   | IV ს-1 ნახ.         | 488-490             |
| 181        |             |                 | ბეჭეტი საყურე            |                    | +                    |                   | III ს.              | 491-493             |
| 242        |             | 2               | ბეჭეტი                   |                    | +                    |                   | III ს.              | 494-497             |
| 411        |             | 1               | 2 ისრაბაბი               |                    | -                    |                   | III-IV სს.          | 498-501             |



პეტიციონერები

| №   | სახელი | დაბ. | დასახ. | ამდგომარეობა | სამსახური | სამსახურის დასრულების თარიღი | სამსახურის დასრულების მიზეზი | სამსახურის დასრულების თარიღი | სამსახურის დასრულების მიზეზი | სამსახურის დასრულების თარიღი | სამსახურის დასრულების მიზეზი |
|-----|--------|------|--------|--------------|-----------|------------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|
| 490 | საბა   | 1902 | საბა   | საბა         | საბა      | 1902                         | საბა                         | 1902                         | საბა                         | 1902                         | საბა                         |
| 500 | საბა   | 1903 | საბა   | საბა         | საბა      | 1903                         | საბა                         | 1903                         | საბა                         | 1903                         | საბა                         |
| 524 | საბა   | 1906 | საბა   | საბა         | საბა      | 1906                         | საბა                         | 1906                         | საბა                         | 1906                         | საბა                         |
| 533 | საბა   | 1908 | საბა   | საბა         | საბა      | 1908                         | საბა                         | 1908                         | საბა                         | 1908                         | საბა                         |
| 542 | საბა   | 1920 | საბა   | საბა         | საბა      | 1920                         | საბა                         | 1920                         | საბა                         | 1920                         | საბა                         |
| 564 | საბა   | 1923 | საბა   | საბა         | საბა      | 1923                         | საბა                         | 1923                         | საბა                         | 1923                         | საბა                         |
| 566 | საბა   | 1928 | საბა   | საბა         | საბა      | 1928                         | საბა                         | 1928                         | საბა                         | 1928                         | საბა                         |
| 585 | საბა   | 1930 | საბა   | საბა         | საბა      | 1930                         | საბა                         | 1930                         | საბა                         | 1930                         | საბა                         |
| 589 | საბა   | 1935 | საბა   | საბა         | საბა      | 1935                         | საბა                         | 1935                         | საბა                         | 1935                         | საბა                         |
| 590 | საბა   | 1938 | საბა   | საბა         | საბა      | 1938                         | საბა                         | 1938                         | საბა                         | 1938                         | საბა                         |
| 591 | საბა   | 1941 | საბა   | საბა         | საბა      | 1941                         | საბა                         | 1941                         | საბა                         | 1941                         | საბა                         |

Г. Н. МАНДЖГАЛАДЗЕ

## ПОГРЕБАЛЬНЫЕ КОМПЛЕКСЫ ПОЗДНЕАНТИЧНОГО ПЕРИОДА ИЗ САМТАВРСКОГО МОГИЛЬНИКА

Каталог (1976—1980 гг.)

### Резюме

В предлагаемой работе публикуются погребальные комплексы из Самтаврского могильника, добытые в течение 5 полевых сезонов (1976—1980 гг.).

Дается полная характеристика погребальных сооружений, обряда захоронения и погребального инвентаря III—IV вв. нашей эры. Публикуются 126 погребальных комплексов. Из них 54 каменных ящика, 13 черепичных ящиков, 19 плиточных погребений 31 грунтовое погребение, 5 комбинированных, 3 погребения, составленные из песчаниковых квадров, и 1 глиняный саркофаг.

Среди перечисленных выше погребений инвентарь засвидетельствован в 88 погребениях, 38 оказались без инвентаря,

Следует отметить, что с конца III в. на Самтаврском могильнике, наряду с индивидуальными погребениями, начинают распространяться коллективные захоронения в семейные склепы. Костяки в них, как правило, лежат в вытянутой позе головой на W или O.

Данные факты указывают на распространение христианской идеологии среди населения столярного города еще до официального провозглашения христианства в Картли государственной религией.

ა. სიხარულიძე

ა. აბუთიძე

## მოგვთაპარის სამაროვანი

(კატალოგი)

დიდი მცხეთის ერთი ნაწილის „არმაზით კერძი ქალაქის“ მოგვთაპარის უბანი მდებარეობს ქართლის ქედის ჩრდილოეთი კალთის ძირას, მცხეთის რკინიგზის სადგურთან, მის წინ სამხრეთით. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, აღნიშნული ტერიტორია დედაქალაქობის ხანის მცხეთის ერთ-ერთი მკიდროდ დასახლებული უბანი უნდა ყოფილიყო. (2, გვ. 204).

წერილობითი წყაროები მოგვთა უბნის გაჩენას მცხეთაში ქართველთა მეოთხე მეფეს ფარნაჯომს უკავშირებს „...შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვან მოგუთა, და იწყოცხადად გამოზად კერპთა“. (31, გვ. 29).

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დღევანდელი რკინიგზის სადგურის მიდამოებში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გათხრილ სამაროვანსა და ნამოსახლარის ლოკალიზებას მოგვთაპარის უბნად, მხარს უჭერს აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებაც. ნ. ბერძენიშვილი მცხეთის გორაზე მსჯელობის დროს წერს: „...ეს ხევი (საუბარია ბეჟანაანთ ხევზე) მტკვარს ერთვის ჩრდილოეთის მხრიდან აწინდელი ხიდის ახლო. ამ მიდამოებში, საფიქრებელია, იყო „მოგვეთის კარი“, რომელიც საკუთრივ მცხეთას ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან ქვეტავდა. (7, გვ. 211).

ოციან წლებში მოგვთაპარის მიდამოებში მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა; გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის (I—III სს.) ქვითა და კრამიტით ნაგები სამარხები, ხოლო 1951 წელს აქ აღმოჩნდა ახ. წ. 1 ს-ის ე. წ. მეფოლელუმის ტიპის აკლამა. (1, გვ. 6—9).

1975 წლის მაისში მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა მოგვთაპარზე (რუსთაველის ქ. № 59) გათხარეს გვიანანტიკური ხანის ორმოსამარხი.

1975 წელსვე მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საძიებო რაზმმა თხრილები გაავლო მოგვთაქარზე, რკინიგზის სადგურის მიდამოებში და გამარჯვების პარკის ტერიტორიაზე, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ადგილას.

1977 წელს მოგვთაქარის რაზმი თხრიდა I—III სს-ის სამროვანს და III—IV სს-ის ნამოსახლარის ნაშთებს (სურ. 594, 595).

ამ ეპოქის სამარხები (I—III სს.) ქალაქის ბევრ უბანზეა აღმოჩენილი, მაგრამ მოგვთაქარისა კრამიტსამარხთა სიმრავლითა და თავმოყრით გამოირჩევა (23). გათხრილი 13 სამარხთაგან 10 კრამიტებითაა შედგენილი. მოგროძო-სწორკუთხოვანი კრამიტყუთები კონგლომერატში ჩაჭრილ ორმოშია ჩადგმული, მიწის ამჟამინდელი ზედაპირიდან დაახლოებით 1,5 მ. სიღრმეზე. კრამიტსამარხები, ჩვეულებრივ, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: მოგროძო-სწორკუთხოვანი ყუთი (საკუთრივ მიცვალებულის დასაკრძალავი განყოფილება) ორფერდა ან ბანური სახურავი — ეს უქანასკნელი დამოკიდებულია სამარხის სიდიდეზე.

კრამიტყუთი შედგენილია ერთმანეთის გვერდით შვეულად, თანაც თავშექცევით, ჩაყენებული ბრტყელი, გვერდბაქეცილი კრამიტებით — სოლენებით. ასეთივე კრამიტით არის შედგენილი სახურავის ორივე კალთა. ბრტყელი კრამიტების შეერთების ადგილები — ე. ი. სოლენტშორისები დაფარულია ღარისებრი კრამიტებით — კალიბტრებით. კალიბტრებით არის დაფარული ორკალთა სახურავის კეხიც. ამრიგად არის შედგენილი ორიგინალური სახეობა ანტიკური ხანის სამარხებისა — კრამიტის „სახლი საკრძალავი“ — კრამიტსამარხი. სამარხის იატაკიც, როგორც წესი, ბრტყელი გვერდბაქეცილი კრამიტებით არის დაფარული. ასეთი სამარხის შესადგენად 52 კრამიტია გამოყენებული: 26 სოლენი (იატაკად 6, გვერდებად — 12, სახურავზე ფერდებად — 8) და 26 კალიბტერი (გვერდების სოლენტშორისების დასაფარავად — 12, კალთების სოლენტშორისების დასაფარავად — 10 და კეხის დასაფარავად — 4). არის შემთხვევები უფრო მცირე ყუთების შედგენისა; მათ ასაგებად ცხადია, ნაქლები საამშენებლო მასალა იხარჯებოდა.

კრამიტის „სახლ საკრძალავთა“ (მასთან, მიცვალებულთა) დამხრობა მკაცრად კანონიზებული არ ჩანს, მაგრამ მთავარი მიმართულებაა W—O და O—W. ამასთანავე, ყველა მიცვალებული გვერდზეა დასვენებული, ხელფეხმოკეცილი — მოკუნტულ მდგომარეობაში, ე. ი. დაკრძალვის პოზა კანონიზებულია. მეტნაკლებად განსაზღვრული ჩანს სამარხში ჩასატანებელი ინვენტარიც. ერთი ან ორი ხელადა თიხისა, უფრო მინის ჭურჭელი, ათეულობით მძივები და მძივსაკიდები (სარდიონი, ქალცედონი, ძოწი, პასტა, ბრინჯაო და სხვ.) ოქროს საყურეები. ბრინჯაოს ცხოველსახე საკიდები, ზარაკები, ნიჟარა ფერუმარლისათვის კოვზითურთ, ბრინჯაოს სარკე, ზოგჯერ რკინის დანა, საკინძები, მრავლად ბეჭდები, მე-6 სამარხში 5 ბეჭედი აღმოჩნდა, რომელთაგანაც ერთზე ამოკვეთილი

იყო ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერა — „Κυρια Καλη“ (24)\*. რვა კრამიტსამარხში მონეტებიც აღმოჩნდა, ერთ-ერთში — ტყვიის შეკიდული ბეჭედი — ბულა.

სამარხეული მასალის ეს არასრული ჩამოთვლა ცხადსა ხდის, რომ კრამიტსამარხები შეძლებულ მოქალაქეთა კუთვნილებათ. ამ ფენის წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი ჩანს ძვირად ღირებული სამშენებლო კრამიტიც და მდიდრული, მრავალფეროვანი ადგილობრივი თუ უცხოური წარმომავლობის საგნებიც. მოგვთაყარის კრამიტსამარხთა გათხრისას მიღებულ ასეთ დასკვნას მხარს უჭერს 1975 წ. სეტიცხოვლის უბანსა და კარსნისხევის შესართავთან გათხრილი კრამიტსამარხთა საკმაოდ დიდი ჯგუფი (14).

კრამიტსამარხებში დაკრძალულთა ეთნიკური ვინაობის დადგენა ჯერჯერობით უძველად ვერ ხერხდება, მაგრამ სამარხი ნაგებობის ამ სახეობის წარმოშობით არაადგილობრივობის, უპირატესად უცხოური ან პრაქტიკულად უცხოური ნივთების სიმრავლის, მიცვალებულის პირში ან ხელში „ქარონის მონეტის“ აღმოჩენის ხშირი შემთხვევების შუქზე პრინციპულად სანდო ჩანს ქართული საისტორიო წყაროების ცნობები დიდი მცხეთის მოგვთაყარზე უცხო თესლის შვილთა დასახლობის შესახებ „...მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლმსახურნი და მოგუნი და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვან მოგუთა“. (31. გვ. 29).

დიდი მცხეთის მოგვთაყარის გათხრებმა, კვლავ დაადასტურა, რომ ძველი დედაქალაქის უბნებს აქვთ თავიანთი სამაროვნები: არაგვის კარს — სამთავროს სამაროვანი, საპიტიანშოს — არმაზისხევისა, მეთუნეთა უბანს — კარსნისხევისა, მუხათგვერდ-ნაქულბაქევისას — მუხათგვერდ-ზემოავქალისა, წიწამური-სას—კამარახევისა, მოგვთაყარს — მოგვთაყარისა და სხვა, სადაც შესაფერისად შერჩეული ნაკვეთები ეკავა მდაბიოთა სამარხებს, საშუალო შეძლების მოქალაქეთა და სამეფო კარის წევრთა აკლამებს, ე. ი. მოგვთაყარის სამაროვანი მავალითზეც მკაფიოდ ჩანს სამარხთა სოციალური ტოპოგრაფია. კრამიტის „სახლ საყრძალვთა“ მოგვთაყარის ბუდე შესაძლოა უცხო ეთნიკური ელემენტის სიმრავლის კიდევ ერთი მანიშნებელი იყოს და ახ. წ. I—III სს-ში დიდ მცნეთაში უცხოური გავლენის სიძლიერისა და ხანგრძლივობის მაჩვენებელიც. ბოლო წლების არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადსა ხდიან, რომ უცხოური ეთნიკური ელემენტების სიმრავლე და კულტურული გავლენა გაცილებით უფრო ღრმა, ხანგრძლივი და ძლიერი ყოფილა, ვიდრე ივარაუდებოდა საისტორიო წყაროებში შემონახული ცნობების საფუძველზე. შესაბამისად სულ

\* აღნიშნული წარწერა პოზიტიურია, ამიტომ ავტორები ფიქრობენ, რომ ბეჭედი სამკაულად უნდა ყოფილიყო გამოყენებული და არა საბეჭდად. რაც შეეხება წარწერის ქართულ შესატყვისებს, მათ შორის, უპირატესობა ენიჭება „ლამაზ უფალს“ - დიდებულ ქალბატონს“, „შეენიერ ქალბატონს“.

უფრო ახალი საფუძვლები ჩნდება დიდი მცხეთის, და საერთოდ, ქართლის სამეფოს, ანტიკური ხანის ისტორიისა და კულტურის საკითხების ახლებურად გააზრებისათვის. თვალსაჩინოა ამ მხრივ მოგვათაკარის სამაროვანის წვლილი.

კრამიტსამარხია\*. (სურ. 596—597).

### სამარხი 1

(1077. 1. 02, III,  
8; 1, 77, — 2,87;  
2,0 × 3,25; 1,65 ×  
0,75 × 0,53; 2,10 ×  
1,30 მ. NNO —  
SSW)

თიხნარ-ქვალორიან ნიადაგში ჩაქრილ ორმოში გამოვლინდა წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სამარხი ნაგებობა-ყუთი, რომელსაც იატაკის მაგივრობას უწყევდა წინასწარ მომზადებული გრუნტი. გრძივი კედლები შედგენილია შევულად ჩადგმული ოთხ-ოთხი, ხოლო განივი ორ-ორი ბრტყელი, გვერდებზეა კრამიტებით — სოლენებით. კრამიტები თავშექცევივითაა ჩადგმული, აკეცილი გვერდებით გარეთ მიმართულა. მათი შეერთების ადგილები დაფარული იყო ორმოში განიერი თავებით ჩადგმული ღარისებრი კრამიტებით — კალიბტრებით. მხოლოდ ერთ ადგილას, სამარხის კუთხეში კალიბტრის ნაცვლად სოლენის ნატეხია გამოყენებული. სამარხის ორფერდა სახურავის თითოეული კალთა შედგებოდა ოთხ-ოთხი აკეცილა გვერდებით ზემოთ მიმართული სოლენისაგან. მათი შეერთების ადგილები დაუფარავთ ღარიანი კრამიტებით. სახურავის კეხი შეუდგენიათ ოთხი კალიბტრით, რომლებიც ვიწრო თავებით სამარხის ცენტრისაკენ იყვნენ მიმართული. სამარხის ასაგებად ორივე სახის 44 კრამიტია გამოყენებული. აქედან სახურავისათვის — 20. სამარხის ჩრდილოეთ განივ კედელთან გარედან აღმოჩნდა წვრილფეხა ცხოველის ძვლები. როგორც ჩანს შეწირულია.

სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, პირისახით იატაკისაკენ მიქცეული, მარჯვენა ხელის მტევანი თავქვეშ ედო, მარცხენა — მკერდზე.

სამარხში აღმოჩნდა:

1 (01/9 — 1; სურ. 598 — 599). ხელადა კარგად განლექილი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, თხელკეციანი, პირი მრგვალი, ოდნავ გადაშლილი, ყელი დაბალი, განივკვეთში ბრტყელი; ყური მხარ-მუცელზეა მიძერწილი; მუცელი სფერული, პირი ბრტყელი. მუცელს სამრიგად შემოუყვება ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული შიგნიდან ამოყვანილი კოპები. სიმაღლე ჭურჭლის — 13,0; დმ პირის — 6,1, მუცლის—14,0, ძირის—9,7; კეცის სისქე — 0,3 სმ.

2 (01/9 — 2; სურ. 600 — 601). ხელადა კარგად განლექილი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, თხელკეციანი, პირი მრგვალი, გადაშლილი, ბრტყელ-

\* თანმიმდევრობით მოცემულია: სამარხის აღმოჩენის წელი, თვე და რიცხვი; ნაკვეთი, კვადრტი; თუ რა დონეზეა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან, ნული ხაზიდან; სამარხის გარე, შიგა და ორმოს ზომები.

განიკვეთში ბრტყელი ყური მიძერწილი აქვს მხარ-მუცელზე, ყელი — დაბალი; მუცელი — სფერული; ძირი — ბრტყელი; მუცელს სამ რიგად შემოუყვება ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული შიგნიდან ამოყვანილი კოპები. პირი ყურის მხარეს ოდნავ ჩამოტეხილია, მუცელზე ზედაპირი ატკეცილია, ორ ადგილას ჩატეხილია, სიმაღლე ჭურჭლის — 14,0 დმ — პირის — 6,2; მუცლის — 15,0, ძირის — 10,3; კეცი სისიქე — 0,4 სმ.

3 (01/9 — 3; სურ. 602 — 603) თასი მინის, გამჭვირვალე, ოდნავ მომწვანო-მოყვითალო ფერი დაჰკრავს, ირიზებულია, თხელკედლიანი; პირი მრგვალი და ოდნავ გადაშლილი აქვს. კიდე შესქელებული; წელში ოდნავ გამოყვანილი, კალთა ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული, მუცელსა და კალთას შორის გასდევს წიბო, ამოღებულქუსლიანი ძირით. სიმაღლე ჭურჭლის — 9,9; დმ. პირის — 7,5; ძირის — 3,0 სმ.

4 (01/9 — 4) ფირფიტა ოქროსი, ყუნწიანი, დაქყლებილი. წონა — 0,125 მგ.

5 (01/9 — 5) საკინძი რკინისა, წვეტიანი, თავი მოტეხილი, ძლიერ დაყანგული, სიგრძე — 6,0 სმ.

კომბინირებულია (სურ. 604 — 606; 612 — 613).

სამარხი 2  
(1977, 4, 05; III, 3. თიხნარ-ქველორდიან ნიადაგში ჩაქრილ ორმოში გამარხი ნაგებობა ყუთი, რომელსაც იატაკის მაგივრობას უწევდა წინასწარ მოტყეპნილი გრუნტი. კედლები შეუდგენიათ ქვიშაქვის ფილებით. W გრძივი კედელი შედგენილი იყო ერთი ქვიშაქვის ფილით — 1,62 × 0,55 × 0,09 მ. O გრძივი კედელი — ორი ფილით: 1) 1,08 × 0,40 × 0,08; 2) 0,38 × 0,48 × 0,7 მ. N და S გრძივი კედლები — თითო ფილით 0,91 × 0,40 × 0,06; 0,92 × 0,4 × 0,09 მ. სამარხის ორფერდა სახურავის თითოეული კალთა შედგებოდა ოთხ-ოთხი, აკეცილი გვერდებით ზემოთ მიმართული სოლუნისაგან. მათი შეერთების ადგილები დაუფარავთ ღარიანი კრამიტებით, სახურავის კეხი შეუდგენიათ ხუთი კალიბტერით. სახურავის მოსაწყობად სულ გამოუყენებიათ ორივე სახის 23 კრამიტი.

სამარხი ინდივიდუალურია, მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ მღვამარეობაში, პირისახით აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა 6 (01/9 — 6, სურ. 608, 614) ხელადა კარგად განლეპილი თიხისა, მოჩალისფროდ გამომწვარი, თხელკეციანი, პირი მრგვალი და ოდნავ გადაშლილი; დაბალყელიანი. მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი. ყური მხარ-მუცელზეა მიძერწილი. მუცელს ოთხ რიგად შემოუყვება ერთმანეთისაგან საშუალოდ 2 სმ-ით დაშორებული, ქვემოდან ამოყვანილი კოპები, ჭურჭელს ყელ-პირის ნაწილი ჩამოტეხილი აქვს. სიმაღლე ჭურჭლის — 12,7; დმ პირის — 5,4; მუცლის — 14,0, ძირის — 8,5; კეცის სისიქე — 0,3 სმ.

8. მცხეთა, ტ. VII

7 (01/9 — 7; სურ. 607, 615). ხელადა კარგად განლექილი თიხისა, აგურისფრად გამოშვარი, თხელკეციანი, პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ყელი დაბალი, გამოყვანილი, სფერულმუცლიანი, ძირი ბრტყელი. ყური მხარ-მუცელზეა მიდრწილი. ჭურჭელს მხარებზე შემოუყვება ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული ნაკდვეი წრეების (8 ცალი) სარტყელი. მუცელზე ერთრიგად შემოუყვება თითო შესრულებული მომრგვალებული ჩაღრმავებები. ჭურჭლის სიმაღლე — 9,9; დმ პირის — 4,3; მუცლის — 10,0, ძირის — 7,3; კეცის სისქე — 0,3 სმ.

8 (01/9 — 8; სურ. 611, 617). ზარაკები ბრინჯაოსი (2 ც.) ერთმანეთის ზუსტი ანალოგი, კონუსური მოყვანილობის, მრგვალი ყუნწით, რკინის მოძრავი ენით (ამეამად დაქანგული). სიმაღლე ორივე ზარაკისა — 2,1 სმ.

9 (01/9 — 9; სურ. 609, 618) მძივი ლურჯი მინის, მრგვალბრტყელი, ზედაპირზე თეთრი სპირალური ხაზით. სიმაღლე — 0,8; დმ. — 1,9; ნახვრეტის — 0,25 სმ.

10 (01/9 — 10; სურ. 620) მძივები: 1) ლურჯი: იასპის, კასრისებრი, ორივე მხარეს ნახვრეტებთან საგანგებო ჭრები აქვს ამოჭრილი, მცირე ზომის 1 ც. სიგრძე — 0,8, დმ — 0,65, ხერელის დმ — 0,25 სმ. 2) სარდიონის მანდარინისებრი, მოწითალო, ვარდისფერი; მცირე ზომის 1 ც. სიმაღლე — 0,5; დმ — 0,81; ხერელის — 0,08 სმ. 3) სარდიონის, ამღვრეული, მოწითალო-ვარდისფერი, ორმხრივნახვრეტი; 1 ც. სიმაღლე — 0,65, დმ — 0,8; ხერელის — 0,11 სმ. 4) ლურჯი მინისა, ოდნავგამჭირვალე, 14-წახნაგა, ფართო ცილინდრულნახვრეტიანი, ხერელის ცალ მხარეს ეტყობა ნაკდვეი 1 ც.; სიგრძე — 1,2; დმ — 0,9; ხერელის — 0,15 სმ; 5) პასტის თეთრი; მასიური, ცილინდრული, ფართოცილინდრულნახვრეტიანი (1 ც) სიგრძე — 1,75; დმ — 1,1; ხერელის — 0,49 სმ. სალათისფერი ოდნავ გამჭირვალე, მცირე ზომის, მრგვალბრტყელი, უდიდესი ზომები დმ — 0,2 სიმაღლე — 0,01 სმ. 6) მოვერცხლილი (?), თეთრი, მოგრძო, სპირალურორნამენტიანი, მცირე ზომის (10 ც.).

11 (01/9—11; სურ. 610; 619). საკიდი ბრინჯაოსი, ყუნწიანი, კუწუბოებიანი ტანით, სიმაღლე საკიდის—1,9; ყუნწის—0,8; დმ ტანის — 0,7; ყუნწის — 0,5 სმ.

12 (01/9—12) მონეტის ფორმისა და ზომის ბრინჯაოს ნივთი, გახვრეტილი.

13 (01/9—13) მონეტა ვერცხლის ავგუსტისის (ძვ. წ. 27, ახ. წ. 14) მოკრილია ძვ. წ. 2 — ახ. წ. 4 წწ. მონეტა ძალზე დაზიანებულია, თითქმის მთლიანადაა გადასული. — შუბლზე ოდნავ ირკვევა ავგუსტუსის პროფილი, წარწერები მთლიანად გადასულია. — ზურგზე ოდნავ ირკვევა გაიუს და ლუციუს ცეზარების ფიგურები და მათ შორის ფარები, წარწერები გადასულია.

14 (01/9—14) ბეკედი რკინის, ძლიერ დაზიანებული, თვალბუდემი ზიამუქი ყავისფერი სარდიონის ინტალიო. ინტალიო ოვალურია; ბრტყელი პირი



აქვს, ზედ გამოსახულია ჩაცუცქული კურდღელი (?). ცხოველის პატარა სხეული მოგრძო ღრმულით არის მინიშნებული, კიდურები კი წმინდა, მკაფიო ხაზებით არის შესრულებული. უჩვეულოდ გრძელი კუდი ქვევით არის დაშვებული. ჩლიქები მკეთრადაა გადმოცემული ჰორიზონტალური ხაზებით, მის ფერხთით ნიაცაგის ზოლია მინიშნებული. გამოსახულება მთლიანად ფარავს ქვის ზედაპირს. ანაბექლზე მაღალ რელიეფს იძლევა. ინტალიო შიგ რკალშივე ამოჭრილ თვალბუდეში ზის და ოდნავ ზევით არის ბუდიდან ამოსული. შემორჩენილი რკალის მიხედვით ჩანს, რომ რკალი მხრებისაკენ და თვალბუდის მიმართულუბით უფრო განიერდება. ინტალიო კარგად არის დაცული. რკალი დამტერეულია და დაუანგული.

16 (01/9 — 15) ფირფიტები ვერცხლის, სხვადასხვა ზომის (9 ც.) რგოლი ვერცხლის (2 ც.) თავგახსნილი, განივევითში ბრტყელი, ტყავის ფრაგმენტი.

16 ((01/9 — 16) მინის ჭურჭლის სანელსაცხებლის ყელის ნატეხი.

17 (01/9 — 17. სურ. 616). ნიუარა ფერუმარილის სასრესი. ნაკლულია. სიგრძე — 7,1; შემორჩენილი ნაწილის სიგანე — 2,1; სისქე — 0,2 სმ. კოვზი ძვლის, ნაკლული, მოტეხილი აქვს პირისა და ტანის ნაწილი. შემორჩენილია ნაწილის სიგრძე — 4,6 სმ.

კრამიტსამარხია, სურ. 621 — 622).

### სამარხი 8.

კირნარევე ქვალორდიან ნიადგში ჩაჭრილ ორმოში (1977, 8, 24; 11,1; გაუმართავთ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სამარხი ნაგებობა-ყუთი. იატაკად 6 სოლენია გამოყენებული, აკეცილი გვერდებით ქვემოთ მიმართული. გრძივი კედლები შედგენილია შევულად ჩადგმული სამ-სამი, ხლო განივი ორ-ორი ბრტყელი გვერდბაკეცია: კრამიტით. კრამიტები ვიწრო და განიერი თავების მონაცვ-

SWW — NOO)

ლებითაა ჩადგმული, აკეცილი გვერდებით გარეთ მიმართული. მათი შეერთების ადგილებს შემოლაგებული ჰქონდა ორმოში განიერი თავებით ჩადგმულ კალიბტრები. სამარხის ორფერდა სახურავის თითოეული კალთა შედგებოდა სამ-სამი აკეცილი გვერდებით ზემოთ მიმართული სოლენებისაგან. შეერთების ადგილები კი დაფარული იყო ღარიანი კრამიტებით, ვიწრო თავებით თავხისაკენ. კეხი არ ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით სოლენს, რომელიც სამარხის აღმოსავლეთი განივი კედლის შუა ნაწილში იღო ვიწრო თავით S-კენ. კრამიტყუთის გასამართავად სულ გამოყენებული იყო ორივე სახის 35 კრამიტი, აქედან სახურავისათვის — 15. სამარხს გარშემო შემოწყობილი ჰქონდა სხვადასხვა ზომის ქვატეხილი (34 ც.) ეტყობა შესამავრებლად. სამარხის NO კუთხეში გარედან აღმოჩნდა წერილფეხა ცხოველის ძვლები, როგორც ჩანს, შეწირულია.

სამარხი ინდივიდუალურია. ჩონჩხის ანატომიური მდგომარეობა დარღვეულია. მიუხედავად ამისა დადგინდა, რომ მიცვალბულად დაუკრძალავთ კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში მარჯვენა გვერდზე.

სამარხში აღმოჩნდა:

18 (01/9 — 18; სურ. 623—624). ხელადა კარგად განლექილი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, თხელკეციანი. პირი მრგვალი, ოდნავ გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი. განივკვეთში ბრტყელი ყურა მხარ-მუცელზეა მიძერწილი. მუცელს სამ რიგად შემოუყვება ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული შიგნიდან ამოყვანილი კოპები. სიმაღლე ჭურჭლის — 12,2; დმ. პირის — 7, მუცლის — 13,0; ძირის — 8,1; კეცის სისქე — 0,4 სმ.

19 (01/9 — 19; სურ. 625 — 626) ხელადა კარგად განლექილი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, თხელკეციანი, გარედან შეღებილი წითლად, სამტუჩა, ყელი დაბალი, მხრები დაქანებული, მუცელი სფერული. მუცელს სამრიგად შემოუყვება ქვემოდან ამოყვანილი კოპები, ძირი ბრტყელი, განივკვეთში ბრტყელი ყურის თავი პირზეა მიძერწილი, ძირი მუცელზე, ყურს თავზე აწის შევრილი, ჩამოსასხმელი ტუჩი ოდნავ ჩამოტეხილია. სიმაღლე ჭურჭლის 12,9, დმ პირის — 4,7, მუცლის — 10,6; ძირის — 7,0; კეცის სისქე — 0,3 სმ.

20 (01/9) მინის ჭურჭლის ნატეხები, თეთრი ფერის.

21 (01/9 — 24; სურ. 628). ანჯამა რკინისა, ერთი ბოლო ნაკლულია. სიგრძე — 5,6 სმ.

22 (01/9 — 20; სურ. 629)). მონეტა ვერცხლის, დენარი, ავგუსტუსის (ძვ. წ. 27. ახ. წ. 44): მოჭრილი ძვ. წ. 2 და ახ. წ. 4 წწ. გალიის ზარაფხანაში. შუბლზე დაფნის გვირგვინიანი ავგუსტუსის თავის გამოსახულება, მიმართული მარჯვნივ. ირგვლივ წრიული წარწერა: CAESAR AVCV[S]TVS OIVI F PATER PATR IA [E].

ზურგზე გაიუსისა და ლუციუსის გამოსახულება, პირდაპირ, რომლებიც თითო ხელით ურთიერთს შორის მოქცეულ ფარებს ეყრდნობიან, ფარებს უკან ორი შუბია; შუბებს შორის მაღლა სიმპულუმის და ლიტუხის. გარშემო — CLCAE SARES (ხაზს ქვემოთ), AVCVSTI E COS OESIC PRIHC IVVEHT წონა 3,5 გრ. ზომა — 18×19 სმ.

23 (01/9 — 22). მონეტა ვერცხლის დენარი, ავგუსტუსის (ძვ. წ. 27, ახ. წ. 44) მოჭრილი ძვ. წ. 2 და ახ. წ. 4 წწ. გალიის ზარაფხანაში. AV — შუბლზე დაფნისგვირგვინიანი ავგუსტუსის თავის გამოსახულება მიმართული მარჯვნივ. ირგვლივ წრიული წარწერა: CAESAR AVCV[S]TVS OIVI F PATER PATR IA [E] RV—ზურგზე გაიუსისა და ლუციუსის გამოსახულება. პირდაპირ, რომლებიც თითო ხელით ურთიერთშორის მოქცეულ ფარებს ეყრდნობიან, ფარებს უკან ორი შუბია, გარშემო—CLCAES ARES (ხაზს ქვემოთ), AVCVST F COS PESLC PRIHC LVEHT წონა—3,44 გრ., ზომა 17×19 სმ.

24 (01/9 — 21; სურ. 627) მძივები: 1) მინის, მწვანე ფერის, გამჭვირვალე, ყვითლად პატინირებული, ცილინდრული ფორმის 6 ც.

2) მინის, მწვანე ფერის, გამჭვირვალე, ბიპირამიდული, ოთხწახნაგა.

სამარხი 4  
(1977, 3,24; II,  
4; 2,27 — 2,81;  
2,00×1,67×0,60,  
1,05×1,24×0,50 მ;  
NNO — SSW)

ქვასამარხია, (სურ. 630 — 631) თიხნარ-ქვადორღი-  
ან ნიადაგში ჩაქრილ ორმოში გაუმართავთ წაგრძელე-  
ბული ოთხკუთხედის ფორმის ქვაყუთი. იატაკად ქვიშა-  
ქვის 6 ფილა იყო გამოყენებული. კედლები ქვატეხი-  
ლით ამოუშენებიათ მშრალად, გამოიყოფოდა წყობის  
3—4 რიგი. სახურავი ორფერდა ყოფილა მცირე დაქა-  
ნებებით და შედგებოდა სამი უხეშად დამუშავებული  
ქვიშაქვის ფილისაგან. აღმოსავლეთი კალთა ერთი მთლი-

ანი ქვით იყო გადახურული, რომელიც შემდგომ ჩატეხილა —  $1,43 \times 0,70 \times 0,04$ , დასავლეთ კალთაზე ორი ფილა იყო გადახურული 1)  $0,63 \times 0,61 \times 0,04$ ; 2)  $0,80 \times 0,71 \times 0,04$  მ. სამარხი ინდივიდუალურია, მიცვალებული დაუკრძალავთ კილურებმოკეცილ მდგომარეობაში მარჯვენა გვერდზე, პირისახით აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

25 (01/9 — 55; სურ. 632 — 633). ხელადა კარგად განლექილი თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი, თხელკეციანი, პირი მრგვალი გადაშლილი, ყელი დაბალი, ოდნავ ასიმეტრიული, მუცელი სფერული, ფართო ბრტყელძირიანი; განივკვეთში ბრტყელი ყური მხარ-მუცელზეა მიძერწილი. მუცელს ორსამ რიგად შემოუყვება ერთმანეთისაგან არათანაბრად დაშორებული შიგნიდან ამოყვანილი კოპები. პირი ორ ადგილას ჩამოტეხილი აქვს, სიმაღლე ჭურჭლის — 10,5; დმ პირის — 6,5, მუცლის — 12,5; ძირის — 8,7; კეცის სისქე — 0,5 სმ.

26 (01/9 — 56; სურ. 634—635) ხელადა თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, თხელკეციანი, პირი მრგვალი გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, განივკვეთში ბრტყელი ყური მიძერწილია მხარმუცელზე. მუცელს გარშემო შემოუყვება ქვემოდან ამოყვანილი ერთმანეთისაგან ასიმეტრიულად დაშორებული კოპები. აღდგენილია. სიმაღლე ჭურჭლის — 10,2, დმ პირის — 6,5, მუცლის — 11; ძირის — 8; კეცის სისქე — 0,4 სმ.

27 (01/9 — 57). მინის სანელსაცხებლის ნატეხები. რძისფერი.

28 (01/9 — 58; სურ. 645) ბეჭედი ბრინჯაოსი, დაბალი, ოვალური ფორმის, ბუდე შვიდროდ აკრავს გარს თვალს, რომელშიც ღრმად ზის. ბუდე პირდაპირ გადადის რკალში. შიგნიდან დაბრტყელებული ვიწრო რკალი მხრებისაკენ ფართოვდება. ბეჭედი მთლიანია. დაქანებულ თვალბუდეში ზის გამჭვირვალე მწვანე მინის ინტალიო. იგი კარგადაა დაცული, მხოლოდ ერთ ადგილას მცირედ არის ამომტვრეული მინა. ინტალიო ოვალურია. ამობურცულ ზედაპირზე გამოსახულია ღვთაება ასკლეპიოსი, ძლიერი აღნაგობის, პროფილში მარცხნივ თავმობრუნებული დგას. სქემატურად შესრულებულ სახეზე წვერი შეინიშნება. წელს ქვემოთ კოქებადგე გრძელი სამოსი აქვს შემოხვეული, რომლის ერთი ბოლო მარჯვენა ხელზე აქვს გადაადგებული და ძირამდე დასთრევს; მარ-

ცხენა დაშვებულ ხელში გველშემოხვეული კვერთხი უპყრია. მის ფერხთით მოკლე ხაზით ნიადაგის ზოლია მინიშნებული. გამოსახულება დაბალი რელიეფით არის შესრულებული და მთლიანად ფარავს ქვის ზედაპირს. ბეჭდის სიმაღლე, — 2, სიგრძე — 2,5 სმ. ინტალიოს სიგრძე — 3, სიგანე — 1 მმ.

29 (01/9 — 59, 640 — 641). საცილი ბრინჯაოსი 2 ცალი, მრგვალყუნწიანი, დაფანჯრული, ბიკონუსური ფორმის სიმაღლე — 2,5 სმ.

80 (01/9 — 61) საკინძი ბრინჯაოსი, თავნაკლული, გატეხილი ოთხ ნაწილად. სიგრძე — 5,6 სმ.

31 (01/9 — 62; სურ. 642). რგოლი ბრინჯაოსი, განიკვეთში ოვალური, დმ — 2,2 სმ.

82 (01/9 — 63) მონეტა ვერცხლის — დენარი ავგუსტუსის (ძვ. წ. 27, ახ. წ. 14 წ.) მოპრილია ძვ. წ. 2 — ახ. წ. 4 წწ. გალიის ზარაფხანაში. — შუბლზე დაფნის გვირგვინიანი ავგუსტუსის თავის გამოსახულებაა, მიმართული მარჯვნივ. გარშემო წერია [C] AESAR  $\Sigma$ ΛΛCVSTVS PLVL PITER PATRIAE ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი. — ზურგზე გაიუს და ლუციუს ცეზარები დგანან პირდაპირ, თითო ხელით ეყრდნობიან ურთიერთშორის მოქცეულ ფარებს. ფარებს უკან ორი შუბია. გარშემო: CICAЕ SNRSHVCVSTL F COS DESLCPRIHC LVVEHT.

83 (01/ — 64) მონეტა ვერცხლის დენარი, ავგუსტუსის (ძვ. წ. 27, ახ. წ. 14 წ.) მოპრილი ძვ. წ. 2 ახ. წ. 4 წ. გალიის ზარაფხანაში. შუბლზე დაფნის-გვირგვინიანი თავის გამოსახულება მარჯვნივ. გარშემო წარწერა: CNE SNR NVCVST [OCVL] EPNTR PATRIAE წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი — ზურგზე გაიუს და ლუციუს ცეზარები დგანან პირდაპირ, თითო ხელით ეყრდნობიან ურთიერთშორის მოქცეულ ფარებს. ფარებს უკან ორი შუბია. გარშემო: CL CAESNRE... [NVCVSLE COS DESLC] PHHC LVVEHT.

84 (01/9 — 65; სურ. 644). მძივები: 1) გრანატ-პიროპისა, 14-წახნაგა; სხვადასხვა ზომის, ორმხრივნახვრეტი 5 ც; 2) სარდიონისა, ბურთულა, ორმხრივნახვრეტი, მოვარდისფრო, ამღვრეული. ზედაპირაქერცილი 1 ც. 3) სარდიონისა, კასრისებრი, ორმხრივ ცილინდრულნახვრეტიანი, მცირე ზომის — 1 ც. 4) სხვადასხვა ჯიშის სარდიონის შეზრდის შედეგად მიღებული, სამფერი, სიგრძივ ზოლებით შემკული. კასრისებრი, ორმხრივნახვრეტი — 1 ც.; 5) აქატისა, თითისტარისებრი, ყავისფერი, სიგრძივ თეთრი ზოლებით შემკული, ორმხრივნახვრეტი — 1 ც.; 6) აქატისა, ოდნავ დაბრტყელებული, ცილინდრული ფორმის, მოთეთრო, ყავისფერზოლიანი, ორმხრივნახვრეტი — 1 ც.; 7) ჰემატიტისა, წაკვეთილკონუსური ფორმის, მუქი ყავისფერი, ცალმხრივ კრატერისებურნახვრეტიანი, სხვადასხვა ზომის — 2 ც., 8) ლურჯი მინისა, ოდნავ გამჟვირვალე, ერთი თეთრი ტალღისებური სარტყლით შემკული, ბურთულა, კრატერისებრნახვრეტიანი — 1 ც., 9) ლურჯი ოდნავ გამჟვირვალე მინისა, ექვს-

წახნაგა პრიზმისებრი, ფართო, ცილინდრულნახვრეტანი—1 ც., 10) მომწვანო-მოცისფერო, ოდნავამქვირვალე მინისა, თითისტარისებრი, ფართო, ცილინდრულნახვრეტანი, განივად თეთრი, ტალღისებური ზოლებით შემკული — 1 ც., 11) მუქი ფერის, გაუმქვირვალე, ყვითელი პატინით დაფარული, ღრმად გვერდებდაღარული მძივი, მინისა, ფართო, ცილინდრულნახვრეტანი—1 ც., 12) ლურჯი მინის ოდნავამქვირვალე, 14-წახნაგა, მცირე ზომის, ფართო, ცილინდრულნახვრეტანი — 2 ც., 13) თეთრი გაუმქვირვალე მინის, ვარდულისებრი, გვერდებდაღარული, მცირე ზომის 5 — ც.

35 (01/9 — 66, სურ. 646). რკინის ბეჭდის მხარისა და თვალბუდის ნატეხი.

36 (01/9 — 67; სურ. 638—639). საყურე ოქროსი, მრგვალი რკალით, განივკვეთში მრგვალი, გახსნილი ბოლოებით, ერთ ბოლოზე მირჩილულია ცვარას ტექნიკით შესრულებული ხუთმარცვლიანი ყურძნის მტევენის იმიტაცია. ღეროს დმ — 1,2, სიმაღლე — 17, სიგანე — 14 მმ, წონა — 1,290 მგ.

37 (01/9 — 68; სურ. 638 — 639). საყურე ოქროსი, მრგვალი რკალით, განივკვეთში მრგვალი გახსნილი ბოლოებით, ერთ ბოლოზე მირჩილულია ცვარას ტექნიკით შესრულებული ხუთმარცვლიანი ყურძნის მტევენის იმიტაცია. ღეროს დმ — 1,2; სიმაღლე — 17,5, სიგანე — 13,5 მმ, წონა — 1,290 მგ.

38 (01/9 — 69) ფირფიტა ოქროსი, ყუნწით დაქყლებილი. წონა — 0,210 გრ.

39 (01/9 — 60; სურ. 636 — 637). მძივი მინის, წყლისფერი, კვირისტავის ფორმის, მოზრდილი. დმ — 2,5; ცალმხრივნახვრეტი.

40 (01/9 — 70; სურ. 643) ანჯამა (?) რკინის, ბოლო მოტეხილი აქეს. სიგრძე — 5,9 სმ.

კრამიტსამარხია. (სურ. 647 — 648).

სამარხი 5  
(1977. 4,28; III, 4;  
1,55 — 0,88; 1,25 ×  
0,78 × 0,48 მ;  
SSW — NNO)

თიხნარ-ქვალორლიან ნიადაგში ჩაქრილ ორმოში გაშვებული წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სამარხი ნაგებობა-ყუთი. იატაკად გამოუყენებიათ 4 მთელი და 2 ნაკლები სოლენი აკეცილი გვერდებით ქვემოთ მიმართული. გრძივი კედლები შეუდგენიათ სამსამი, ხოლო განივი ორ-ორი ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტით. კრამიტები ვიწრო და განიერი თავების მონაცვლეობითაა ჩადგმული შვეულად, აკეცილი გვერდებით გარეთ მიმართული. სამარხის ორფერდა სახურავის თითოეული კალთა შედგებოდა სამ-სამი მთელი და თითო სიგრძეზე გატეხილი ნაკლები სოლენისაგან, აკეცილი გვერდებით ზემოთ მიმართული. სახურავის კბი შეუდგენიათ 3 კალიბტერით, ვიწრო თავებით N-კენ. სამარხის O გრძივ და W განივ კედელთან იდო ორი მოზრდილი ქვიშაქვა, ეტყობა შესა-

მაგრებლად. სამარხის ასაგებად ორივე სახის 25 კრამიტია გამოყენებული. აქედან სახურავისათვის—10.

სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებული დაუკრძალავთ მარცხენა გვერდზე კიდურებმოკეცილ მღვდმარობაში, პირისახით დასავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

41 (ი/9 — 95; სურ. 649—650) ხელადა კარგად განლექილი თინისა, მოწითალოდ გამოძწვარი, პირი მრგვალი და გადაშლილი, ყელი ოდნავ შემადლებული. რომელზედაც შემოუყვება რელიეფური სარტყელი, მხრები დაქანებული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, განიკვეთში ოვალური ყურისთავე ყელზე, სარტყელთან, არის მიფერწილი, ხოლო ძირი მუცელზე. ჭურჭლის პირის ერთი ნაწილი ჩამოტეხილია. სიმაღლე ჭურჭლისა — 15,7, დმ პირის — 7,4, მუცლის — 15,0, ძირის — 10; კეცის სისქე — 0,4 სმ.

42 (01/9 — 96; სურ. 651 — 652) სანელსაცხებლე მინისა, გამკვირვალე, უყერო, ირიზებულია. პირი და ყელის ნაწილი ჩამოტეხილი აქვს; ყელმაღალე, ტანი სფერული, ძირი ოდნავ შეზნექილი, სიმაღლე ჭურჭლის — 8,3; ყელის — 4.7; დმ ყელის — 1.3 მუცლის — 4,4, ძირის — 3,1 სმ.

43 (01/9 — 97; სურ. 655—656). მძივი მინის, რძისფერი, მრგვალ-ბრტყელი, დიდი ზომის, ფართოცილინდრულნაჩრეტიანი (1 ც.) სიმაღლე — 1.2; დმ—1,8, ნახვრეტის — 0,6 სმ.

44 (01/9 — 98; სურ. 658). მონეტა ვერცხლის პართული, არტაბან II-ის (ახ. წ. 10. 38 წწ.) ძველი ატრიბუციით გოტარზე ძვ. წ. 40 (41.51 წწ). — შუბლზე მარცხნივ მიმართული არტაბან II-ის წვერულვაშიანი ბიუსტი (თმები და წვერი წარმოდგენილია პარალელური ხაზებით) დიადემით, რომელიც თავს უკანაა გამონასკული და მისი სამი ბოლო დაბლა ეშვება. გამოსახულებას სამმაგი ყელსაბამი ამშვენებს: მოჩანს სამოსის ორნამენტული საყელო. გამოსახულებას თავს ზემოთ დაუყვება წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი. ზურგზე მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომარე არშაყის გამოსახულება მშვილდისრით ხელში. მშვილდს ქვემოთ მონოგრამა, გარშემო დამახინჯებული ზედწერილი: ΒΑΣΙΛΣ ΛΕ ΙΒΑΣΙΛΕΑΣ; ΑΡ ΔΙΚΛΙΣV; ΠΙΦΛΙ:P. [ΦΙΛΣΑΔΗΗ].

45 (01/9 — 99; სურ. 653 — 654). სამაჯური ბრინჯაოსი, მრგვალი, თავებოვაზის მტევანივითაა გადაგრეხილი. ღერო განიკვეთში მრგვალი, ღეროზე პატარა რგოლია აგებული. დმ. სამაჯურის — 5,8 სმ.

46 (01/9 — 100;) ბეჭედი რკინის, ფარაქიანი, დაქანგული, სახეზეა თვალბუდე და მხრის ნაწილი. თვალი მწვანე მინის ოვალური, ირიზებული.

47 (01/9 — 101; სურ. 657) ბეჭედი რკინის, დაქანგული (თვალი ამოვარდნილია) დამტვრეული. სახეზეა ოთხი ნაწილი.

სამარხი 8  
(1977, 04,28; III, I  
კვ.; 2, — 1,60;  
1,82×1,20×0,54;  
1,82×0,85×0,50;  
1,70×1,15 მ.  
NNO — SSW)

კრამიტსამარხია (სურ. 660 — 674). თიხნარ ქვა-  
ლორღიან ნიადაგში ჩაქრილ ორმოში გაუმართავთ წვარ-  
ძელბეჯლი ოთხკუთხედის ფორმის სამარხი ნაგებობა-  
ყუთი, რომელსაც იატაკის მაგივრობას უწევდა წინა წარ-  
მომზადებული გრუნტი. კედლები შეუღდენიათ ვერტი-  
კალურად ჩადგმული გვერდბაკეცილი კრამიტებით.  
სამ-სამი მთელი და თითო სიგრძეზე გატეხილი ნაკლუ-  
ლი კრამიტი გრძივ კედლებში იყო, ხოლო ჩრდილოე-  
თის განივ კედელში ორი მთელი და სამხრეთის განივში

სამი სიგრძეზე გატეხილი ნაკლული კრამიტი ჩაუდგამთ. სამარხის ორფერდა  
სახურავის თითოეული კალთა შედგებოდა ოთხ-ოთხი, აკეცილი გვერდებით ზე-  
მთ მიმართული სოლენისაგან. მათი შეერთების ადგილები დაუფარავთ ლარი-  
ანი ან გვერდბაკეცილი კრამიტით. სახურავის კეხი შეუღდენიათ ოთხი სოლე-  
ნით, ჩანდა ორი. ისინი სამარხის თავსა და ბოლოში იდო ფართო თავებით ცენ-  
ტრისაკენ. შუაში გადებული კეხის ორი კრამიტი სამარხში იყო ჩაქცეული და  
მიწით დაფარული. სამარხის ასაგებად სულ გამოყენებული იყო ორივე სახის  
35 კრამიტი. აქედან სახურავისათვის — 22.

სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდ-  
ზე კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, პირისახით დასავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

48 (01 — 25 სურ; 611, 675). ხელადა თიხისა. ჩალისფრად გამომწვარი,  
თხელკეციანი, კარგად განლექილი, პირი მრგვალი, ოდნავ გადაშლილი, ყელი  
დაბალი, ტანი სფერული ოთხი ღრმა ჩანახნექით, ძირი ფართო და ბრტყელი,  
განივკვეთში ბრტყელი ყური მიძერწილია მხარამუტელზე. მხარი შემკულია და-  
ნაძერწი კოპებით (7 ც.); მხარს; კოპებს ქვემოთ, შემოუყვება ჩხირით დატანი-  
ლი ტალღისებური სარტყელი, ყური ჩალარულია ასიმეტრიულად მთელს სიგრ-  
ძეზე. ღარს ზემოდან აზის სამი დანაძერწი კოპი. ყურის ორივე მხარე შემკულია  
ნაჭდეების თითო რიგით. სიმაღლე ჭურჭლის — 12,4, მუცლის — 10,8; დმ. პირის  
— 5,6, ყელის — 3,3, მუცლის — 12,8. ძირის — 7,7 სმ.

49 (01/9 — 49; სურ. 666, 676). სანელსაცხებლე მინისა, გამჭირვალე, და-  
ჰკრავს ოდნავ მომწვანო ფერი, ირიზებულია, პირი მრგვალი, ბაკო არათანა-  
ბრად გადმოკეცილი, ყელი მაღალი, ტანი სფერული, ძირი ოდნავ შეზნექილი,  
სიმაღლე ჭურჭლის — 7,3, ყელის — 3,8. მუცლის — 3,4; დმ. პირის — 1,7;  
ყელის — 1,8, მუცლის — 4,5, ძირის, — 3,5 სმ.

50 (01/9 — 30; სურ. 691). დანა რკინისა, ძლიერ დაჯანგული, სწორპირი-  
ანი; წვარძელბეული სამკუთხედის ფორმის, წვერმოტეხილი, სატარე ნაწილზე  
შემორჩენილი აქვს ჩხის ნაწილი. სიგრძე — 10,8 სატარე ნაწილის — 3,9 სმ.

51 (01/9 — 29) ისრისპირი რკინისა, ძლიერ დაჯანგული, სამფრთიანი, შე-  
მორჩენილი აქვს ყუნწის მცირე ნაწილი. სიგრძე — 5,4 სმ.

52 (01/ — 51) ჭაჭვი რკინისა, ძლიერ დაქანებული, ერთ მთლიან უსახო მასალ ქცეული.

53 (01/9 — 665, 687) სარკე ბრინჯაოსი დისკოსებური, გატეხილია, სარკისებურად ნაპრაილები, ძლიერ პატინირებულია. შემორჩენილი აქვს ტყავის ბუდის ნაშთი. დმ. — 8,8; სისქე — 0,1 სმ.

54 (01/9 — 42) გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთის ფრაგმენტი, ძლიერ დაქანებული, რვიანის ფორმის.

55 (01/9 — 39; სურ. 679). რგოლი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი, არათანაბარი სისქისა, რგოლის დმ — 2,8 სმ.

56 (01/9 — 37; სურ. 683). რგოლი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი, არათანაბარი სისქისა, რგოლის დმ — 2,3 სმ.

57 (01/9 — 46; სურ. 672, 681). საკიდი ბრინჯაოსი, ირმის სკულპტურული გამოსახულებით; ზურგზე განივკვეთში მრგვალი ყუნწით, სიგრძე 3,2; სიმაღლე რქებიანად — 1,6 სმ.

58 (01/9 — 5; სურ. 688). ზარაკი ბრინჯაოსი, კონუსის ფორმის, ფართო მრგვალნახვრეტიანი და მხრებდაკუთხული ყუნწით, რკინის ენით, ენა დაქანებული და მოტეხილია. სიმაღლე — 3,1, დმ — 2,6 სმ.

59 (01/9 — 38) ბურთულა ლითონის. ასიმეტრიული ფორმის, დაწახნაგებული. დმ. უდიდესი — 1,2, უმცირესი — 0,9 სმ.

60 (01/9 — 52) ფერუმაჩილის სასრესი ნიყარა, ნაკლული. ზომები: 6,2 X 6,3 სმ.

61 (01/9 — 26; სურ. 662, 689) მძივები: 1) სარდიონის წითელი ფერის, მანდარინისებრი, ცილინდრულნახვრეტიანი (1 ც.), დმ — 0,9 სმ. 2) ქალცედონის, ყვითელი ფერის, ამღვრეული, შეინდისნაყოფისებრი, ოდნავ დაბრტყელებული, ცალმხრივნახვრეტი, (1 ც.). სიგრძე — 1,95; დმ — 1,2 სმ. 3) ჰემატიტის, წაკვეთილ კონუსური ფორმის, მუქი ყავისფერი, ცალმხრივ კარტერი-სებურნახვრეტიანი (1 ც.). სიმაღლე — 1,95, დმ. პირის — 0,5, ძირის — 1 სმ. 4) გიშრის ბიკონუსური, ცილინდრულნახვრეტიანი, დაშლილია (1 ც.). 5) გიშრის 14-წახნაგა, სხვადასხვა ზომის (17 ც.), ზომები უდიდესი—0,4 X 0,35; 6) გიშრის; ცილინდრული (7 ც), სიმაღლე უდიდესის — 0,7, დმ 0,25 სმ.; 7) მინის, ოდნავ გამკვირვალე ლურჯი ფერის 6-წახნაგა პრიზმული, ცილინდრულნახვრეტ-იანი, სიმაღლე — 1,7, დმ — 1 სმ. 8) მინის, ოდნავ გამკვირვალე ლურჯი ფერის, მუთაქისებრი, ირიბად გვერდებდაღარული, ფართო ცილინდრულნახვრეტ-იანი. სიმაღლე — 1,35, დმ — 1,3 სმ. 9) მინის, მომწვანო-მოცისფრო გამკვირ-ვალე, ღრმად გვერდებდაღარული, ფართოცილინდრულნახვრეტიანი (4 ც.). სი-მაღლე — 1,1; 0,05; 1,3. დმ — 1,7; 1,5, 1,8; 1,85 სმ. 10) პასტის, მილისებრი, თეთრი, მწვანე და ყვითელი ირიბი ზოლებით შემკული, ინკრუსტირებული ცილინდრულნახვრეტიანი, სიგრძე. — 1,7, დმ. — 0,6 სმ. 11) მინის თეთრი გამ-კვირვალე, მუთაქისებრი, სხვადასხვა ზომის, ყვითლად პატინირებული (17 ც.).



12) ბრინჯაოსი ორმაგი კუწუბებით შემკული. კუწუბეას რაოდენობა — 13 ცალი. აქვს ფართო არასიმეტრიული ნახვრეტი (1 ც.). სიმაღლე — 1,1, დმ — 1,7. ნახვრეტის — 0,5 სმ. 13) ბრინჯაოსი კვადრატული, თითოეულ გვერდზე წრის გარშემო 6 — 7 კუნწია განლაგებული. გვერდებზე გამჭოლი ნახვრეტებით (1 ც.). 14) პასტის, მაღალცილინდრული, შავად პატინირებული, ცილინდრულნახვრეტიანი (1 ც.). სიმაღლე — 1; დმ — 0,6, ნახვრეტის დმ — 0,2 სმ. 15) მძივსაკიდი, მუქი ლურჯი, გამჭვირვალე მინისა, ყუნწი მასიური, შეკრულა არის თეთრი ირიბი ძაფებით, ცალმხრივკრატერისებურნახვრეტიანი (1 ც.). სიმაღლე — 1,1 სმ. 16) პასტის, მწვანე ბურთულა, ცალმხრივნახვრეტიანი (1 ც.). დმ — 0,6; ნახვრეტის დმ — 0,3 სმ. 17) პასტის კასრისებრი, ცალმხრივნახვრეტიანი გატეხილი (1 ც.). სიმაღლე — 0,7; დმ — 0,6 სმ. 18) მინისა, მწვანე და ყვითელი ირიბი ხაზებით შემკული, გაუმჭვირვალე, ფართო ცილინდრულნახვრეტიანი (1 ც.). დმ — 0,9, ნახვრეტის დმ — 0,25 სმ.

62 (01/9 — 27; სურ. 668, 694). მძივსაკიდი ეგვიპტური ფაიანსისა, მომწვანო-მოცისფრო, სტილიზებული. ამფორისკისებური, მასიური ფართო ცილინდრულნახვრეტიანი, ყუნწი ტანისაგან ფართო ნაჭდევითაა გამოყოფილი. ტანი სიგრძედ დაღარულია (2 ც.). მოზრდილის სიმაღლე — 3, მეორის — 2,7 სმ.

63 (01/9 — 44; სურ. 670, 793). მძივსაკიდი (?) ავგაროზი ნიჟარის, გახვრეტილი, სიმაღლე — 1,6 სმ.

64 (01/9 — 45; სურ. 669, 690) მძივსაკიდი მოყვითალო მინის, დაბრტყელებული სამკუთხედის ფორმის, ცალ კუთხეში ნახვრეტისაკენ ოდნავ შესქელებული, შუაში დაუყვება ცისფერი და თეთრი ზოლები. სიმაღლე — 1,9 სმ.

65 (01/9 — 28) ავგაროზი ძვლის; უფორმო, შემორჩენილი აქვს ნახვრეტის ნაწილი. სიგრძე — 2,5 სმ.

66 (01/9 — 54; სურ. 673, 692) ავგაროზი ძვლის, შუაში აქვს ნახვრეტი, დამზადებულია თითის ფალანგისაგან. სიგრძე — 3,1 სმ.

67 (01/9 — 40; სურ. 671, 682) მძივსაკიდი, ცისფერი სირიული პასტის, გამბეშოს გამოსახულებით.

68 (01/9 — 35) მონეტა ვერცხლის, ავგუსტუსის, რომაული დენარი, მოკრილი ძვ. წ. 2—ახ. წ. 5 წწ. გალიის ზარაფხანაში. — შუბლი: დაფნის გვირგვინიანი ავგუსტუსის თავის გამოსახულება, მიმართულა მარჯენივ, გარშემო წარწერა გადასულია, ოდნავ ირკვევა... DIVI F  
ზურგი გაიუს დალტციუსს ცეზარები დგანან პირდაპირ, თითო ხელით ეყრდნობიან ფარებს; მეორე ხელში შუბლები უჭირავთ, გარშემო: CHESARE .

DESIA PRINC IVVE HT.

69 (01/9 — 43) მონეტა სპილენძის, გახვრეტილი, გამოსახულებები გადასულია, მონეტა ვერ ისაზღვრება.

70 (01/9 — 31) ბექედი რკინისა, ძალზე დაზიანებული. 1/2 ნაწილი. მრგვალი რკალი მხრებისაკენ ფართოვდება და პირდაპირ თვალურ ფარაკში გადადის, თვალი ამოვარდნილია.

71 (01/9 — 33) ბექედი, რკინისა, ოთხი ფრაგმენტი, დაჟანგული და დეფორმირებული, თვალი დაკარგულია, ბექედის შემორჩენილ ფრაგმენტიდან ჩანს, რომ თვალი შიგ რკალში ამოჭრილ თვალბუდეში მჯდარა. მხრებთან შესქელებული რკალი ქვემოთკენ თანდათანობით ვიწროვდება. თვალბუდის სიგრძე — 1, სიგანე — 0,8 სმ.

72 (01/9—34; სურ. 667, 687) ბექედი რკინის, თვალბუდეში ზის ინტალიო მუქი ყავისფერი, ნახევრად გამჟვერვალე სარდიონის. ინტალიო თვალური ფორმისაა, პირი ოდნავ ამობურცული, რომელზედაც ამოკვეთილია ორსტრიქონიანი, ასომთავრულით შესრულებული წარწერა „αυρια ααλη“ „—მშვენიერი, დიდებული ქალბატონი, წარწერა ასიმეტრიული ხელწერითაა შესრულებული და მთლიანად ფარავს ქვას. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. შემორჩენილი დეფორმირებული და დამტვრეული რკალის მიხედვით ჩანს, რომ ბუდე შიგ რკალში ყოფილა ამოკვეთილი, ინტალიო მთლიანია, დაუზიანებელი, შემორჩენილია თვალბუდის ორი ნატეხი და რკალის ერთი ნაწილი. ინტალიოს სიგრძე — 1,1; სიგანე — 0,9 სმ.

73 (01/9 — 32; სურ. 663, 684) ბექედი ქალცედონის, რძისფერი, სამწახნაგოვანი რკალი თვალური ფორმის ფარაკში გადადის, ქვემოთ ვიწრო რკალი მხრებთან შედარებით ფართოვდება. რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან მომრგვალებული. სიმაღლე — 1,8, სიგანე — 2 სმ.

74 (01/9 — 36; სურ. 663, 685) ბექედი ქალცედონის, რძისფერი, სამწახნაგოვანი რკალი თვალური-ფორმის ფარაკში გადადის, ქვემოთ ვიწრო რკალი მხრებთან შედარებით განივრდება. რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან მომრგვალებული, სიმაღლე — 1,5, სიგანე — 1,8 სმ.

75 (01/9 — 53; სურ. 680). რგოლი ვერცხლის, განივკვეთში მრგვალი, მცირე ზომის. დმ. — 1,2 სმ.

76 (01/9 — 47; სურ. 664. 677) საყურე ოქროსი, სამწილადი, ჩამოსაკიდ ნაწილს წარმოადგენს ორგან გაღუნული მავთული, რომელიც შუაში და ბრტყელებულია და მიჩილილია საყურის მეორე ნაწილთან (ზურგზე); საყურის მეორე ნაწილი ბრტყელი თვალური ფორმის ბუდეა, რომელშიც ჩასმულა ამობურცული ძოწის თვალი, ბუდეს ირგვლივ მოჩილილი აქვს გრებილის არშია. მესამე ნაწილი წარმოადგენს პირველი ნაწილის ყუნწში გაყრილ ოქროს მავთულს, რომელიც თავში სამჯერ ეხვევა თავისავე ღერაქს. ღეროს ბოლოზე ჩამოკიდებულია ცვარას ტექნიკით შესრულებული ორმარცვლოვანი ყუნწის იმიტაცია. წონა — 1,520 გრ.

77 (01/9 — 48; სურ. 664. 678). საყურე ოქროსი, ზემოაღწერილის ანალოგიურია; წონა — 1,390 გრ.

კრამიტსამარხი. (სურ. 695) ბავშვის სამარხი წარ-

**სამარხი 7** მოადგენდა მომცრო ზომის წაგრძელებულ ოთხკუთხე-  
(1977, 5, 4; III, 2; დის ფორმის კრამიტყუთს, რომელიც გაუმართავთ თიხ-  
1,90—1,86; 0,52× ნარ-ქვალორლიან ნიადაგში. იატაკად გამოუყენებიათ  
0,48; 0,49× 0,34 მ ერთი ნაკლული სოლენი. აკეცილი გვერდებით ზემოთ  
W — O) მიმართული, ჩრდილოეთის გრძივ კედლად სოლენის ერ-

თი ნატეხი იყო განივად ჩადგმული, რომელსაც თავზე  
ედო სიგრძეზე გადატეხილი კალიბტერი. სამხრეთის გრძივ კედელში ჩანდა ერთ-  
მანეთზე დადებული ორი კალიბტერი და ერთი სოლენის ნატეხი. განივ კედლე-  
ბად ნაკლული კალიბტერები ჩაუდგამთ W მხარეს ბრტყელის, ხოლო O მხა-  
რეს ღარიანისა. კედლის კრამიტები დაძრულია ადგილიდან და თავის დროზე,  
როგორც ჩანს, ურთიერთობაში ქმნიდნენ სახურავს. სამარხში მიცვალებულია  
ძვლები არ აღმოჩენილა თუ არ ჩაეთვლით ჩვილი ბავშვის ქვედა კიდურების  
ჩამდენივით ფაღანგს.

სამარხში აღმოჩნდა:

78 (01/9 — 71; სურ. 696). ჭურჭელი კარგად განლექილი თიხისა, მოწი-  
თალოდ გამოშვარი, მოზრდილი ზომის, უყურო, პირი განიერი და გადაშლი-  
ლი, დაბალი ყელი გადადის ოდნავ დაქანებულ მხრებში, მუცელი მრგვალი, ძი-  
რი ბრტყელი, ჭურჭლის სიმაღლე 13,0, დმ. პირის — 7,3, მუცლის — 12,5  
ძირის — 7,6 სმ.

79 (01/9 — 72; სურ. 697) სანელსაცხებლემ მინის, ლურჯი ფერის, პირა  
ფართო და გადაშლილი, ყელი მაღალი და ცილინდრული, მუცელი დაწახნაგე-  
ბული (18 წახნაგი), ოდნავ გამოყვანილი ოთხკუთხედის ფორმის ქუსლით, ძი-  
რი ბრტყელი, ყელზე და მხარზე ორივე მხრიდან მიძერწილი აქვს გედის ყე-  
ლის მსგავსი რძისფერი მინის ორი მოხდენილი ყური. მუცლის დიდ წახნაგებ-  
ზე ორივე მხრიდან წრიული ორნამენტებია. პირი ერთ მხარეს ჩამოტეხილი აქვს.  
სიმაღლე ჭურჭლის — 6,6, ყელის — 2,5, დმ. პირის — 2,7. ძირის — 1,1×  
1,5 სმ.

80 (01/9 — 73; სურ. 698) მძივები პასტის, თეთრი ფერის, ცილინდრუ-  
ლი ფორმის, სხვადასხვა ზომის (40 ც.).

კრამიტსამარხია. სურ. 699—702). თიხნარ-ქვალორ-

**სამარხი 8** ლიან ნიადაგში ჩაქრილ ორმოში გაუმართავთ წაგრძე-  
(1977, 5, 18, III, 4; ლეხული ოთხკუთხედის ფორმის სამარხი ნაგებობა-ყუ-  
1,85 — 0,66; 1,72× თი. იატაკად გამოუყენებიათ ოთხი მთელი და ორი ნაკ-  
0,08; 1,22×0,76× ლული სოლენი. აკეცილი გვერდებით ქვემოთ მიმართუ-  
0,45 მ. NNO—SSW) ლი. გრძივი კედლები შეუდგენიათ სამ-სამი, ხოლო გა-  
ნივი ორ-ორი ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტით.

კრამიტები ვიწრო და განიერი თავების მონაცვლეობით იყო ჩადგმული შეეუ-  
ლად. აკეცილი გვერდებით გარეთ მიმართული. სამარხის ორფერდა სახურავის

თითოეული კალთა შედგებოდა ოთხ-ოთხი აკეცილი გვერდებით ზემოთ მიმართული სოლენისაგან. მათი შეერთების ადგილები, სოლენთშორისები, დაუფარავთ ღარიანი კრამიტებით, ვიწრო თავებით თავხესაკენ. სახურავის კეხი შეუდგენიათ ოთხი კალიბტრით, რომლებიც ვიწრო თავებით სამარხის ცენტრისაკენ იყვნენ მიმართული. სამარხის ასაგებად სულ ორივე სახის 31 კრამიტია გამოყენებული. აქედან სახურავისათვის — 21.

სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, პირისახით დასავლეთისკენ:

სამარხში აღმოჩნდა:

81 (01/9 — 85; სურ. 704) ხელადა კარგად განლექილი თიხისა, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირი მრგვალი და ოდნავ გადაშლილი, დაბალყელიანი, ყელს შემოუყვება წიბო, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი. ბრტყელგანივკვეთიანი ყურის თავი ყელზე, წიბოსთან არის მიძერწილი, ხოლო ძირი მუცელზე. სიმაღლე ჭურჭლის — 15,0; დმ. პირის — 7,8, მუცლის — 15,5; ძირის — 10,2; კეცის სისქე — 0,5 სმ.

82 (01/9 — 86; სურ. 703). ხელადა კარგად განლექილი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, პირი მრგვალი ოდნავ გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, განივკვეთში ბრტყელი ყური მხარ-მუცელზე არის მიძერწილი. მუცელზე დამრეცად დაუყვება შვიდი 5 სმ-ის სიგრძის კანელური. სიმაღლე ჭურჭლისა — 11,8, დმ პირის — 6,5, მუცლის — 12,8, ძირის — 8,0, კეცის სისქე — 0,4 სმ.

83 (01/9 — 87) ბეჭედი ბრინჯაოსი, აქვს წვრილი რკალი, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ოდნავ ამობურცული, რომელიც საგრძნობლად განიერ თვალბუდეში გადადის. ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი, თვალის ზედაპირი და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეშია მოთავსებული, ბეჭედი კარგადაა შენახული. ინტალიო მწვანე მინისა, ოდნავ ამობურცული, ოვალური ფორმის, რომლის ზედაპირზე გამოსახულია ადამიანის თავი პროფილში, მარჯვნივ, გამოსახულება დაბალი რელიეფით არის შემკული. სუფთა ხაზებით, არც თუ ისე მკაფიოდ, მაგრამ მაინც იკითხება ლამაზი, სწორნაკვეთებიანი სახე, ოდნავ ამობურცული ყვრიმალეებით. ინტალიოს სიგრძე — 10, სიგანე — 6 მმ.

84 (01/9 — 88) ბეჭედი რკინისა, დეფორმირებული და დაქანებული. შემორჩენილია რკალის ნაწილი, რომელიც ქვემოთ ვიწროა, მხრებისაკენ თანდათანობით ფართოვდება და პირდაპირ თვალბუდეში გადადის. დაბალი ოვალური ფორმის ბუდე გარს მკიდროდ აკრავს გაუმჭვირვალე სარდონის ინტალიოს, რომლის ოვალურ, ამობურცულ პირზე გამოსახულია დეთაება ტიხეფორტუნა. დეთაება დგას პირდაპირ, ოდნავ გაზნექილი, თავი მარცხნივ, პროფილში აქვს მიბრუნებული, თმა გვირგვინივით აქვს თავს ირგვლივ ჩახვეული. ტანზე გრძელი, ნაოქიანი ქლამიდა აცვია, რომელიც წელის არეში მანტიით არის გადაჭერილი. სამოსის ნაოქები წმინდაა, მოკლე ხაზებით არის აღნიშნული, მარჯვენა.

ხელში თავთავებით სავსე სიუხვის ყანწი უჭირავს, მარცხენა ხელით საჭეზა დაყრდნობილი, მის ფეხთით მოკლე ხაზით ნიადაგის ზოლია მინიშნებული. ინტალიოს სიგრძე — 13, დმ. — 8 მმ.

85 (01/9 — 89) ბეჭედი რკინისა, წარმოდგენილია ოთხი ფრაგმენტის სახით. რკალში ამოჭრილ თვალბუდეში მომწვანო მინის თვალის შემორჩენილი. ბუდე დაბალია, თვალბუდის კედლები თვალს მჭიდროდ ეკვრის. მხრებში დასქელებული რკალი, ქვემოთკენ თანდათან წვრილდება. ბეჭედი დაუანგულია და დეფორმირებული. თვალბუდის სიგრძე — 14, სიგანე — 10 მმ.

86 (01/9 — 90) ბეჭედი რკინისა, რკალი დამტვრეულია, გამჭვირვალე, სალათისფერი, მოყვითალო მინა რკინის ბუდეში ზის. ინტალიო ოვალურია. ოდნავ ამობურცული. მასზე გამოსახულია ზევსი. ღვთაება მაღალ ტახტზე ზის, ტორსი 3/4 მობრუნებული აქვს მარცხნივ. თავიც მარცხნივ აქვს პროფილში; წელს ქვემოთ, ფეხებს, გრძელი, ნაოჭიანი სამოსი ფარავს. მარცხენა ზეაპყრობილი ხელით კვერთხზეა დაყრდნობილი, მარჯვენა ხელში ნიკეს ქანდაკება უპყრია. მის ფეხთით ზევსის საღეთო ფრინველი, არწივი არის გამოსახული. ხოლო ქვემოთ, მოკლე ხაზით ნიადაგის ზოლია მინიშნებული. გამოსახულება არ არის ღრმად ნაკვეთი, თვალი ბეჭედშივე ამოჭრილ თვალბუდეში ზის; ბუდე მჭიდროდ გარს აკრავს თვალს. თვალის ზედაპირი და ბუდის ნაპირები ერთ სიბრტყეშია მოთავსებული. ინტალიოს სიგრძე — 16, სიგანე — 12 მმ.

87 (01/9 — 91) მონეტა ვერცხლის, რომაული, ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 — ახ. წ. 14 წ.) მოჭრილი ძვ. წ. 2 — ახ. წ. 4 წწ. ვალიის ზარაფხანაში, კარგადაა დაცული. AV — შუბლი, დაფნისგვირგვინიანი ავგუსტუსის თავის გამოსახულება მიმართული მარჯვნივ. გარშემო: CAESAR AVCVSTVS DIVI F PATER PATK. RV. ზურგი, გაიუს და ლუციუს ცეზარები დგანან პირდაპირ, თითო ხელით ეყრდნობიან ფარებს. ფარებს უკან მოჩანს ორი შუბი. გარშემო CL CAESARE... AVCVSTI E COS PESIC PRIHC IVVEHT

88 (01/9 — 92) მონეტა ვერცხლის, პართული, არტაბან II (10/II — 38 წ.) გოტარზე. AV — შუბლი, მარცხნივ მიმართულია მეფის წვერულვაშიანი ბიუსტი დიადემით, რომელიც თავს უკანაა გამონასკული და მისი სამი ბოლო დაბლა ეშვება, სამმაგი ყელსაბამით. გამოსახულებას თავს ზემოთ წერტილოვანი რკალი დაუყვება. RV — ზურგი, არშაკი ზის სამეფო სავარძელში მიმართული მარჯვნივ, გაწვდილ ხელში მოზიდული მშვილდი უჭირავს. მშვილდს ქვემოთ მონოგრამა Λ, გარშემო ΒΑΣΙΛΕΑΕ ΒΑΣΙΛΕΑΗ, ΑΡΕΛΗΟΒ; CV-[RFCT... ΙΔΙΚΑΙΟΒ; CΠΙΦΛΗΟΒΣΙ... ΦΙΛ]ΑΛΛΗ...

89 (01/9 — 93; სურ. 705) მძივები გიშრის, გრდემლისებრი, სხვადასხვა ზომის (55 ც.).

90 (01/9 — 94) საკიდი ბრინჯაოსი, სფერული მუცელი შემკულია კუწუ-

ბოგებით, მრგვალ-ბრტყელი მასიური ყუნწით, საკიდის სიმაღლე — 2,0; მუცლის ღმ — 1,1 სმ. ორი მცირე ზომის ბრინჯაოს რგოლით. ღმ — 0,8 სმ.

კრამიტსამარხია (სურ. 706 — 708). თიხნარ-ქვა-

სამარხი 9 ღორღიან ნიადაგში ჩაქრილ ორმოში გაუმართავთ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სამარხი ნაგებობა-ყუთი. იატაკად გამოუყენებიათ ორი მთელი და ორი ნაკლები სოლენი. გრძივი კედლები შეუდგენიათ ორ-ორი, ხოლო განივი — თითო აკეცილი გვერდებით ჩადგმული სოლენისაგან. კრამიტები ერთმანეთზე მიდგმული იყო ვიწრო და განიერი თავებით, აკეცილი გვერდებით გარეთ მიმართული. სამარხის ორფერდა სახურავის თითოეული კალთა შედგებოდა აკეცილი გვერდებით ქვემოთ მიმართული ორ-ორი სოლენისაგან, ვიწრო თავებით S-ვენ.

სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებული დაუკრძალავთ მარცხენა გვერდზე კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, პირისახით დასავლეთისკენ. სამარხში აღმოჩნდა:

91 (01/9 — 74; სურ. 710). ბრინჯაოს გაურკვეველი დანიშნულების ნივთი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის, ბრტყელი. ერთ კუთხეში აქვს შვერილი. ბრტყელ ნაწილზე აქვს ათი ნახვრეტი, რომლებიც თითქოს ვარდულის ფორმას ქმნიან. სიგრძე — 3,3, სიგანე — 2,3 სმ.

92 (01/9 — 75; სურ. 709). მძივი ყვითელი ფერის გამკვირვალე მინისა, ვარდულის ფორმის, ღრმადგვერდებდაარული. ცილინდრულნახვრეტიანი (1 ც.).

სამარხი 10 ორმოსამარხია, (სურ. 711 — 712). სამარხისათვის გაქრილი ორმოს ზომები არ დადგინდა. მიცვალებული ჩავენებული იყო თიხნარ-ქვადღორღიან ნიადაგში წინასწარ მოსწორებულ გრუნტზე, მე-2 კედლის ძირში აღმოსავლეთიდან. ჩონჩხს ეყარა 0,20 — 0,25 მ-ის სისქის თიხნარი ფენა, რომელშიც არეული იყო სამზარეულო კერამიკის ნატეხები, ზემოდან კი მილაგებული იყო წერილმარცვლოვანი ქვატეხილი.

სამარხი ინდივიდუალურია, მიცვალებული დაუკრძალავთ მკვეთრად კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში მარჯვენა გვერდზე. პირისახით დასავლეთისკენ. მარჯვენა ზედა კიდური თავის ქვეშ იყო ამოდებული. მარცხენა — ზედა კიდურის მხოლოდ მხრის ძვალი დაფიქსირდა, რომელიც თავს ზემოთ იყო მიმართული. ქვედა კიდურები გადმობრუნებული იყო საპირისპირო მარცხენა მხარეს.

სამარხში აღმოჩნდა:

93 (01/9 — 102; სურ. 713) საყურე ბრინჯაოსი, თავებგახსნილი, ღერო განიკვეთილი ოთხწახნაგა, თავებთან წვრილდება. დმ 1,6 სმ.

კრამიტსამარხი. (სურ. 714 — 716). თიხნარ-ქვალორიანი ნიადაგში ჩაქრილ ორმოში გაუმართავეთ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სამარხი ნაგებობა-1,80 — 0,00; 1,01 × 0,67; 0,78 × 0,48 × 0,85 მ. NNO—SSW დეგნიათ ორ-ორი, ხოლო განივი თითო აკეცილი გვერდებით ჩადგმული სოლენისაგან. დასავლეთ გრძივ კედელში აკეცილი გვერდებით გარეთ მიმართული კრამიტები ვიწრო თავებით N-კენ იყურებოდნენ, ხოლო აღმოსავლეთ გრძივ კედელში აკეცილი გვერდებით გარეთ მიმართული კრამიტები ვიწრო თავებით ერთმანეთს ებჯინებოდნენ. განივ კედლებში სოლენის აკეცილი გვერდები, ერთივსაგან განსხვავებით, გარეთ იყო მიმართული. სამარხის ბანური სახურავი შედგებოდა აკეცილი გვერდებით ქვემოთ მიმართული ოთხი სოლენისაგან. კეხი არ ჰქონდა.

სამარხი ინდივიდუალურია, მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, პირისახით დასავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

94 (01/9 — 79 სურ. 717). ხელადა კარგად განლექილი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, თხელკეციანი, პირი მრგვალი და ოდნავ გადაშლილი. მრგვალგანიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარ-მუცელზე, ყელი დაბალი. მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, მუცელს ორ რიგად შემოუყვება ერთმანეთისაგან არათანაბრად დაშორებული შიგნიდან ამოყვანილი კოპები, სიმაღლე ჭურჭლის — 9,7, დმ პირის — 6,8, მუცლის — 10,5, ძირის — 6,8, კეცის სისქე — 0,4 სმ.

95 (01/9 — 80; სურ. 718) ხელადა კარგად განლექილი თიხისა, მოწითალოდ გამომწვარი, თხელკეციანი, პირი მრგვალი და ოდნავ გადაშლილი, მესამედი ნაწილი ჩამოტვრეულია. ყური მოტეხილი აქვს, შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, რომ იგი განიკვეთილი მრგვალი იქნებოდა და მიძერწილია მხარ-მუცელზე, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, მუცელს ორ რიგად შემოუყვება ერთმანეთისაგან არათანაბრად დაშორებული შიგნიდან ამოყვანილი კოპები. სიმაღლე ჭურჭლის — 10,7 დმ., პირის — 7,1, მუცლის — 11,5, ძირის — 7,7, კეცის სისქე — 0,5 სმ.

96 (01/9 — 76) ღერო რკინის, ძლიერ დაუანგული. სიგრძე — 9 სმ.

97 (01/9 — 77) მონეტა ვერცხლის, არტაბან II (გოტარზე). Av — შუბლი, მარცხნივ მიმართული არტაბან II, წვერულვაშიანი ბიუსტი (თმები და წვერი წარმოდგენილია პარალელური ხაზებით) დიადემით, რომელიც თავს უკანაა გამონასკული და მისი სამი ბოლო დაბლა ეშვება სამმაგი ყელსაბამით. გამოსახულებას თავს ზემოთ დაუყვება წერტილოვანი რკალი. Rv — ზურგი.

არშაკი ზის სამეფო სავარძელში მიმართული მარჯვნივ. გაწვილ ხელში მოზიდული მშვილდი უჭირავს. მშვილდს ქვემოთ მონოგრამა  $\Lambda$ , გარშემო: ΒΑΕΛΑ]... ΙΒΛΕΙΛΕΛ... ΔΡ. ΕΥΡΓ[ΤC... ΙΔΙΚΑΙ ΟΥ;... ΠΙΦΛΗΟΒΕΙ... ΙΑ[ΛΛΗΗΟ]

98 (01/9 — 78) მძივები: 1) სხვადასხვა ფერის სარდიონისა, მუქი წითელ-ლაქებიანი, მანდარინისებრი, ოდნავ დაბრტყელებული, ცალმხრივ კრატერისებურნახევრეტიანი, შესასვლელ ნახევრეტთან საგანგებო ქღე აქვს ამოჭრილი ბურღის ფეხის მოსაკიდებლად (1 ც.). 2) გიშრისა, ბურთულა, ასიმეტრიული, ცალმხრივ ცილინდრულნახევრეტიანი (1 ც.).

კრამიტსამარხია. (სურ. 719—710). თიხნარ-ქვადორ-სამარხი 12 ლიან ნიადაგში ჩაპრილ ორმოში გაუმართავთ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სამარხი ნაგებობა-ყუთი, რომელსაც იატაკის მაგივრობას უწევდა წინასწარმოტკეპნილი გრუნტი. გრძივი კედლები შეუდგენიათ ვერტიკალურად ჩადგმული სამ-სამი, ხოლო განივი — ორ-ორი გვერდბაეცილი კრამიტით. კრამიტებით თავშექცევით, ვიწრო და განიერი თავების მონაცვლეობით იყო ჩადგმული. აეცილი გვერდებით გარეთ მიმართული, ძხოლოდ ერთ ადგილას, სამარხის NO კუთხეში კრამიტის აეცილი გვერდები შიგნით იყურება. სამარხის ორფერდა სახურავის თითოეული კალთა შედგებოდა სრული და ორ-ორი ნაკლული აეცილი გვერდებით ქვემოთ მიმართული სოლენისაგან. ნაკლული სოლენები გამოუყენებიათ განივ კედლებამდე დარჩენილი ღიობების დასაფარავად. კეხი არ ჰქონდა.

სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, პირისახით დასავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

99 (01/9—81, სურ. 721). ხელადა თიხისა, აგურისფრად გამომწვარი, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევებს, ცეცხლში მეორადი მოხვედრისაგან ცალი მხარე შეკვამლული აქვს, პირი მრგვალი და ოდნავ გადაშლილი, ყურა მხარ-მუჯელზე აქვს მიძერწილი, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ჰურკელი ცუდადაა დაცული. გარედან შეიმჩნევა ფორები, ძირი ზოგ ადგილას ჩამოტეხილია. ყური აღდგენილი. სიმაღლე ჰურკლის — 11,3, დმ. პირის — 9,8; მუცლის — 14,9; ძირის — 9,6; კეცის სისქე — 0,7 სმ.

100 (01/9 — 82). მონეტა ვერცხლის, პართული დრაქმა, არტაბან II (10/II—38 წ.) Av, — შუბლი, მარცხნივ მიმართული მეფის ბიუსტი, გრძელი სწორი წვერითა და თმით. გამოსახულებას სამწყება ყელსაბამი ამშვენებს, დიადემა თავს უკანაა განასკვული და მისი სამი ბოლო დაბლა ეშვება. თავს ზემოთ გადაუყვება წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი. Rv — ზურგი. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი არშაკის გამოსახულება მშვილდით ხელში, რომლის ქვემოთ მონოგრამაა  $\Lambda$ . გარშემო დამახინჯებული ზედწერილი ΒΑΕΙΛΕ... ΙΒΛΕ-



ΛΑΕΛΕ (ზემოთ), ΛΡ Ε ΛΗΟΕ (მარჯვნივ) ΒΕΡΓΕΤΟ... ΙΔΙΚΑΙΡΥ (დაბლა) [ΠΙΦΑ... Ι ΠΕΛΛΗΝΙΟΕ.

101 (01/9 — 93; სურ. 722). მძიეები პასტისა, მოყვითალო ფერის, მრგვალბრტყელი, მცირე ზომის (70 ც.).

სამარხი 18 ორმოსამარხი (ბავშვის). მიცვალებული ჩასვენებულ-  
ლი იყო თიხნარ-ქვადორლიან ნიადაგში. წინასწარ მოსწო-  
1977; 8, 24, IV, 0; რებულ გრუნტზე, ჩონჩხს დასაველეთიდან ედო ორი სო-  
1,50 — 0,47; 0,86 X ლენის ნატეხი. ისინი სამარხის გამართვაში რაიმე მონა-  
57; NNO—SSW წილეობას არ ღებულობდნენ.

სამარხი ინდივიდუალურია, მიცვალებული დაკრძა-  
ლული იყო კიდურებმოკეცილი მარჯვენა გვერდზე, პირისახით დასაველეთისა-  
კენ, ჩონჩხი დეფორმირებული და ჩაშლილია.

სამარხში აღმოჩნდა:

102 (01/9 — 84; სურ. 723). კოკობი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, პი-  
რი მრგვალი და გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყე-  
ლი, პირი ერთ ადგილას ჩამოტეხილია. აღდგენილია. სიმაღლე ქურტლის — 5,9,  
ღ. პირის — 5,1, მუცლის — 7,0, ძირის — 5,1. კეცის სისქე — 0,5 სმ.

А. Н. СИХАРУЛИДЗЕ, А. В. АБУТИДЗЕ

## МОГИЛЬНИК МОГВТАКАРИ

### КАТАЛОГ

#### Резюме

В труде публикуются материалы, обнаруженные на могильнике Могвтакари напротив нынешнего железнодорожного вокзала, у подошвы Картлийского хребта.

Публикуются 13 погребений. Из них 10 черепичные ящики, 1 каменно-ящичное погребение, 1 грунтовая могила и 1 комбинированное погребение. Все они датируются I—III вв. н. э.

В погребениях обнаружен богатый инвентарь, изготовленный из глины, железа, бронзы, серебра, золота и др.

Раскопки в Могвтакари ещё раз доказали ранее высказанное предположение о том, что стольный город был разделен на кварталы, имевшие свои могильники.

### მცხეთისგორის სამაროვანი

1979 წელს მცხეთაში, მრეველიშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა სამაროვანი, რომელიც შეისწავლა მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის „მცხეთისგორის“ რაზმმა.

1979 — 1980 წლებში სამაროვანზე გამოვლინდა 58 სამარხი, აქედან ნაწილი სამარხებისა (№ 32, 33, 35 — 39, 41, 49, 53, 56 — 58) შეუსწავლელი დარჩა, რადგანაც ისინი სხვადასხვა ნაგებობის ქვეშ იყვნენ — გამართული. ორი სამარხი (№ 8, 34) მშენებლებმა მთლიანად დაანგრეს.

გახსნილი სამარხებიდან 32 ქვასამარხია (№ 1 — 4, 6, 7, 9. — 23, 25, 26, 28, 30, 40, 43, 44, 46, 48, 50, 51), ცხრა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი (№ 5, 24, 27, 29, 31, 42, 45, 47, 54), ორი კი ორმოსამარხია (№ 52, 55). ეს ორი უკანასკნელი სხვებისაგან განსხვავებით, ადრებრინჯაოს ხანის მასალაში შეიცავდა.

ადრეფოდალური ხანის სამაროვანი ორ იარუსად იყო გამართული. სამარხთა ორ იარუსად განლაგების რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა. ასე მაგალითად: სამარხები 29 და 43, 21 და 22, 20 და 28, 45 და 40 და სხვა, ერთ ვერტიკალში, ერთმანეთზე იყო განლაგებული\*.

აღნაგობის მიხედვით ქვასამარხები ოთხ ქვეტიპად იყოფა: ა) ბანურსახურავიანი სამარხი, ბ) ორფერდასახურავიანი სამარხი, გ) ქვათლილებით ნაგები სამარხი, დ) ამოშენებულგვერდებიანი სამარხი.

ბანურსახურავიანი სამარხების ერთი ჯგუფი (№ 1, 4, 7, 9, 10, 13, 14, 15, 16, 19, 21, 48, 50) გამართულია მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,65 — 2,0 მ. სიღრმეზე. სამარხები მკვიდრადაა ნაგები. გრძივი და განივი კედლები თითო ფილაქვისაგან შედგება. ქვა გულმოდგინედაა გათლილი და დამუშავებული. განივი კედლების ფილაქვებზე—ხშირად ნარიბანდებია ამოკვეთილი, იატაკის მავიჯრობას უმეტეს შემთხვევაში წინასწარმომზადებული და მოტკეპნილი

\* პირველად ვასახლებთ ქვედა (II) და შემდეგ ზედა (I) იარუსის სამარხებს.

ნიადაგი ასრულებდა. მხოლოდ ერთი სამარხის (14) იატაკი იყო ქვის თხელი ფილებით მოგებული. გადახურვა ბანურია, სახურავი მოწყობილი იყო ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული სამ-სამი ფილით. კედლების და სახურავის უფრო მკიდროდ შეკავშირების მიზნით ზშირად გამოყენებულია კირხსნარი და თიხა.

ამ ქვეტიპის სამარხთა საშუალო ზომებია:

ა) გარე ზომები:  $2,30 \times 1,50 \times 1,20$  მ.

ბ) შიდა ზომები:  $1,85 \times 0,90 \times 0,90$  მ.

მცხეთისგორის ორფერდასახურავიანი სამარხის (6, სურ: 730—733) მსგავსი საკრძალავი, ისევე როგორც ზევით აღწერილი ბანურსახურავიანი სამარხები, მცხეთაში ჭერ კიდევ ახ. წ. I — III სს. ჩნდება და არსებობას ახ. წ. IV—V სს. აგრძელებს (27, გვ. 257).

საკრძალავ ნაგებობათა საინტერესო და ჭერჭერობით იშვიათ სახეობას წარმოადგენს ქვათილებით ნაგები სამარხი (11, სურ. 739—744). იგი აუცილებლად ქვის მოზრდილი, საკმაოდ გულმოდგინედ დამუშავებული კვადრებით. გარკვეულ მსგავსებას მე-11 სამარხთან აელენენ სამთავროს სამაროვანზე ბოლო წლებში გახნილი კვადრებიანი სამარხები (№ 416. 430. 485). მაგრამ მცხეთისგორის მე-11 სამარხისაგან განსხვავებით, სამთავროს სამარხები ელინისტური ხანის სამშენებლო მასალითაა ნაგები, ე. ი. ქვიშაქვის კვადრების მეორად გამოყენებასთან გვაქვს საქმე. სამთავროულ სამარხებს ახ. წ. III—IV სს-ით ათარიღებენ (13).

მეთოხე საუკუნის ბოლოს იწყებს გავრცელებას ამოშენებულგვერდებიანი სამარხები, რომელთაც ზოგჯერ მოზრდილი ფილების განივი კედლებიცა აქვთ (26, გვ. 293) მსგავსი სამარხები უკანასკნელ წლებში გაითხარა ახალი არმაზის იდრეკრისტიანულ სამაროვანზე (14, გვ. 99. — 103).

მცხეთისგორაზე გათხრილ სამარხს (20, სურ. 760 — 761) გრძივი და განივი კედლები ქვატეხილით ჰქონდა ნაგები, თიხაზე. სამარხის კედლების შიდაპირი შელესილი იყო გაჯით (?). მე-20 სამარხისაგან განსხვავებით 53-ე სამარხის შემაკავშირებელ მასალად ნახმარი იყო კირი. სამარხის გათხრა არ მოხერხდა.

ყველა ეს სამარხი სტრატეგრაფიულად მეორე — ქვედა იარუსის კუთვნილია და წინასწარულად IV — V სს-ით უნდა დათარიღდეს.

ბანურსახურავიან სამარხთა მეორე ჯგუფი (№ 2, 3, 12, 16, 17, 18, 22, 23, 25, 26, 28, 30, 40, 43, 44, 46, 51) გამართულია მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,40—1,10 მ-ის სიღრმეზე. ისინი შედარებით ზერეღედაა ნაგები. მათი დიდი ნაწილი არაა მკვრივად შეკრული. ამ ტიპის სამარხებისათვის დამახასიათებელია კედლების გადაკერება, დარჩენილი ფარდობების ზურდა ქვით შევსება. ქვა ცუდად ან თითქმის არ არის გათლილ-დამუშავებული, იატაკი მოტკეპნილ-მოშანდაკებული ნიადაგისა აქვს. ბანური სახურავი შედგება ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული სამ-სამი ფილისაგან.

ამ ჯგუფის სამარხთა საშუალო ზომებია: ა) გარე ზომები 1,90×1,0×0,90 მ. ბ) შიგა ზომები — 1,70×0,70×0,70 მ.

ისინი სტრატეგრაფიულად პირველ ზედა იარუსს ეკუთვნის და VI — VII სს-ით უნდა დათარიღდეს.

მცხეთისგორის ორმოსამარხები თანაარსებობს ორივე იარუსის ქვასამარხებთან, მათგან აღნაგობით გამოირჩევა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი (31. სურ. 768, 769, 775, 776). აღნიშნული სამარხისათვის თავდაპირველად გრძელი და ფართო ორმო გაუთხრიათ, რომლის შუაგულში ჩაქრილი იყო ოვალისებური მოყვანილობის დასაკრძალავი. ორმოშექმნილ საფეხურზე კი სახურავის ქვის ფილები დაუწყვიათ.

მცხეთისგორის ადრეფეოდალური ხანის სამაროვნის ორივე იარუსის სამარხებში მიცვალებულები დაუსვენებიათ გულადმა, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასაველეთისაკენ, ხელების არაერთგვარი მდებარეობით. სამაროვანზე ძირითადად გვხვდება საოჭახო-სამრავალკაცო სამარხები. დაკრძალულია ერთიდან ექვსამდე მიცვალებული. სამაროვანზე გათხრილ სამარხებში სულ დაკრძალული იყო 79 მიცვალებული, ამთგან — 30 მამაკაცი, 16 ქალი და 24 ბავშვი (დანარჩენ შემთხვევაში სქესის გარკვევა ვერ მოხერხდა.) მამაკაცთა საშუალო ასაკი 45—55 წელია, ქალებისა კი —40—45.

მცხეთისგორის სამაროვნის ადრეფეოდალური სამარხები ხშირ შემთხვევაში გაძარცვულია. მძარცველებს სამარხების ჩხრეკის საკუთარი მეთოდიც ჰქონიათ შემუშავებული: კერძოდ, სახურავის ერთ-ერთ ფილას (მეტწილად თავის მხარეს მდებარე ფილას) ჩამოატენდნენ მოზრდილ ნაწილს, საიდანაც ჩხრეკდნენ და ძარცვავდნენ სამარხს. აშკარაა, რომ სამარხს მიწის შეეცებადღე და მიცვალებულის დაკრძალვიდან ახლო ხანებში ძარცვავდნენ. გაძარცულ სამარხებში უმეტეს შემთხვევაში დასაველეთიდან შეულწევიათ, ე. ი. სადაც სამკაული იყო მოსალოდნელი. სამაგიეროდ ხელუხლებლად იყო შემონახული ქვედა კიდურები. სწორედ მათი საშუალებით დადგინდა, ხშირ შემთხვევაში, მიცვალებულთა დამხრობა. სამარხების ასე ხელაღებით ძარცვა დამახასიათებელი ჩანა მცხეთის თანადროული სამარხებისათვის (სამთავრო, მუხათგვერი I). მიუხედავად გაძარცვულობის მალალი პროცენტისა, მცხეთისგორის სამაროვანი იძლევა მრავალმხრივ საყურადღებო მასალას. სამარხებში აღმოჩნდა ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები (ლილები, მშვილდსაკინძები, საკინძები და სხვა), სამკაული (ბეჭდები, საყურეები, მძივები) და მინის სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი აღნიშნულ სამარხებულ კომპლექსებს მრავალი ანალოგი და პარალელი ექებნებათ საკუთრივ „დიდი მცხეთისა“ [1, 2, 14, 27, 28, 41].—ურბნისის [33] უინვალის [20, 21], ერწოს[22, 35], ვაშლაჯვარის [17, 18], კარხნისხევის [16], ყოღოთოს [25], სტირფაზის [43], გარნისის [44] და სხვა თანადროულ სამაროვნებზე [3, 12, 29, 36].

მცხეთისგორის სამაროვანი, როგორც უკვე ითქვა, ოზიარუსიანია, ქვედა იარუსის სამარხები სამარხული ინვენტარის განხილვისა და შესაბამისი პარალელების მოშველებით თარიღდება ახ. წ. IV—V სს. ზედა იარუსის სამარხები კი—IV—VIII სს-ით.

მცხეთისგორის სამაროვანზე, როგორც ზევით აღინიშნა, ბრინჯაოს ეპოქის ორი სამარხი აღმოჩნდა. აქ დადასტურებული ინვენტარი დამახასიათებელი და მსგავსია მტკვარ-არაქსის ეპოქის ადრეული პერიოდის ძეგლებისათვის [9].

მცხეთისგორის სამაროვანი მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს ადრეფეოდალური ხანის მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფიის აღსადგენად, აგრეთვე იმ პარალელების მოშველებით თარიღდება ახ. წ. IV—V სს. ზედა იარუსის სამარხები კი — VI—VIII სს-ით.

## ადრეფეოდალური ხანის სამარხები

### კატალოგი

- ბანურსახურავიანი ქვაყუთია. დაკრძალული იყო სამი მიცვალებული (40—45 წლის ორი მამაკაცი და ქალი 35—40 წლის), დაკრძალვის წესი გაურკვეველია. სამარხში აღმოჩნდა:
- 1 (01/7—II—2; სურ. 791) სასაფეთქლე რგოლები ვერცხლისა (3 ც.), განიკვეთში მრგვალია, ბოლოები თანაბრად შევიწროებული აქვს, ოვალისებური, დმ რგოლი-სა — 1,0 — 1,3, მავთულის — 0,1-0,3 სმ. წონა — 3,570 გ.
- 2 (01/7 — II — I. სურ. 790). საკინძი რკინისა, განიკვეთში მრგვალია, თავი შეშკული აქვს ოქროსფურცლოვანი სალტეებით. თავთან სარტყელს შემოსდევს ცრუ გვარსი. სიგრძე საკინძისა — 5,8, საკინძის თავის — 1,6; დმ საკინძის თავის — 0,8, ღეროსი — 0,2-0,4 სმ; წონა — 1,225 გ.
- საკინძი დაჟანგული და დაზიანებულია (4 ნატეხი).
- 3 (01/7 — I,I — 3). საკინძი ბრინჯაოსი, განიკვეთში მრგვალია. სიგრძე საკინძისა — 1,6, დმ ღეროსი — 0,1 სმ. საკინძი ნაკლულია და დამტვრეული (2 ნატეხი).

სამარხი 2  
(სურ. 727—728).

18 X 1070; 1  
SWW — NOO;  
0,50 მ; 0,32 მ; 1,90 X  
1,0 X 0,75 მ.; 1,85 X  
0,65 X 0,60 მ.\*

სამარხი 8

19. IX. 1870, II—1,  
SWW — NOO;  
0,50 X 0,32 მ; 0,88 X  
0,60 X 0,45 მ; 0,78 X  
0,50 X 0,38 მ.

სამარხი 4

(სურ. 720, 724) 6.  
XII. 1870; II, 7;  
W—O; 0,90 მ; —  
2,41; 2,80 X 1,50 X  
1,25 მ. 1,85 X 0,90 X  
1,0 მ.

ბანურსახურავიანი ქვაყუთია, დაკრძალული იყო სამი მიცვალებული (50 — 55 წლის მამაკაცი და ქალი- 45 — 50 წლისა, აგრეთვე ბავშვი), გულადმა გაშოტილ მდგომარეობაში.

სამარხში აღმოჩნდა:

4 (01/7 — II — 14). საკინძი რკინისა, განივკვეთში მრგვალია, სიგრძე საკინძის — 4,5; დმ. საკინძის — 0,2 — 0,35 სმ. საკინძი ძლიერ დაქანგულია და დამტრეული (3 ნატეხი).

ბანურსახურავიანი ქვაყუთია. ერთი ფილაქვით გადახურული. დაკრძალული იყო ბავშვი, გულადმა გაშოტილ მდგომარეობაში.

სამარხი უინვენტაროა.

ბანურსახურავიანი ქვაყუთია. ნარიბანდინი, დაკრძალული იყო ორი მიცვალებული (25—30 წლის მამაკაცი და ბავშვი 6 — 7 წლისა). მამაკაცი ესვენა გულადმა გაშოტილი, თავით დასაველეთით, ბავშვი კი—ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე. იგი სამარხის SW კუთხეში დაუკრძალავთ.

სამარხში აღმოჩნდა:

5 (01/7 — II — 4; სურ. 792). საყურე ოქროსი, შედგენილია. პირგახსნილ რგოლზე მირჩილულია ყუნწი და კაუქა თავით ჩამოკიდებული ღერაკი, რომელზედაც ასხმულია (ზემოდან ქვემოთ) ოქროს ბრტყელი და მრგვალი ვარდული, მომწვანო პასტის როდინისებრი მოყვანილობის მძივი. კვლავ ასეთი ვარდული და მარგალიტის ბურთულა. ღერაკის ქვედა ბოლო გადაკვერვით რამდენადმე გამსხვილებულია: წონა— 3,055 გ., სიმაღლე საყურის — 3,6, ღერაკის კაუქის — 0,5, ღერაკის — 1,8, მარგალიტის მძივის — 1,0; დმ. მთავარი რგოლის — 1,0 — 1,2, ყუნწის — 0,45, ვარდულის — 0,6, პასტის მძივის — 0,5-0,6, მარგალიტის მძივის — 0,7; სისქე მთავარი რგოლის — 0,2 სმ.

6 (01/7 — II — 5; სურ. 793) საყურე ოქროსი, ოვალური, პირგახსნილ რგოლზე მირჩილულია მრგვალი ყუნწი, რომელზედაც ჩამოკიდებულია ბოლოვდაკვერილი ღერაკი. ღერაკზე ასხმულია (ზემოდან ქვემოთ) ოქროს

\* 18. X. 1979—გახსნის თარიღი. II — ნაკვეთი. I — კვადრტი, დამბრობა; 0,50 მ სახურავის დონე მიწის აწინდელი ზედაპირიდან. 0,32 მ. სახურავის დონე 0 ხაზიდან, 1,90 X 1,0 X 0,75 მ. სამარხის გარე ზომები (სახურავის ჩათვლით). 1,65 X 0,65 X 0,60 მ. შიგა ზომები.

ორი მრგვალი მძივი, სამი ოქროს სხივანა და ოქროს პატარა, მრგვალი ფირფიტა. წონა — 2,365 გ.

სიმაღლე საყურის — 4,3, ღერაკის — 2,7; დმ. რგოლის — 1,2 — 1,4 ღერაკის თავყუნწის—0,45, მძივის—0,4, მორგებების—0,2—0,25, სისქე ღერაკის — 0,1 სმ.

### სამარხი 5

11. XII. 1979; II, ხურული 4 ფილით; მიცვალებული (ქალი 20—25 წლის) დაკრძალული იყო გულაღმა გაშოტილი.

მ; 1,90 × 0,73 მ;  
1,40 × 0,50 × 0,20 მ.

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი 6

(სურ. 780 — 788) ორფერდასახურავიანი ქვაყუთია, ნარიბანდიანი, 30. I. 1980; II, 7—8; დაკრძალული იყო ქალი და ბავშვი. დაკრძალვის წესი გაურკვეველია.

SWW—NOO;  
0,70 მ; 2,54; 2,40 ×  
0,95 × 1,50 მ; 1,90 ×  
0,65 × 0,90 — 1,80 მ.

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი 7

(სურ. 735 — 736). 50—55 წლის მამაკაცი და ბავშვი 2-3 წლის). დაკრძალვის წესი გაურკვეველია.

O; 0,75 მ; —2,59; სამარხში აღმოჩნდა:  
2,45 × 1,58 × 1,12 მ; 7 (01/7 — II — 13; სურ. 794). საყურე ოქროსი, ორნაწილედ, წარმოადგენს ნუშის გულის მოყვანილობის ოქროს ბუდეს, რომელშიც მომწვანო ფერის მინის თვალი ზის. ბუდეს გარშემოსდევს ოქროსივე პალმეტებით შემკული ჩარჩო, მას თავზე ორი ყუნწი აქვს დარჩილული საკიდისათვის, ბოლოში კი, მარგალიტის ჩამქრალი მძივია დამაგრებული. თვალბუდე ოქროს ღერაკის მეშვეობით დამაგრებული ყოფილა ოქროსავე ოვალისებური მოყვანილობის საყურე რგოლზე.

სიგრძე საყურისა — 3,5, თვალბუდის — 2,5; სიგანე თვალბუდის — 0,12; სისქე თვალბუდის — 0,02; დმ. რგოლის — 0,13 სმ; წონა — 1,990 გრ.

8 (01/7 — II — 6; სურ. 795). საყურე ოქროსი, შემორჩენილია მხოლოდ რგოლი — ოვალური, პარგახსნილი. რგოლზე მიჩრილულია ყუნწი, დმ რგოლის — 1,2, ყუნწის — 0,3; სისქე რგოლის — 0,1 სმ; წონა — 0,585 გრ.

9 (01/7 — II — 7; სურ. 796). მძივები ოქროსი (2 ც.). მრგვალბრტყელი, ნაპირბდაკეპნილი, ორნახვერტიანი.

დმ. მძივის — 0,6; სისქე მძივის — 0,1 სმ; წონა — 0,875 გ.

10 (01/7—II—8; სურ. 798). შვეილდსაკინძი ვერცხლისა, მცირე ზომის, მალალშვეილდიანი, ჰვინტიანი, ბუდეაუბმელი, მოძრავი ნემსი დამაგრებულა რელიეფური ხაზებით შემკულ გრძელ ღერაკზე.

სიგრძე შვეილდსაკინძისა — 1,9; ღერაკის — 2,1; სიმაღლე შვეილდის — 1,0; დიამეტრი შვეილდის — 0,3, ნემსის — 0,2 სმ.

11 (01/7 — II — 9). ბექდის რკალის ნატეხი ვერცხლისა, განიკვეთში ბრტყელია, პატინირებულია იისფრად.

სიგრძე რკალის — 1,1; სიგანე — 0,4; სისქე — 0,1 სმ.

12. (01/7—II—10). ღერაკი რკინისა, განიკვეთში მრგვალია. სიგრძე ღერაკის — 3,8; დმ. ღერაკის — 0,2 სმ. ღერაკი დაჯანგული და დამტვრეულია. (5 ნატეხი).

13 (01/7 — II — 11; სურ. 797). მძივები გიშრისა (10 ც.). ნახევარსფეროსებრი, ორი პარალელურნახვრეტისანი, ზედაპირი ზიგზაგისებურად აქვს შემკული. სხვადასხვა ზომის, 2 ცალი სადაა, ცალი მხარე სწორად აქვს ჩამოჭრილი. სისქე მძივის — 0,2 — 0,35; დმ. მძივის 0,4 — 0,6 სმ.

14 (01/7 — II — 12) სანელსაცხებლის ნატეხი მინისა, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, თხელკედლიანი, ირიზებული, სისქე — 1,2; სიგანე — 0,8; სისქე — 0,1.

### სამარხი 9

ბანურსახურავიანი ქვაყუთია, ნარიზანდიანი, დაკრ- (სურ. 737 — 738). ძალული იყო ექვსი მიცვალებული (40—45 წლის მამა-

14. XII. 1970; II, კაცი; 20 — 25 წლის მამაკაცი, 50 — 55 წლის ქალი.

9 ; W—O; 0,65 მ.; ქალი და ბავშვი) გულადმა, გაშოტილ მდგომარეობაში.

2,98 მ; 2,35 × 1,45 × სამარხში აღმოჩნდა:

1,10 მ; 1,82 × 1,0 × 15. (01/7 — II — 15; სურ. 801). სანელსაცხებლე მინისა, მომწვანო-წყლისფერი, ძაბრისებრყელიანი, ტანი მსხლისებრი, ოდნავდაბრტყელებულძირიანი, ირი-

ზებული, გვერდი დაზიანებული აქვს.

სიმაღლე სანელსაცხებლის — 5,2, ყელის — 1,5; დმ. პირის — 1,6, ყელის — 1,0, ზუცლის — 3,4 სმ.

16 (01/7—II—16; სურ. 800). საკინძი რკინისა, სფერულთავიანი, განიკვეთში მრგვალია, სიგრძე საკინძის — 6,8, თავის — 0,6; დმ. თავის — 0,7, ღეროს — 0,3 სმ. საკინძი ძლიერ დაჯანგული და დამტვრეულია (3 ნატეხი).

17 (01/7 — II — 17; სურ. 799). მძივი პასტის, თეთრი იოტი, ცილინდრული ფორმის, ცილინდრულნახვრეტისანი.

დმ. მძივის — 0,3; სისქე მძივის — 0,2 სმ.



### სამარხი 10

11. XII. 1979; II, 9 — 10; W — O; 0,90; 2,18 მ; 2,30 × 1,20 × 0,90 მ; 2,07 × 0,95 × 0,90 მ.

სამარხი ძლიერ დანგრეულია. დაკრძალვის წესი გაურკვეველია.

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი 11

(სურ. 739 — 744).  
15. I. 1980; II, 7; W—O; 1,0 მ;—  
2, 72 მ; 1,80 × 1,10 × 0,65 მ.; 1,32 × 0,50 × 0,88 მ.

ქვათლილებით ნაგები სამარხია, გრძივი კედლები შედგენილია სამ-სამი კვადრისაგან, განივი კედლები შედგენილია თითო ნარიბანდიანი კვადრისაგან. სამარხი გადახურული იყო ერთი ფილაქვით. იატაკად გამოყენებული იყო მომცრო თიხის აგურები. W განივ კედლის შიდაპირზე ამოკვეთილია მოზრდილი ნიშა, დაკრძალული იყო ბეჭედი. დაკრძალვის წესი გაურკვეველია. სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი 12

(სურ. 748 — 749).  
12. XII. 1979 წ; II, 6—7; W—O; 0,70 მ.; 2,26 მ; 1,80 × 1,15 × 1,0 მ; 1,70 × 0,77 × 0,85.

ბანურსახურავიანი ქვაყუთია, მიცვალებული ესვენა გულადმა, გაშოტილ მდგომარეობაში.

სამარხში აღმოჩნდა:

18 (01/7 — II — 18 ბეჭედი რკინისა, ფარაკიანი, რკალი განივკვეთში ოვალურია.

სისქე ფარაკის — 0,5; ღმ. ფარაკის — 1,2, რკალის — 0,3 სმ. ბეჭედი ძლიერ დაჯანგული და დამტვრეულია (2 ნატეხი).

### სამარხი 18

(სურ. 745 — 746, 750—751) 7. I. 1980; II, 6; W—O; 0,85 მ; 2,23 მ; 2,42 × 1,42 × 1,10 მ; 1,78 × 0,96 × 0,90 მ.

ბანურსახურავიანი ქვაყუთია, ნარიბანდიანი, დაკრძალული იყო ორი მიცვალებული (40 — 45 წლის ქალი და მამაკაცი 60 — 65 წლისა) გულადმა გაშოტილ მდგომარეობაში.

სამარხში აღმოჩნდა:

19 (01/7 — II — 21). კილიტი ოქროსი, მცირე ზომის. ნახევარსფერული, პატარა ყუნწი აქვს მიჩილული. ღმ. კილიტის — 0,3 სმ; წონა — 0,045 გრ.

20. (01/7 — II — 20; სურ. 803). მძივები მინისა (101 ც.), ლურჯი ფერის, მცირე ზომის, ოდნავ გამჭვივრალე, ცილინდრულნახევრეტიანი, წაკვეთილი ბიკონუსური ფორმის, სხვადასხვა ზომის.

ღმ. მძივის — 0,3 — 0,5; სისქე მძივის 0,2 — 0,3 სმ.

21 (01/7 — II — 22; სურ. 802). ბეჭედი რკინისა, ფარაკიანი, რკალი განივკვეთში ოვალურია.

სისქე ფარაკის — 0,7; ღმ ფარაკის — 1,5, რკალის — 0,2-0,3 სმ, ბეჭედი ძლიერ დაჯანგული და დამტვრეულია (3 ნატეხი).

**სამარხი 14**  
**(სურ. 747; 752) 20.**  
**I. 1980; II, 5-8;**  
**W—O; 1,05 მ;**  
**— 2,12 მ; 2,45 ×**  
**1,40 × 1,20 მ.; 2,06 ×**  
**0,90 × 0,90 მ.**

ბანურსახურავიანი ქვაყუთია. ნარიბანდიანი. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული: მამაკაცი (40 — 45 წლის) დაკრძალული იყო გულაღმა გაშობილ მდგომარეობაში, ქალი (35—40 წლის) ესვენა კიდურებმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, ორთავე ჩონჩხი დამზობილია W—O ლერძზე.

სამარხის იტაკად გამოყენებულია თხელი ქვიშაქვის ფილები.

**სამარხში აღმოჩნდა:**

**22 (01/7 — II — 25; სურ. 805).** სანელსაცხებლე მინისა, თეთრი, გაუმჟირვალე, მათარისებრი, ფართოდ პირგაშლილი, ცილინდრულყელიანი მხრებდაქანებული, ოდნავ გვერდებშეზნეპილი, ოდნავ დაბრტყელებული, ასიმეტრიული, ირიზებული.

სიმაღლე სანელსაცხების — 5,2; დმ პირის — 2,4, ყელის — 1,5, მუცლის — 2,1-3,3 სმ.

**23 (01/7 — II — 26; სურ. 806).** სანელსაცხებლე მინისა, სქელგადაშლილბაკოიანი, ბაკოსთან ყურის ნატეხია შემორჩენილი, მუცელი ცილინდრული, ძირი სწორი; ბრტყელი, დმ პირის — 3,0, მუცლის — 4,2, ყურის — 0,8 სმ. სანელსაცხებლე ძლიერ ირიზებული, დამტვრეული და ნაკლულია.

**24 (01/7 — II — 27).** მშვილდსაკინძი რკინისა, შემორჩენილია ერთი ნატეხი. (მშვილდის და სახსრის ნაწილი).

სიგრძე — 2,3 სმ. მშვილდსაკინძი ძლიერ დაეანჯულია.

**25 (01/7 — II — 28).** ნუკლეუსი კაჟისა, ღია მოყავისფრო, სიგრძე — 4,1; სიგანე — 2,0 სმ.

ბანურსახურავიანი ქვაყუთია, დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, დაკრძალვის წესი გაურკვეველია.

**სამარხში აღმოჩნდა:**

**სამარხი 15**  
**19. XII. 1979; II, 9;**  
**W — O; 0,90—**  
**2,04 მ; 2,10 × 1,85 ×**  
**1,05 მ.; 1,90 × 0,67 ×**  
**0,85 მ.**

**28 (01/ — II — 19).** მინის ჭურჭლის ძირი, კონუსურად ძირშეზნეპილი, სქელკეციაანი, ასიმეტრიული. დმ ძირის — 4,2; სისქე კეცის — 0,3-0,5 სმ.

ბანურსახურავიანი ქვაყუთია, დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. (60—65 წლის ქალი და მამაკაცი 65—70 წლისა) გულაღმა, გაშობილ მდგომარეობაში.

**სამარხში აღმოჩნდა:**

**სამარხი 16**  
**11. I. 1980; II, 4-5;**  
**W — O; 0,65 —**  
**1,45 მ; 2,30 × 1,80 ×**  
**1,0 მ.; 1,85 × 0,85 ×**  
**0,80 მ.**

**27 (01/7 — II, — 23).** საკინძის ღერო ბრინჯაოსი, განივეკეთში მრგვალია, ნემსისებური, ნაკლული. სიგრძე საკინძის — 5,3; დმ. საკინძის — 0,2 სმ.

### სამარხი 17

9. IV. 1980; II, 4;  
W — O; 0,75 —  
1,45 მ; 2,10 × 1,20 ×  
0,85 მ; 1,83 × 0,65 ×  
0,70 მ.

ბანურსახურავიანი ქვაყუთია, გადახურული იყო 4 ფილაქვით, სამხრეთი გრძივი კედელი შედგება ორი ფილისაგან. მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩნდა.

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი 18

(სურ. 758 — 764).  
1. IV. 1980; II, 8;  
W—O; 1,10 —  
1,10 მ; 1,83 × 1,20 ×  
0,95; 1,65 × 0,87 ×  
0,80 მ.

ბანურსახურავიანი ქვაყუთია, მიცვალებული (15—20 წლის მამაკაცი) დაკრძალული იყო გულადმა — გაშოტილ მდგომარეობაში.

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი 19

(სურ. 755 — 760).  
4. IV 1980; II, 8;  
SWW—NOO; 1,0 მ;  
1,26 მ; 2,20 × 1,00 ×  
1,10 მ; 1,85 ×  
